თენგიზ გრიგოლია, მაია ამირგულაშვილი

მსოფლიო პოლიტიკის ისტორიისა და გეოპოლიტიკის საკითხები

„ტექნიკური უნივერსიტეტი"

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თ. გრიგოლია, მ. ამირგულაშვილი

მსოფლიო პოლიტიკის ისტორიისა და გეოპოლიტიკის საკითხები

რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

წინამდებარე წიგნში განხილულია მსოფლიო პოლიტიკის და მსოფლიო ცივილიზაციათა შეჯახების ისტორიულ–პოლიტიკური და რელიგიური ასპექტები. თავისი ისტორიის მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მსოფლიო ცივილიზაციათა ურთიერთობა ყოველთვის გამოირჩეოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობით. მახლობელი აღმისავლეთის სივრცე და ბალკანეთი აქტიურად იყო ჩართული მსოფლიო-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პროცესებში. მსოფლიო პოლიტიკაში და კერძოდ გეოპოლიტიკაში არსებობს საიდუმლოდ მცული მოვლენები, რომელსაც ფარდას ხდის ისეთი მეცნიერება – როგორიცაა კონსპიროლოგია. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რეცენზენტი პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი **ქეთევან ჯიჯეიშვილი.**

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი, **ზურაბ კვეტენაძე.**

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009

ISBN 978-9941-14-520-9

http://www.gtu.ge/publishinghouse/

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შესავალი

ცივილაზაცია წარმოადგენს დიდი და მრავალფეროვანი სხვადასხვაობის სივრცეს. იგი განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების დონეს და ხარისხს, მატერიალურ და სულიერ კულტურას. ცივილიზაციები მართავენ კაცობრიობის სულიერ პროგრესს.

ცივილიზაციათა შეჯახების კონცეფცია ეკუთვნის ამერიკელ მეცნიერს სამუელ ჰანტინგტონს. კონცეფცია ავტორმა გამოხატა 1993 წელს ჟურნალ „თეორინ აფეარზში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ცივილიზაციათა შეჯახება“.

ჰანტინგტონი ამტკიცებს, რომ ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს მთავარი საფრთხე მსოფლიო ცივილიზაციების დაპირისპირებასა და მათ შორის მოსალოდნელ ომშია.

ჰანტინგტონი მსოფლიოში რვა ცივილიზაციას გამოყოფს: დასავლურს, სლავურ–მართლმადიდებლურს, კონფუციანურს, იაპონურს, ისლამურს, ინდუისტურს, ლათინოამერიკულს და აფრიკულს. იგი გვერძე ტოვებს ბუდისტურ ცივილიზაციას, მაგრამ

ზოგიერთები მას ე.ი. ბუდისტურს იაპონურ ცივილიზაციასთან ერთად განიხილავენ.

პროფესორ სამუელ ჰანტინგონის თეორიის მიხედვით ისტორია კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბლოკებს შორის წინააღმდეგობის მოხსნით კი არ დასრულებულა, არამედ გრძელდება საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული რელიგიური, პოლიტიკური და მსოფლმხედველობითი ღირებულებანი. ყველა ცივილიზაცია იბრძვის იმისათვის, რომ მოიხვეჭოს ყველაზე მეტი ძალაუფლება. ინგლისური ჟურნალის „ეკონომისტის“ რედაქტორმა ბრაიან ბილჰემმა ჰანტინგტონის თეორიის ანალიზიდან გამომდინარე მსოფლიო დაყო რამდენიმე ცივილიზაციად. მან გააკეთა რუკა და დაუსვა ცალკეულ ცივილიზაციას სიმბოლური ფიგურა, რომელიც მიანიშნებს ამა თუ იმ რელიგიაზე. **1.** ევროპა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა გაერთიანებულია ატლანტის ოკეანის ადგილზე და ჰქვია ევროამერიკა. ჩრდილოეთ ამერიკაზე გამოსახულია მუხლმოყრილი პურიტანელი თუ ბაპტისტი. სამხრეთში – გამოსახულია უნიფორმაში გამოწყობილი კონკისკატადორი სამკუთხა ქუდით. ევროპას არ გააჩნია სიმბოლო. **2.** ევრაზია ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეს ეწოდება ბალტიის ქვეყნების

გამოკლებით. სიმბოლური ფიგურაა რუსეთის მართლმადიდებელი პატრიარქი, ციმბირის ადგილას გამოსახულნი არიან კაზაკები. **3.** ისლამისტანი მოიცავს სივრცეს მაროკოდან ინდონეზიამდე. სიმბოლოა ფეხმორთხმული მუსლიმი მლოცველის ფიგურა აღმოსავლური ქალაქისა და პალმების ფონზე. **4.** ინდოეთის სიმბოლოდ აღიარებულია ღვთაება შივა, რომელიც არის კოსმიური წესრიგის განსახიერება. **5.** კონფუციანა – მისი არეალი არის ინდოჩინეთის ქვეყნები, საკუთრივ ჩინეთი და იაპონია, რომელთა სიმბოლოა დრაკონი და ბუდის ქანდაკება.

ბრაიან ბილჰემმის რუკის მიხედვით, რომელიც ზუსტი კონტურებით არის შესრულებული გარკვევით არ არის წარმოჩინებული რომელ არეალშია საქართველო, მაგრამ ვარაუდით იგულისხმება რომ იგი არის „ევრაზიაში“.

აღნიშნულ ცივილიზაციათა თეორიების კონცეფცია მკვლევართა უმრავლესობის მიერ არ არის გაზიარებული, მაგრამ იგი მაინც რჩება ერთადერთ გავრცელებულ ჰიპოთეზად.

თავი I. მსოფლიო ცივილიზაციათა გეოპოლიტიკური ასპექტები

“რკინის ფარდის” დაცემის შემდეგ დღევანდელი სამყარო გახდა სხვანაირი. მსოფლიოს ორი ზესახელმწიფოებრივი წესრიგი შეიცვალა მრავალპოლარულ და მრავალმხრივ კომუნიკაციურ სივრცედ. ახალი სამყაროს ჩამოყალიბების ჰორიზონტზე სახელმწფოთა საერთაშორისო დამოკიდებულების პრიორიტეტი ეთმობა აღიარებული ინფორმაციის სივრცეზე დაფუძნებული მფლობელების არც თუ ყოველთვის ეროვნულ სურვილს. ტრანსნაციონალური, საბანკო და მსოფლიო ფინანსური ქსელის სივრცე ხდება უფრო ავტონომიური და ყოვლისშემძლე, თუმცა სამყროს ტრანსნაციონალური კორპორაციები უკვე აღარ ფლობენ. მდგომარეობა საფინანსო ბაზარზე ამტკიცებს ტენდენციას, მის გამოსვლას კონტროლიდან და

პროგნოზს პროფესიონალური შესუსტების შესაძლებლობაზე. არ შეიძლება ითქვას, რომ სამყარო გახდა უკეთესი ან უარესი, ის გახდა უფრო ღია, მისაწვდომი. მსოფლიოში რომ ღირსეული ადგილი დაიკავო შეიძლება არა სხვისი მოდელის განვითარების ბრმა ნასესხი გზით, დასავლური მოდერნიზაციით, არამედ საკუთარი ტექნიკური მიღწევების საფუძველზე განსაკუთრებული სოციალური იდენტურობით. ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ სივრცეში არავინ არ ცდილობს უცადოს, როდის შეწყდება ამა თუ იმ ქვეყანაში რეფორმის იმიტაცია, ან გადალახავს ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ ვარდნას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყანაზე მას არ ჰყავს პრეზიდენტი და ერთიანი ღმერთი.

ცივილიზაცია წარმოადგენს დიდ მრავალფეროვან სხვადასხვაობის სივრცეს, ძირითად ობიექტს, ცივილიზირებული გეოპოლიტიკის ურთიერთსაწინა-

აღმდეგო ძალას. ანალოგიურად მსოფლიო ოკეანისა არსებობენ ცივილიზაციები ''ოკეანეები'', თავისი აქ-ტიური, ენერგიული სანაპიროებით. შეიძლება საე-რთაშორისო ეთნიკური კონფლიქტებისა და მიწი-სძვრების კერების დამთხვევა შემთხვევითი არ არის. ცივილიზაცია განსაზღვრავს საზოგადოების განვი-თარების დონეს და ხარისხს, მატერიალურ და სულ-იერ კულტურას. ცივილიზაციები მართავენ კაცო-ბრიობის სულიერ პროგრესს, განსხვავდებიან სის-ხლით (სლავური, რომანულ-ქრისტიანული). თანა-მედროვე ცივილიზაცია არის შერწყმა მიღწეული ტექნიკისა და მასთან დაკავშირებული კომფორტის.

ძველი ხანა, როცა არისტოტელეს აზრით ადამი-ანებს ყოფდნენ ''თავისუფალზე'' და ''ბუნებით მონა-ზე'' შეიცვალა ცივილიზაციით. ფართო გაგებით ცი-ვილიზაციას განიხილავენ, როგორც ხალხების და ქვეყნების მდგრად სოციო-კულტურულ ერთიანობას

(კულტურულ-ისტორიულ ტიპს), ასევე როგორც კულტურის ან კონფენსიალური მსოფლიოს (ქრისტიანული, ისლამური) სინონიმს. უფრო ვიწრო გაგებით ცივილიზაცია როგორც სუპერეთნოსი – ეს ხალხებია, კონსოლიდირებული სულიერი ნათესაობით, ფსიქოლოგიური მსგავსებით და ურთიერთსიმპატიებით. სუპერეთნოსები ხასიათდება სოციალურად არაერთგვაროვანი დროით, მათ შორის კონტაქტები კი ხშირად გვაძლევენ ნეგატიურ შედეგს. შეუძლებელია კონტაქტები ცივილიზაციებსა და სუპერეთნოსებს შორის არაერთგვაროვანი სოციალური დროით.

ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორი არის ერთი ძირითადი საძირკველი ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა, რაც პოულობს ანარეკლს ბუნებრივ იგივეობაში, ცივილიზირებული და უდიდესი ისტორიული მდინარეები, ხმელთაშუა ზღვები, ატლანტიკა და წყნა-

რი ოკეანე, დუნაი, სტეპი და სხვა. ადამიანის მოღვაწეობის მექანიზმის და ურთიერთობის დარეგულირების, მმართველობისა და წარმოების ტექნოლოგიებით გამოყოფენ ''ტრადიციულ'' და ''ტექნოლოგიური'' ტიპების ცივილიზაციებს.

თანამედროვე სამყაროში ცივილიზაცია ითვლება როგორც ''კომფორტი'', რომელიც ჩვენს განკარგულებაში აქცევს ტექნიკას. ტექნიკასთან არის დაკავშირებული ჩვენი შინაგანი მოთხოვნილება კულტურაც.

თანამედროვე ცივილიზაციაში გამოიყოფებიან, დასავლო-ევროპულ-ქრისტიანული, მუსულმანური, ჩინური, ბუდისტო-კონფუციონური, ლათინო-ამერიკულ კათოლიკური, მეზოაფრიკული (შავკანიანი აფრიკელები) და სხვები.

დასავლურ-ევროპული ცივილიზაცია შეიცავს რომაულ-გერმანულ მსოფლიოს, ანგლოსაქსურ და

ანგლოამერიკულ ეთნოსებს, მუსულმანურ-არაბულს, თურქულს და მალაიურს სუპერეთნოსებს, ჩინური ჩინურს, იაპონურს, კორეულს და ვიეტნამურ სუპერეთნოსებს. ლ.გუმილოვი გამოყოფს ასევე ევრაზიულ (რუსულ) სუპერეთნოსს. ცივილიზაციის ცენტრად გვევლინება ნაირსახეობა დროის სივრცისა, აგრეთვე სოციოფსიქოლოგიური, გეოეკონომიური და სხვა. დასავლურ-ევროპული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია გონიერების კულტურა, ადამიანის უფლებები, დინამიზმი, პრაგმატიზმი, ინდივიდუალიზმის პროტესტანტული ეთიკა და სხვა.

აღმოსავლური ცივილიზაცია გამოირჩევა მუსულმანური ინტეგრიზმით, პიროვნული განსაზღვრით, საერთო სოლიდარობით, სახელმწიფოს უპირატესობით ადამიანზე. იაპონური კულტურა გამოიხატება უწყვეტი კავშირით წარსულისა თანამედროვეობასთან და მათ შორის არ არსებობს მკვეთრი

გადასვლები. შეიქმნა იაპონური, სხვა კულტურებთან დიალოგის შემდეგი სქემა, იაპონური სული და ჩინური სიბრძნე, იაპონური სული და დასავლური ცოდნა. (რაციონალიზმი) და ბოლო ათწლეულებში ამერიკული ცოდნა.

თანამედროვე ცივილიზაციები განსხვავდებიან საზოგადოების სტრუქტურირების ხარისხით სამოქალაქო და ტრადიციული. დასავლო-ევროპულ სამოქალაქო საზოგადოებაში უპირატესობა ეძლევა არისტოკრატიულ შთამომავლობას. ჩინეთსა და ინდოეთში კი ტრადიციულ საზოგადოებას. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ცივილიზაციები განსხვავდებიან საგარეო ექსპანსიით. დასავლურ ქრისტიანული ცივილიზაციის ექსპანსია ვლინდება საზოგადოების სამოქალაქო უფლებების ძალით გავრცელების მცდელობაში. ჩინეთში კი ცივლიზაცია ლიდერობს ეთნიკურ ექსპანსიაში, დაფუძნებული ეთნი-

კური მეწარმეობის ეფექტურობაზე. ისლამურმა ცივილიზაციამ აირჩია რელიგიური ექსპანსიის გზა.

სივრცისა და დროის აღქმის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ კულტუროლოგიურ ტიპებს. ჩინური – შეგრძნება იძლევა უმოძრაობას და მთელი დროის შინაარსის დამტკიცებას ადგილზე, ინდური – მოძრაობა ცდილობს გაანადგუროს დროის მთელი შინაარსი და არარაობად აქციოს, ანტიკური გვაძლევს დროის დამწყნარებლურ წონასწორობას და მუდმივობას – ცივი ქანდაკება სუბიექტის სიცხეს და სხეულის ავადმყოფობის გარეშე, ძველებრაული ცხოვრების ისტორიული პროცესის აბსოლუტიზაციით და მომავალი საუკუნის წინასწარმეტყველებით. დაავლო-ევროპული სამყაროს შეგრძნება – მიმდევარი ებრაულ-ქრისტიანული ისტორიზმისა, აბულიტიზირებს პიროვნებას, ადამიანურ სულს.

ადამიანის ბუნების და ტექნიკის ურთიერთობაში შეიმჩნევა პრინციპული განსხვავებები. ებრაულ-ქრისტიანული დოქტრინა ურთიერთსაწინააღმდეგოდ აყენებს ადამიანს და ბუნებას, მაშინ როდესაც ბუდიზმი და ინდუიზმი ადამიანს განიხილავს როგორც ბუნების ნაწილს. დასავლეთში არსებობს საწინააღმდეგო ვერტიკალური შეხედულება ბუნებასა და ტრანსცედენტურ ღმერთს შორის, თუმცა აღმოსავლეთში ჰორიზონტალური ურთიერთდაპირისპირებაა ბუნებისა და ადამიანის. დასავლურ ტრადიციაში არ არსებობს ურთიერთდაპირისპირება ბუნებასა და ტექნიკას შორის. ამერიკის აღმოჩენის შედეგად დასავლეთევროპელები შეხვდნენ ცივილიზაციებს სხვა არაისტორიული მითოლოგიური წარსულიდან, დარწმუნებულნი თავის მორალურ უპირატესობაში, კონკისტადორები "ჩუქნიდნენ" მას ცეცხლისა და მახვილის საშუალებით დაპყრობილ ხალხებს, თუმცა

ცივილიზაციათა სისხლიან შეჯახებაში გეოგრა-
ფიულთან ერთად აღმოჩენილი იყო დიდი აღმოჩენა
ადამიანის უფლებების შესახებ, მის უფლებაზე და-
რჩეს თავისთავად. ეს უფლება იყო გამოყენებული
ჩრდილო-ამერიკულ საზოგადოებაში. ამერიკელები
მივიდნენ იქ სადაც მათ წარსული არ ჰქონდათ. მა-
სიური ემიგრაციის და დიდი ქარტიის საფუძველზე
შეერთებული შტატები უკვე საუკუნეებია რაც ლი-
დერობს მსოფლიო ეკონომიკაში. ძლიერი ნებისყო-
ფისა, გამოწრთობილნი წინააღმდეგობასთან ბრძო-
ლაში ამერიკელებმა შექმნეს დემოკრატიული საზო-
გადოების ერი, ცხოვრებისათვის საჭირო ღირსეული
ადამიანური უფლებებით. ლათინურ ამერიკაში ესპა-
ნელებმა ვერ შესძლეს დაემყარებინათ კონტაქტი მი-
თოლოგიურ წარსულთან, რაც იყო მიზეზი კინტა-
ვრის, ხიმერის წარმოშობის ცივილიზირებულ ქვე-
ყნებში, სადაც მძვინვარე კონფლიქტები და

ურთიერთგანადგურება მიმდინარეობდა, აღინიშნებოდა გამოცოცხლებული ეკონომიკური კონტაქტები, ამიტომ პოლიცენტრიზმის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალურობას მოითხოვენ ცივილიზაციების კომუნიკაციური საზღვრების პრობლემები, როდესაც წარმოიშობიან გზები რთული არჩევისა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უუნარობა გაყინონ საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტების ეთნონაციონალური და ეთნოკონფენსიონალური კონფლიქტები. მ. მამარდაშვილი აღნიშნავდა კეთილშობილურ მისწრაფებას დაიცვან ისინი, ვისაც ავიწროებს ევროპული ან სხვა კულტურული ცენტრიზმი, მაგრამ დაცვა შეიძლებოდა შეტრიალებულიყო თავისუფლებაზე და სხვა სამყაროზე უფლების წართმევით. იცვლება დედამიწის დემოგრაფიული სახე, მცირდება ევროპელი ხალხის მოსახლეობის რაოდენობა პლანეტაზე, შობადობის დაბალი მაჩვენებ-

ლის ნიადაგზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში, მომავალში ამ რეგიონებს მიიყვანს შემცირებისკენ მსოფლიო მასშტაბით. შესაძლებელია, ევროპამ გაიარა პიკი მისი რაოდენობისა და განიცდის ''კოლონიზაციის,'' ზეწოლას აზიელებისა და აფრიკელების მხრიდან. განსაკუთრებით მცირდება ევროპელების წილი აფრიკის კონტინენტზე. ბევრი XXI საუკუნეს ასახელებს აზიურად, რადგანაც აზიელებსა და აფრო-ამერიკელებს შორის ფართოვდება ''შავი ინტერნაციონალური'' მოძრაობა.

გეოპოლიტიკურ სივრცეში იმპერია და სახელმწიფო ურთიერთმოქმედებს მშვიდობიანი ურთიერთგაგების ან სამხედრო კონფლიქტების ნიადაგზე. სოციოკულტურულ სივრცეში ისინი აღწევენ ენერგეტიკულ გაცვლას ცივილიზაციური დიალოგის გზით, სადაც მთავარი ტრანსლიატორები არიან მარგინალური სუბკულტურები დიასპორას ჩათვლით.

გეოეკონომიკურ სივრცეში გამოიყოფება მსოფლიო – ეკონომიკები, საზღვრებზე პრეფერენციალური, კომუნიკაციონალური კვანძებით. სულიერ სივრცეში საზღვრები გადიან რელიგიური მრწამსით. თუ გეოგრაფიულ განზომილებაში მდინარეები, სივრცეები და მთები შეიძლება იყონ პატარა ან დიდი, მაშინ შეიძლება ისინი გადავლახოთ ტექნიკის საშუალებით. თუმცა სულიერად ვერც ერთმა მხედართმთავარმა ვერ შესძლო დაეპყრო მწვერვალები, გზა საიდანაც შესძლებდა გასვლას სინდისისაკენ. ცივილიზირებული უდიდესი მდინარეები მსახურობენ კომუნიკაციური კულტურის ღერძად, ვრცელი ველები ''დნობად ქვაბებად'', მათ მაღალი მთები ყოფენ.

ატლანტიკის ანალოგიურად, რომელიც ასრულებს ბარიერისა და კომუნიკაციურ ფუნქციას ძველსა და ახალ სამყაროს შორის, უდიდესი ევროაზიური სტეპოკეანე მსახურობს მთავარ კომუნიკაციურ ღერძად

ხალხთა და კონტინენტის მსოფლიო-ეკონომიკებს შორის.

როდესაც კონტინენტზე ბობოქრობს გეოპოლიტიკური ქარიშხალი, არანაკლები საშიშია შტორმი ცივილიზირებული ნაპირებისთვის და ევროაზიის სტეპების სივრცეების გახლეჩისათვის. ბევრმა სოციალურმა მოვლენებმა გვაჩვენეს, რომ ცივილიზაციური საზღვრის გადაკვეთისას ისინი იცვლიან თავიანთ თვისებებს და ის რაც თამაშობდა მთავ-არ როლს ერთი კულტურის ფარგლებში მეორეს დროს შეიძლება მიგვიყვანოს დამანგრეველ შედეგამდე, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ცივილიზაციური გეოპოლიტიკისთვის სოციალურ ეთნიკური კომუნიკაციის ისეთ სხვაობებს როგორიცაა ''კომპლემენტარულობა'' და ''კომპლიმენტარულობა''.

კომპლემენტარულობის აზრი არის ერთიანი სოციოკულტურული სივრცის საზღვრებში. იგი ერთმანეთთან ურთიერთწინააღმდეგობას კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს მას. მისი პრინციპია თეზისის აბსოლუტური მოწყვეტა ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძოლაში, როგორც განვითარების წყარო, რომელსაც მიჰყავს სისტემის დარღვევისკენ, ფუნქციონირებს მხოლოდ კულტურის საზღვრებში განსაზღვრული სტერეოტიპების ყოფაქცევაში. ძალადობა დაფუძნებული "პროგრესიულ" კულტურულ-ისტორიულ ტრადიციაზე სხვაზე აღძრავს ხიმერას, კენტავრს. ამ სახეობაზე ყურადღება გაამახვილა ლ.გუმილმა, როგორც ხშირი შემთხვა კომპლიმენტარულობის.

კომპლიმენტარულობა არის ტრანსცედენტული გაგება, რომელიც გამოდის მოცემული კულტურის ან ცივილიზაციის ემპირიული გამოცდილების საზღვრებიდან. განასხვავებენ ეთნიკურ და სუპერეთნიკურ კომპლიმენტარულობას. ლ.გუმილი იყენებდა დადებით და უარყოფით კომპლიმენტარულ დამოკიდებულებას ნებისმიერ ეთნიკურ სისტემისადმი. მაშინ როცა კომპლემენტარულობა ფუნქციონირებს მხოლოდ ქცევის გარკვეული სტერეოტიპის კონკრეტული ცივილიზაციის ფარგლებში. ეს არის განმასხვავებელი პრინციპი შინაგანად მსგავსების არსისა ''კომპლიმენტარულობისა'' და ''კომპლემენტარულობის''. კომპლემენტარულობა გამოიხატება შინაგანი სიმპატიის შეგრძნებით ეთნიკური კოლექტივის წევრებისადმი, რომელიც განსაზღვრავს გაყოფას ''ჩვენი'' და ''სხვისი''. დადებითმა კომპლემენტარულობამ განსაზღვრული კონტაქტის დროს

შეიძლება მიგვიყვანოს ეთნოსების შერწყმასა ან სიმბიოზამდე, უარყოფითმა კი – ხიმერამდე. ცივილიზაციების საზღვრებზე არაერთგვაროვანი სოციალური დროით დამახასიათებელია უარყოფითი კომპლიმენტარულობა.

სოციალური მარგინალიზაცია გამოხატავს სოციალური სტატუსის სწრაფ დაქვეითებას. მარგინალები–ლუმპენები შეადგენენ საზოგადოების დეკლასირებულ სოციალურ ფენას. საზოგადო ფენის დეკლასირების მარგინალები ხდებიან დამრღვევნი არსებული საზოგადოებრივი დამოკიდებულების. სოციალურ მარგინალებთან არის დაკავშირებული ბარბაროსობის თანამედროვე ტიპი - ტოტალიტარიზმი. პოლიტიკური მარგინალები - კომუნისტებია, ან ლ. ტროცკის თქმით – ''მომთაბარე რევოლუციონერები''. უძირო – მარგინალები მოვიდნენ მთავრობაში ხალხთა ქვედა ფენიდან კულტურის უცხო ტრა-

დიციებით. (გიტლერი და სტალინი) სოციოკულტურულ სივრცეში გამოიყოფიან უდიდესი მარგინალები ენერგეტიკული იდეის მატარებელნი.

ცივილიზაციის კომუნიკაციური ღერძი არის დერეფანი, რის საშუალებითაც ხდება დიდი შემობრუნება არა მარტო კაპიტალის, არამედ ინფორმაციისაც. მაგალითად, უძლიერესი მდინარეები ეგვიპტისა და ჩინეთის ცივილიზაციისათვის, სავაჭრო გზა ''ვარიაგიდან ბერძნებთან'' აღმოსავლეთ სლავიანებისთვის.

გეოგრაფიული დეტერმინიზმიდან გამომდინარე – ორი ერთნაირი ბუნების მქონე ადამიანი – მარგინალ ბიოსფეროსა და სოციოსფეროს – ქმნიან ეთნიკურ ზღვარზე ორ ენერგეტიკულ პოლუსს, პარადიგმს საფუძველზე ''სისხლსა და ნიადაგზე'' და სულის რელიგიურ პარადიგმს, ხალხთა ძალადობრივი "გაყოფა" სუპერეთნიკურ მიჯნაზე კონფ-

ენსიონალური ნიშნით, გარდაუვალია ენერგეტიკის სიძლიერე ''სისხლსა და ნიადაგზე'' და პირიქით, საზღვრების გაუქმება და ინტენსიური კულტურული და ეკონომიკური კონტაქტები ეთნოსებს შორის უზრუნველყოფენ სულის პოზიტიურ ენერგეტიკას.

უკეთესად რომ გავიგოთ ცივილიზაციების მრავალგანზომიანი კომუნიკაციური სივრცის ბუნება საჭიროა მივმართოთ სულიერ სწრაფვას მწვერვალისკენ, შექმნილი კაცობრიობის ენერგიით გადაკვეთილი უდიდესი ბუნებრივი და სოციოკულტურული საზღვრებით, რომელიც რჩება ჩაუქრობელი ათასეული წლების შემდეგაც, რომელიც ძველბერძნული მიკროკოსმოსის ნიადაგზე წარმოიშვა. უკეთ რომ გავიგოთ ცივილიზაციის კომუნიკაციური ბუნება განვიხილოთ ძველბერძნული ცივილიზაცია.

ძველბერძნული ცივილიზაცია – ხმელთაშუა ზღვის სოციალური სისტემა არ არის გეოგრაფია, არამედ გონიერების, ენერგიის მდგომარეობაა, კაცობრიობის ისტორიაში ძველბერძნულმა ცივილიზაციამ, როგორც მნათობმა კომეტამ იფეთქა ცისკამარაში, მისი ჩაუქრობელი სიკაშკაშე რჩება გზის გამკვლევ ვარსკვლავად, წაუშლელ წყაროდ ენერგიისა მრავალი თაობისათვის. საუკუნიდან-საუკუნემდე წარმოიშობოდნენ, ქრებოდნენ ერები, ქალაქები, სავაჭრო გზები, იცვლებოდა მდინარეების ნაპირები და ბუნებრივი ლანდშაფტები, მიუხედავად ამისა გამქრალი ძველი საბერძნეთი მუდმივად სტრატიფიცირებს, როგორც გამონაკლისი შემთხვევა მისი მრავალგანზომილებიანი კომუნიკაციური სივრცისა. მიკროკოსმოსში უძველესი საბერძნეთი გადაკვეთს სივრცეში და დროში უმსხვილეს ენერგოტევად კონტაქტურ ზონებს დედამიწისა – ბუნებრივი ''ხმე-

ლეთი-ზღვა" და ევრაზიის სოციალ-კულტურას. შეიქმნა მრავალგანზომილებიანი კომუნიკაციური სივრცის დიდი ეგეოსის ოკეანე – ხმელთაშუა ზღვის ექსცენტრირებული სისტემა. სადაც ყველგანაა, ყველასათვის გახსნილი ცენტრი, პერიფერია კი არსად არ არის. ეს არის გარე მსოფლიოსთვის გახსნილი პოლისების სიმრავლის თანავარსკვლავედი, რომლებიც თანაბრად მომგებიანად არიან განლაგებულნი საზღვაო კომუნიკაციების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის, ვაჭრობის უსაფრთხოებას და უპირატესობას.

ძველი საბერძნეთის ზღვის ნაპირებზე წარმოიშვა ბერძნებსა და ბარბაროსებს შორის კულტურული გაცვლის, ვაჭრობის და ინტენსიური ინფორმაციის ზონა. აზიასა და ევროპის შესახებ ბერძნულ ნიადაგზე დაბადებულმა წარმოდგენებმა მიიყვანა დასავლეთი და აღმოსავლეთი ურთიერთდაახლო-

ებამდე, რომელიც დარჩა აქტუალურ ძალად მრავალი ასწლეულის მანძილზე. ძველი საბერძნეთის კონცენტრიული წრის ირგვლივ შემდგომში წარმოიშობოდნენ ახალი მსოფლიო ვარსკვლავები - რომი, კართაგენი, სელევკია, ალექსანდრია, კონსტანტინოპოლი, იერუსალიმი. პოლისის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენს არა მმართველის სასახლე, არამედ აგორა (ქალაქის მოედანი) – თავისუფალი გაცვლის, ურთიერთობის და დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების არქიტექტურულად თავისუფალი ადგილი. ყველაზე დიდი კედლები იცავდნენ არა ქალაქს, არამედ პორტს – პოლისის საქმიანი აქტიურობის ცენტრს.

ელინური ცივილიზაციის საზღვრებზე იწყება არისტოტელეს და ალ. მაკედონელის ისტორიული აღმასვლა. ძველბერძნული ''სადნობი ქვაბი'' აერთიანებს თავის თავში ევროპისა და აზიის ღირსებე-

ბს. კონტაქტურ ზონაში ''ბერძნები – ბარბაროსე-ბი'' გამოიყოფა სამი ექსცენტრირებული პოლუსი მაღალი ენერგეტიკის; კრიტი, იონია და დიდი სა-ბერძნეთი, რომელიც ასხივებს საკუთარ მატერიკს. საბერძნეთის სოციალური და პოლიტიკური კონსტიტუციური აზროვნება შენდება სამი იდეი-საგან; კოსმოსის აგებულება, პოლისის აგებულება და სულის აგებულება. ძირითადი პოლიტიკური იდეა გამომდინარეობს კოსმოსთან კავშირით, პოლისსა და სულთან, საზოგადოება მაქსიმალურად უნდა იყოს ისეთი, რომ გამოხატავდეს რისგან შესდგება ადა-მიანი. ეს არის ვნება და ნეტარება, გონიერება და მგრძნობელობა, მოთხოვნილებები, ვაჟკაცობა, სამა-რთლიანობა და სხვა. მაგრამ როგორც პლატონის ფილოსოფია ამბობს ეს ყველაფერი უნდა იყოს წარ-მოდგენილი ჰარმონიაში, არ შეიძლება ყველაფერი დამოკიდებული იყოს ჭკვიანზე და ვაჟკაცზე, მეწა-

რმეზე ან მოვაჭრეზე, მხოლოდ იმის შემდეგ რაც მათ შორის იქნება ჰარმონია, შეგვიძლია მივიღოთ საერთო შედეგი, ძველი ბერძენი მოაზროვნეები ფიქრობდნენ სულის მოგზაურობიდან დაბრუნებას რეალურ სამყაროში ორი ერთნაირი ადამიანის – სადაც არსებობს კლანური და ბიოლოგიური კავშირები.

ნატურალური ელემენტები არწარმოშობილი აზრით, იწვევენ საზოგადოებაში არასამართლიანობას და ქაოსს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ჩაყლაპა ძველი ბერძნები.

ათონელი არისტოკრატის პლატონის აზროვნებაზე დიდი გავლენა იქონია მისი მასწავლებლის სოკრატეს სიკვდილმა, მოკლული, ათენის დემოკრატიის რეჟიმის მიერ. ათენი გაღარიბდა დამპყრობელ ომებში, რომელიც ნებისმიერ ფასად ცდილობდა უზრუნველყო უსაფრთხოება და მდგრადობა, თუნდაც საკუთარი მონობის ფასად. ისტორიის პა-

რადოქსი; ბოლოს და ბოლოს ბერძნები უარყოფენ თავის მთავარ აღმოჩენას – დემოკრატიას და უპირატესობას ანიჭებენ მონობას. პლატონი ამაზე თავის ნაწარმოებში "სახელმწიფო" ასე წერს: თავისუფლების ღვინით დამთვრალნი დემოკრატია თავზე ენგრევათ მმართველებს და თუ ისინი საკმარისად არ არიან რბილნი და არ აძლევენ ფართო თავისუფლებას ის სჯის მათ, როგორც დამნაშავეებს და ოლიგარქებს.

დემოკრატიაში არის ადამიანთა სამი სახეობა, ესენია; უსაქმურები და მფლანგველები, მათგან ვინც უფრო მამაცია დგას სათავეში, უფრო მშიშრები მათ უკან. დემოკრატიის მეორე კლასს მიეკუთვნება – მდიდრები, მესამე კლასს კი საკუთარი შრომით მცხოვრები ადამიანები.

სოციალური სამართლიანობის შეგრძნება უცხო იყო ძველი ბერძნებისათვის. – როგორიცაა ზრუნვა

დაჩაგრულებზე და განაწყენებულებზე. ისინი არ იყვნენ ჰუმანურები. ბერძნული ფილოსოფია ავლენს ''საიდუმლო'' დამოკიდებულებას მონობისადმი. საზღვარი თავისუფლებასა და მონობას შორის გადის მზად ყოფნაში სიცოცხლის შეწირვისა საკუთარი ღირსებისათვის და თუ ეს ღირსება არ გაგაჩნია – ადამიანი ხდება მონა. მამაცი ადამიანისათვის მთავარია – სიმშვიდე და თავისუფლება და არა ბედნიერება. თუმცა აუცილებელია მისწრაფება რათა ბედნიერები იყონ: მონები, ქალები, ბავშვები და ცხოველები. ძველი ბერძნები ცხოვრობდნენ არა ნათელი მომავლის იმედით, არამედ ''მარადიული სინამდვილით'', რითაც ცდილობდნენ ეპასუხათ მრავალრიცხოვან კითხვებზე ყოფიერების შესახებ. როგორ უნდა გადაილახოს საზოგადოებაში კონფრონტაცია და მიღწეული იქნას ხალხთა შორის შეთანხმება? ბრძენმა, ძველბერძნებმა გასცეს ლაკონიური პასუხე-

ბი; ‘‘შეიცანი თავი შენი’’, ‘‘დაიცავი ზომა’’ და ‘‘სარ-
ფიანი სიხარბე’’. ცხოვრებაში არ არსებობს წარსუ-
ლი და მომავალი – ყველაფერი აწმყოშია. აქედან
გამომდინარეობს ძველბერძნული და სლავური კულ-
ტურის ურთიერთწინააღმდეგობა. სლავები ცდილობ-
ენ დაიწყონ ახალი ცხოვრება – ხვალ, დღეს კი
შეიძლება მოდუნდე, მიბაძო სინამდვილეს ან ითაღ-
ლითო. ანტიკური სული აღორძინდა დასავლურე-
ვროპულ ცივილიზაციაზე, რაც თავისი კულტური-
სათვის თანამედროვე სამყაროში იყო მიმზიდველი.
ძველი საბერძნეთის მრავალრიცხოვანი არქეოლო-
გიური ძეგლები ასახავენ ჰარმონიას ბუნებისა და
ადამიანის, ჯანსაღ სხეულსა და ჯანსაღ სულს
შორის.

‘‘მარადიულ სინამდვილეში’’ მცხოვრებმა ძველ-
ბერძნებმა მომავალს გაუგზავნეს შეტყობინება ერთ-
ერთი მსოფლიო საოცრების მეშვეობით – ათენის

პარფენონში. ათენის პარფენონში ბერძნებმა მოახდინეს მსოფლიო წყობის მოდელის კოდირება მათ მიერ შექმნილი მიკროკოსმოსით. ათენის პარფენონის ნარჩენები მიეკუთვნება მსოფლიო არქიტექტურის ძეგლებს. თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობები საშუალებას გვაძლევენ აღვადგინოთ ეს არქიტექტურული შედევრი ნატურალურ სიდიდეში, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ კოპია. ძველბერძნული ტაძრები ქრისტიანულებისაგან განსხვავებით არ იყვნენ გათვალისწინებული მათ შიგნით ლოცვებისათვის. ამგვარად მიიღწეოდა ჰარმონია პოლისის, სულის წყობილების და მიკროკოსმოს შორის მოცემულ ადგილებზე და სოციალურ დროში.

ცივილიზირებული კოდი - არის მდგრადი კულტურულ-გენეტიკური თვისება მიკუთვნებული ამა თუ იმ ცივილიზაციას. ისტორიულად დალაგებული კო-

მუნიკაციათა (ურთიერთობების) სისტემა, ინტეგრირებული ბუნებრივ – გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სხვა ნიშნების ადგილობრივ ტრანსფორმაციაში, უზრუნველყოფს ცივილიზაციებს და სხვა რეგიონალური საზოგადოების მრავალგანზომილებიანი სივრცის ერთიანობას და გამოძახილებისაგან დაცვას. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანას შეუძლია დადგეს წინააღმდეგ ყოველგვარ შინაგან გამოძახილზე, თუ მასში შენარჩუნებულია მისი მენტალიტეტი, ცნობიერების ფასეულობა.

კულტურულ – გენეტიკური კოდი ფუნქციონირებს მხოლოდ კულტურის საზღვრებში განსაზღვრულ სტერეოტიპურ ყოფაქცევაში. ძალადობრივი ზეწოლა ''პროგრესიულ'' კულტურულ – ისტორიულ ტრადიციას მიჰყავს დამანგრეველ მოვლენამდე სხვისი ცივილიზაციისათვის. განსაკუთებით ამორალური

და დამანგრეველია, ნასესხი გზით სცადო უარყო შენი ბუნების ”ფესვები”. ეთნოგენეზის თეორიაში ამ განსხვავებამ ნახა ანარეკლი ‘‘კომპლიმენტარულობის’ და ‘‘კომპლემენტარულობის’’ გაგებაში. დასავლეთის ცივილიზაციაში მთავარ ‘‘ბირთვს’’ წარმოადგენს ადამიანი, წარმოქმნილი მრავალგანზომილებიანი სივრცის იმანენტურ სამყაროში. აღმოსავლურ ცივილიზაციაში დომინირებს წარმოდგენა სამყაროს ექსცენტრიულ მოწყობაზე. დღევანდელი დასავლურ – ქრისტიანული და ისლამური ცივილიზაციის კულტურა დაფუძნებულია კონფესიონალურ თეორიაზე. ცივილიზაციბს ღრმა ისტორიული მეხსიერებით, ჩინური და ინდური – არ გააჩნიათ ერთიანი რელიგია.

ჩინური ცივილიზაცია არის ბუდისტურ-კონფუციანური, რომელიც წარმოადგენს ფილოსოფიურ მორალს, წარსულში შემწყნარებლური ფორმით სახე-

ლმწიფო რელიგიისა. ინდური კი ინდუისტური.

აღმოსავლურ-ქრისტიანულმა ცივილიზაციამ XX საუკუნეში გზა დაუთმო საბჭოურ ცივილიზაციას, დაფუძნებულს ევრაზიული სუპერეთნოსის უპირატესობის იდეოლოგიაზე. ''სოციალისტური ბანაკის'' დაშლის შემდეგ შემორჩა გახლეჩილი აღმოსავლურ მართლმადიდებლური ცივილიზაცია. ისტორიული სცენიდან საბჭოთა ცივილიზაციის გასვლა არ ნიშნავს მართლმადიდებლური ცივილიზაციის გარდაცვალებას.

ცივილიზაციის მრავალგანზომილებიან კომუნიკაციურ სივრცეში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ბიპოლარული დაძაბულობის უდიდესი წყარო კაცობრიობის ენერგიისა. ბიპოლარული პრინციპით მიდიოდა ჩამოყალიბება ძველბერძნული და ჩინეთის ცივილიზაციის. ამ პრინციპზეა აგებული აშშ-ს კომუნიკაციური სივრცე. ორი პოლუსის შექმნამ –

ეკონომიკურისა და ტექნოლოგიურისამ ხელი შეუწყო ეფექტურად აეთვისებინა ჩრდილო-ამერიკული ქვეყნის ტერიტორიული სიღრმეები. XXI საუკუნეში კი რეალურად არის ჩამოყალიბებული ეკონომიკური-ტექნოლოგიის საფუძველზე კალიფორნია, აზიურ-წყნარი ოკეანის რეგიონი, სადაც გამოირჩევიან განვითარების ტემპით – იაპონია, სამხრეთი კორეა, სინგაპური, ტაივანი და ჩინეთის ზღვის სანაპირო რაიონები.

ცივილიზაციის საზღვრები გადის არა მარტო გეოგრაფიულ, არამედ ადამიანის სულიერ სამყაროში. ეთნონაციონალური და ეთნოკონფესიონალური კონფლიქტები, ზღვარი საწინააღმდეგოდ მდგომი ცივილიზაციის წარმოქმნისა, სადაც მიმდინარეობს ცივილიზაციის გაწყდომის გამოუცხადებელი მთავარი ომი. მაგალითად, შეჯახება – დასავლურ ქრისტიანულსა და ისლამს შორის ხდება ცვალე-

ბადი წარმატებით. ისლამმა გაიმარჯვა ავღანეთში, ირანში, ალჟირში, ჩეჩნეთში. დასავლეთის ქრისტიანები, დარწმუნებული თავის კულტურულ – ისტორიულ მისიაში, რომელიც წინ აყენებს დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის და ადამიანის პრინციპებს, იწვევენ გაღიზიანებას ისლამური რადიკალიზმის მომხრეებში. ასევე არ არის მოხსნილი ათასწლოვანი წინააღმდეგობა დასავლეთ ქრისტიანებსა და მართლმადიდებლებს შორის. (ხორვატია, სერბეთი, კოსოვო, ლიბანი, ქურთისტანი, ერაყი, ირანი, ავღანეთი, ყარაბახი, ჩეჩნეთი, აფხაზეთი, დნესტრისპირეთი).

ევროაზიაში გაძლიერდა ტენდენცია ეთნიკურ და კონფესიონალური ნიშნების მიხედვით – განსაკუთრებით კი – ბალკანეთზე, კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში, კონფლიქტები შეიძლება გახდეს მესამე მსოფლიო ომის მიზეზი.

აღმოსავლო-ქრისტიანული ცივილიზაცია ხასიათდება საზოგადოების წყობის კრიზისით – როგორიცაა: ძალაუფლება, სამხედრო დოქტრინა, ეკონომიკა, რელიგია და ზნეობა. გრძელდება მართლმადიდებელი სლავების გამოსვლა დაწყებული სერბინიდან რომელიც დღემდე გრძელდება, ცენტრალური აზიიდან და ამიერკავკასიიდან, გროზნოდან და სასაიევოდან. ბალკანეთზე მიმდინარეობს მართლმადიდებელი სლავების მუსულმანების (ბროსნიელების, კოსოვოელების) გამიჯვნა. გეოპოლიტიკურ ღერძზე სამხრეთ-ჩრდილო აღმოსავლეთის სლავები კონსტანტინოპოლზე ოცნებობდნენ, რუსულენოვანნი კი ფორმის ცენტრად მიიჩნევდნენ სევასტოპოლსა და ოდესას. საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ, უფრო ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა ეთნონაციონალური და ეთნოკონფესიონალური კონფლიქტები, ამიტომ პოლიცენტრიზმის პირობებში განსაკუთრე-

ბულ აქტუალურობას იჩენენ კომპლიმენტარული ურთიერთობების ფორმის თანამედროვე ძებნის პრობლემები, რომლებსაც შეუძლიათ ეთნონაციონალური და ეთნოკონფესიონალური კონფლიქტების შერიგება.

კაცობრიობამ შეაბიჯა ცივილიზაციათა სამ ათასწლოვან დიალოგში, რომელიც ატარებს ურთიერთგაგების, ღირებულების გაცვლის, ინფორმაციის გავრცელების ფორმას და ამარცხებს კონფლიქტს. ძველსა და ახალ სამყაროში ცივილიზაციის დაპირისპირებამ ჩაუყარა საფუძველი წარმოდგენას ადამიანის უფლებებზე, უფლებებზე დარჩეს თავისთავად. ეს უფლება იქნა ხორცშესხმული ძველსა და ახალ სამყაროს შორის. ცივილიზაციის ურთიერთმოქმედების გამოცდილება გვაძლევს სხვადასხვა სტრატეგიულ განვითარებას. ჩინეთის ცივილიზაცია, უძველესის ჩათვლით, ამარცხებს წარმოდგენას ისტორიულ მიზიდულობასა და უპირატესობაზე. წარ-

სულში არა ერთ გზის პოლიტიკურმა ცვლამ, ჩინეთს გარეგნულად დახმარება გაუწია, შეეცნო დამღუპველი მოქმედება ნასესხი ტრადიციის. ამავე დასკვნამდე მივიდა მუსულმანური სამყარო, რომელმაც განიცადა კრახი საზოგადოების განვითარებაში დასავლური ნასესხი იდეების გამოყენებაში. თავისი თვისებები გააჩნია ინდურ, მალაიურ და სხვა ცივილიზაციებს. დასავლეთში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ეკონომიკურ გარდაქმნას წინ უნდა უძღვებოდეს პოლიტიკური, რის ნიადაგზეც დემოკრატიამ დაამარცხა კომუნიზმი. ასე ფიქრობდნენ საბჭოთა კავშირში გარდაქმნის წინ. ეხლა კი ეს სახელმწიფო არ არსებობს, როგორც არ არიან გამარჯვებულები. პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური კრიზისი დომინირებს რუსეთში და მრავალ დამოუკიდებელ ახალ სახელმწიფოში. ჩინეთი კი ამჯობინებს ეკონომიკურ ცვლილებებს ვიდრე პოლი-

ტიკურ კურსს. ცივილიზაციების პოლიცენტრიზმი და სოციოკულტურების მრავალფეროვნება წარმოადგენს ბარიერს გეოპოლიტიკური სტრატეგიებისათვის. ერთი ცივილიზაციის ხალხების გრძელ ვადიანი თანაარსებობა და ინტენსიური ტერიტორიული კონტაქტები ხელს უწყობენ ერთგვაროვნების გამყარებას ტრადიციებში და სოციალური სტრატიფიკაციის შემცირებას. ცივილიზაციათა მიჯნაზე, როგორც წესი ეს არ ხდება. საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ არსებობას კუბაში, ვიეტნამში, ანგოლაში, სირიაში, ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში თან ახლდა საბჭოური კულტურის მასიური და გრძელვადიანი დანერგვა, რომელმაც თითქმის არ დატოვა ნაკვალევი ადგილობრივ ხალხებში.

სამღვდელოება – ძირითადი მამოძრავებელი ძალაა საზოგადოების ცივილიზირებული რეფორმის. სოკრატემ პირველმა ისტორიაში, დააყენა საკითხი

ფილოსოფიურ პიროვნებაზე თავისი გადაწყვეტილებებით, ნაკარნახევი სინდისით: თუ მე ვიცი, რომ სწორედ მე ვარ, მაშინ მე აგრეთვე ვიცი, ის რომ მე უნდა ვიყო მხოლოდ ის ვინც ისწავლა საკუთარი თავის მართვა და შეუძლია უბრძანოს სხვებს. პლატონის აზრით მხოლოდ შემოქმედი, ცხოვრების იდეებით ხელმძღვანელი ახორციელებს ზნეობრივ იდეას, წარმდგენი სულის წყობისა და ჰარმონიისა. არისტოტელეს აზრით – სული არის გონების ენერგია.

მსოფლიო რელიგიამ – ქრისტიანულმა, ბუდისტურმა და ისლამურმა გაიკვლია სოციალური პროგრესის გზა ადამიანის სულიერ სივრცეში. ამიტომაც მორწმუნეთა რიცხვი ასეთია: ქრისტიანები აერთიანებენ 1,4 მილიარდ მორწმუნეს, ამათგან კათოლიკები – 800 მილიონი, პროტესტანტები – 400 მილიონი, მართლმორწმუნენი და სხვები 200

მილიონი. მუსულმანებმა XX საუკუნეში მიაღწიეს 1,2 მილიარდამდე. ბუდისტებმა – 800 მილიონს, აღმოსავლეთში შობადობის ზრდასთან ერთად იზრდება მორწმუნეთა რიცხვი.

მოსახლეობის სწრაფი ზრდა XX საუკუნეში, უზრუნველყოფილი საზოგადოების ტექნოლოგიური პროგრესით არ იყო სასულიერო პროგრესისთვის ადეკვატური. მორწმუნე ადამიანი რომელიც არავის ინდივიდუალურობას არ აყენებს მსოფლიოს შემეცნების ცენტრში განწირულია ზნეობრივი დაცემისთვის. თუ აღორძინების ეპოქაში ადამიანი კაცობრიობის ცენტრში აყენებდა პიროვნულობას, მაშინ რეფორმის ეპოქასთან – თავის თავს როგორც ასეთი.

ეპოქაში უდიდესი სულიერი სამყაროს აღმოჩენისა ანდა ''ღერძულ ეპოქაში'' 800 და 200 წლებში ჩ.წ.აღ-მდე, კითხვაზე – რა არის ცხოვრების აზრი

ცდილობდნენ ეპასუხათ: ინდოეთში ბუდას, ჩინეთში – კონფუცს, სპარსეთში – ზარატუსტრას, სოკრატეს, პლატონს და არისტოტელეს საბერძნეთში, ილიას, ისაიას და იერემიას პალესტინაში. ამ უდიდესმა მოაზროვნეებმა მეტი ზეგავლენა მოახდინეს ცივილიზაციის განვითარებაზე, ვიდრე მთელმა მხედართმთავრებმა ერთად აღებული. მათ მიერ შექმნილი სულიერი სამყარო აერთიანებდა მილიონობით ადამიანს. თუმცა ამ უძველეს ჭეშმარიტებას წინ უძღვის ვრცელი გასავლელი გზა ადამიანების უფლებამდე. ბუდიზმის დამფუძნებელმა უპირატესობა მიანიჭა არა ძალადობას, არამედ შემოქმედებას, როგორც ერთადერთი საშუალება სამყაროსა და ადამიანის სრულყოფაში.

XX საუკუნეში, სახელმწიფო მოღვაწე, მახატმა განდი მოუწოდებდა არა ძალადობისკენ, ამით ამტკიცებდა პოლიტიკური მოღვაწეობის უმაღლეს ეთი-

კას. რითაც უნდოდა ეთქვა: "ძალადობა სინამდვილეში შინაგანი სისუსტის გამოხატვაა". რელიგიურ-ეთიკური სწავლების მთავარი მატარებელნი გახდნენ ქრისტიანულში – მაწანწალა მოხელეები, ისლამში – ძალადობით მსოფლიოს დამპყრობნი, ბუდიზმში – გამჭვრეტი – მოხეტიალე ბერები. ინდუიზმში – სამყაროს მაგიით მომწესრიგებელნი. კონფუციანურში – ბიუროკრატების, სამყარო სადაც ძალაუფლებას ფლობდნენ ჩინოვნიკები.

უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს, მაინტეგრირებელ როლზე პრეტენზიას აცხადებდა ქრისტიანობა. ცივილიზაციებს შორის, სადაც გაერთიანებული იყო აღმოსავლეთის და დასავლეთის საწყისები. თუმცა "სარწმუნოებრივი უპირატესობა" ევროპული კულტურის, იწვევდა მეტ წინააღმდეგობას აზიისა და აფრიკის ხალხებში. აქ თავს იყრის მოძრაობის ძალა ევროპოცენტრიზმის წინა-

აღმდეგ. აზია და აფრიკა უარყოფენ გაგებას ''უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენა'', სამართლიანი გულისწყრომით აღნიშნავენ ევროცენტრულ მიდგომას მსოფლიო ისტორიისადმი.

არაერთნაირ სოციალურ ვითარებაში, სოციალურ საზოგადოებაში ადამიანთა ერთიანობა აღმოჩნდა მაცდური ''აჩუქოს'' თავისი მსოფლიო შეგრძნება სხვა ხალხებს და ეს ისტორიაში წყდება ცეცხლითა და მახვილით. ბუნებამ იზრუნა ცდუნების დაძლევაზე იმით, რომ შექმნა მრავალკომუნიკაციურ სივრცეში ინტენსიური ურთიერთქმედებების ენერგეტიკული ველები. წინააღმდეგობისა და სუპერეთნიკურ საზღვრებზე მიმდინარეობს კულტურული დიალოგის მუდმივი ძიება. ცივილიზაციები მართავენ კაცობრიობის სულიერ პროგრესს. მათ საზღვრებზე შეიქმნა მსოფლიო რელიგიები და ადამიანის უფლებები – სულიერი პროგრესის მამო-

ძრავებელი. ევრაზიული ცივილიზაციების მიჯნაზე ბუნდოვან დროში გამოჩნდნენ წინასწარმეტყველები. სოციალურ რელიგიაში გამოიყოფა ოთხი ტენდენცია: ნათელი მომავლის რწმენა, უკან დაბრუნების ცდა, რეალურ სინამდვილედან გასვლა, სარწმუნოებრივი სამყაროს გარდაქმნა. თუმცა საკმარისი არ არის იცნო თავი მორწმუნედ. კანტის რწმენით ღმერთის ინტერპრეტაცია უპირველეს ყოვლისა არის იმედი საკუთარი ზნეობის ძალის.

თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული აქტუალურობა ენიჭება ცივილიზაციათაშორისო დიალოგის სხვა და სხვა ფორმებს. მაგალითად ასე: სავაჭრო გაცვლის ტრანსლიატორებად გამოდიან ღია ქალაქები. ''რკინის ფარდის'' დაცემის შემდეგ გაჩნდა მოსაზრებები აღმოსავლეთის და დასავლეთის საზღვრებზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის თაობაზე. დიდი როლი ცივილი-

ზაციურ დიალოგში ეკუთვნის ჩამოყალიბებულ ერთიან ინფორმაციულ განზომილებას და აგრეთვე პირადობის კომუნიკაციას. დიალოგის მთავარ ტრანსლიატორად ითვლება მარგინალური სუბკულტურა ან კულტურულ – მარგინალური კლანი.

გამოიყოფება რამოდენიმე ფუნქციონალური ტიპი მარგინალური სუბკულტურის. კონფესიონალურ ტიპს მიეკუთვნება: ბაპტისტები, მორმონები და სტაროვერები, ეთნომეურნეობის ტიპს კი წარმოადგენს ეთნიკური მეწარმე. განსხვავდებიან გეოეთნიკური სუბკულტურები, ისეთები როგორიცაა: – ზღვისპირელები, მთიელები, ციმბირელები, კაზაკები და სხვები. განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ დიასპორები, აგრეთვე წოდებრივი და ოჯახური კლანები.

რეალურ ყოფადობაში უმთავრესად გვხვდებიან შერეული ტიპები. მაგალითად: – კაზაკები ერთდროულად არიან მარგინალები ადგილის მიხედვით

და რელიგიის. ბიკულტურალი – ორი კულტურის ადამიანი, მარგინალები, სისხლის მიხედვით ახორციელებენ ეგზოგენურ ურთიერთეთნიკურ გადაცემას წარმომადგენლობათა ინფორმაციით, რომელიც ავსებს გენოფონდის სიმდიდრეს და ხელს უწყობს ტალანტების შობადობას.

სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე დამოკიდებული მარგინალები თამაშობენ ორგზის როლს საზოგადოების განვითარებაში: - დადებითსა და უარყოფითს. თუ კულტურულ – მარგინალური საზოგადოება ასრულებს შემოქმედებით ფუნქციას, მაშინ სოციალურ – მარგინალური კლანი ასრულებს ორგანიზებულ დანაშაულებათა უსაფუძვლო შემოქმედებით ფუნქციას – ლუმპენ პროლეტარიატს და სხვა დამანგრევლებს. დასავლურ ევროპაში და აშშ-ში მარგინალური კლანების ნიადაგზე შეიქმნა ეთნიკური მრეწველობა. ის წარმოიშვა კრიმინალურ

კლანური სტადიის გავლით, მაგრამ ჯერ ვერ გადავიდა ცივილიზირებულ საბაზრო ურთიერთობებში. მარგინალური სუბკულტურები, რომლებიც განიცდიან სხვების სოციალურ-ფსიქოლოგიურ დისკომფორტს, შეიძლება სახელმწიფოებში მეხუთე კოლონად იქცნენ.

საზღვარგარეთ განსაკუთრებული ადგილი უკავია ხალხთა დიასპორას – დიასპორა თავისებური ეთნიკური ფენომენია, წარმოშობილი ისტორიულ ეთნიკური ჯგუფის საფუძველზე სამშობლოსაგან მოწყვეტილნი თვითგაიგივებულნი ერთიან ხალხთან. XX საუკუნე ემიგრანტების "ვარსკვლავთა საათია", რომლებმაც შექმნეს დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის საზღვრებზე მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყანა აშშ. რიცხობრივად გამოიყოფა – ჩინური 55 მილიონი, რუსული 25 მილიონი, ებრაული 11 მილიონი, უკრაინული, ინდური,

სომხური, ირლანდიური დიასპორები. დიასპორას ბედის უპირატესობა განპირობებულია გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით, მაგალითად:

– უკრაინული გეოგრაფიის დიასპორა ითვლის საშუალოდ 11 მილიონს. აქედან რუსეთში ცხოვრობს 5 მილ., ყაზახეთში 0,8 მილიონი, მოლდოვაში 0,6 მილიონი, კანადასა და ამერიკაში 730 ათასი. ამერიკელმა სოციოლოგებმა ჩამოაყალიბეს აკულტურაციის შემდეგი კანონზომიერება. მსოფლიო დიასპორები ფლობენ საზოგადო სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს და ეკონომიკურ შესაძლებლობას მოახდინოს არსებული ზეგავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე. ებრაულის, ჩინურის, სომხურის და სხვა დიასპორების ისტორიული გამოცდილება მოწმობს აქტიურ სამეურნეო მოღვაწეობაში მათი მოტივაციის უმაღლეს დონეს.

ჩინური 55 მილიონიანი დიასპორა ეკონომიკური პოტენციალით უპირისპირდება ''ისტორიულ სამშობლოს'', სადაც მოცულობით ლიდერობს საზღვარგარეთულ ინვესტიციასთან. რუსეთის იმპერიამ თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო დიასპორას ფორმირებაში, საბჭოთა წყობილების იძულებითი და ნებაყოფლობითი ემიგრაციის შედეგად რუსეთის ინტელიგენციაში წამოიჭრნენ სოციო-კულტურული ფენომენები: ''რუსული ბერლინი'' – ა. ტოლსტოი, ა. ბელი, ნ. ბერლიაევი, ი. ელენბურგი, ''რუსული პარიზი'' – ი. ბუნინი, დ. მერეჟკოვსკი, ზ. გიპიუსი და მრავალი სხვა, ''რუსული შანხაი''. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსი ხალხი გადაიქცა ''გაყოფილ ნაციად.'' რუსების რამდენიმე თაობის ისტორიულ სამშობლოდ, ითვლება ნოვორასია, ყირიმი და სემირეჩიე. სამხრეთ ყაზახეთში რუსები შეადგენდნენ ადგილობრივი მოსახლეობის 70-80 პროცენტს,

ლატვიაში, ესტონეთში, უკრაინაში, ყირგიზეთში და სხვაგან ქმნიან ერთა ''სეტყვისებურ ჩამოყალიბებას''. აქ რუსი საზღვარგარეთელი ლიდერობს კერძო წარმოებაში, თუმცა მოგებას ყოველთვის ვერ აღწევს.

აღმოსავლეთ ცივილიზაციებში ტრადიციული საზოგადოების კლანური სტრუქტურა გახდა საბაზრო ურთიერთობების განვითარების საფუძველი. მიანობის შემდგომ იაპონიაში ასეთ საყრდენად იყვნენ ფეოდალური კლანები, ამჟამად ჩინეთში – თემური კლანები, ამერიკული სამხედრო ადმინისტრაცია იაპონიაში და კომუნისტური პარტია ჩინეთში, რომლებიც ზღუდავდნენ კორუმპირებულ ადგილობრივ ელიტას, უზრუნველყოფდნენ მაღალეფექტურ სახელმწიფო რეგულირებას და საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირებას.

რუსეთში რევოლუციამდე საქმიანი ელიტა ასევე შედგებოდა სტაროვერების, მუსულმანების, ებ-

რაელების, პროტესტანტების და ეთნიკური მარგინალური სუბკულტურისაგან. რუსული იძულებითი რეფორმის ჩატარებით დაინგრა ტრადიციული საზოგადოების ყოფადობა, ამჟამად რუსეთში, უკრაინაში და სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში საზოგადოების ჯანსაღი დიფერენციაციის და სტრუქტურიზაციის პირობების შექმნა ხდება არა ქვემოდან არამედ ზემოდან. იქმნება მრავალრიცხოვანი ''შესაქცევი პარტიები,'' რომლებიც გვანან ერთმანეთს როგორც ტყუპი ძმები, ყალიბდება სოციალურ-ეკონომიკური შეტყობინებები, როცა სოციალური ტრანსფორმაციის რეალურ მექანიზმად ხდება კლანური ორგანიზაციული დანაშაული, რუსეთში ამას ხელს უწყობს ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სივრცის კონფლიქტური სტრუქტურა, სადაც დომინირებს ეთნიკური მრეწველობა, რომელიც ეყრდნობა ეროვნული უმცირე-

სობების ეთნოჯგუფურ სოლიდარობას და სათვი-
სტომო კავშირებს.

თავი II. ისლამური ცივილიზაცია

კაცობრიობა მე-3 ათასწლეულში ცივილიზაციის დიალოგის წლით შევიდა. ეს ინიციატივა მომდინარეობს ირანიდან. მას მხარი დაუჭირეს იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც შედიოდნენ მთავრობათა შორის ორგანიზაციაში „ ისლამური კონგრესი“.

ისლამური ცივილიზაცია – ერთ-ერთი აღმოსავლური ცივილიზაციაა, რომელიც დაფუძნებულია ტრანსცენდენტურ ნებაზე, რაც გულისხმობს ადამიანის დაქვემდებარებას. იქ საზოგადოებრივი სოლიდარობა და ინდივიდუალური თვითშეზღუდვა ცალკეული პიროვნებების ინტერესებსა და უფლებებზე მაღლა დგას. სამყაროს გრძნობადი აღქმა საჭიროებს რაციონალისტურ მიდგომას, რაც ესოდენ დამახასიათებელია დასავლეთისათვის.

ისლამი ყველაზე ახალგაზრდაა სამი მსოფლიო რელიგიიდან. ისლამი, რომელსაც ცოტა იდეა როდი უსესხებია ქრისტიანობისა და იუდაიზმისაგან, არ იფარგლება მხოლოდ კონფესიური სფეროთი. ისლამი – ქცევის კოდექსიცაა, მორალურ ფასეულობათა სისტემაც და ცხოვრების წესიც. ისლამის მიმდევრებს მუსლიმანებს უწოდებენ. რელიგიურ-ეთნიკურ და სამართლებრივ მითითებათა ძირითადი კრებული, რომელიც გადმოცემულია ყურანში, აყალიბებს მოქმედების სახეს, ანუ სწორ გზას (შარიათი). პოლიტიკური ბრძოლის შედეგად ორთოდოქსულ ისლამთან ჩამოყალიბდა მუსლიმანური რელიგიის მეორე ძირითადი შტო – შიიზმი. შიიტები (ირანი, აზერბაიჯანი და სხვა) სუნიტებისაგან განსხვავდებიან (არაბულ ქვეყანათა უმრავლესობა) უზენაესი ხელისუფლების ინსტიტუტის განსაკუთრებული გაგებით.

არაბელ დამპყრობთა შედეგად სპარსეთის ისლამიზაცია მიმდინარეობდა იქ შემორჩენილი ქრისტიანობის და ელინიზმის ტრადიციების ზეგავლენით. კულტურათა მიჯნაზე წარმოქმნილმა სულიერმა ძალამ (სუფიზმი) მშრალი, კანონიკური ისლამი ხატოვანი აზროვნების დომინირებით უფროემოციური, გრძნობადი, გულითადი გახადა.

მთელი მსოფლიოს მუსლიმანთა წმინდა ცენტრად მექა იქცა. იქ დაიბადა წინასწარმეტყველი მუჰამედი, იქვე მდებარეობს მუსლიმანთა ძირითადი სალოცავი ქააბი („კუბი“) წმინდა ტაძარი. ქააბის ერთ-ერთ კედელში ჩატანებულია მეტეორიტული წარმოშობის შავი ქვა, რომელიც არაბთა ისლამამდელი ეპოქის თაყვანისცემის საგანია. მექის წმინდა ქალაქში – მედინაში არსებობს უზარმაზარი მეჩეთი, რომელიც აღმართულია მუჰამედის სახლის ადგილას, იქ, სადაც წინასწარმეტყველი გარდაიცვალა. შიიზმის

წმინდა ცენტრებს შორის ირანი, ენაჯაფი და ქერბელა გამოირჩევა. იქ შენახულია შიიტელ იმამთა აკლდამები. მუსლიმანური კალენდარი წელთაღრიცხვას წინასწარმეტყველ მუჰამედის მექიდან მედინაში „გადასახლების“ („ჰიჯრის“) დროიდან (ქრისტეს დაბადებიდან 622 წელი) აწარმოებს. ახალგაზრდა ისლამური ცივილიზაცია (ჰიჯრიან 1422 წელს მუსლიმანური კალენდრის მიხედვით) ეროვნული წარმომავლობისა და რელიგიური კუთვნილების პრინცეპებზე დაყრდნობით ხალხთა თვითშეგნების გამოღვიძებას განიცდის. თუ კი ერთმანეთს დავუპირისპირებთ ევროპულ და მუსლიმანურ ცივილიზაციათა სოციალურ დროს, მაშინ ეს ევროპის ჯვაროსნული ლაშქრობების, აღორძინებისა და რეფორმაციის დრო იქნება. მხოლოდ ევროპელთა სამეცნიერო-რაციონალისტური გონების წყობის მეშვეობით გახდა შესაძლებელი დიალოგი „ურწმუნოებთან“ (მუსლიმანებთან).

მუსლიმანი ხალხები გამსჭვალულნი არიან მაღალი პასიონალურობით. ისლამური ცივილიზაცია მსოფლიო მოწყობის საძირკვლად მიიჩნევს ტრანსცენდენტურ ნებას, რომელიც ადამიანს იმორჩილებს. ოჯახის, გვარის, ტომის ან ეთნიკური საზოგადოების კოლექტიური ფასეულობა იქ ცალკეული პიროვნების ინტერესებსა და უფლებებზე მაღლა დგას. მსოფლგაგების ცენტრში კი მოქცეულია პიროვნება და კონკრეტული ადამიანის უფლებები. ისლამურ კულტურაში რელიგია სახელმწიფო სტატუსს იძენს (თეოკრატია), ხოლო დასავლეთი ისწრაფვის, ეკლესიის დისტანციურობა მოახდინოს საერო სახელმწიფოსაგან.

XX საუკუნეში ისლამის მიმდევართა რიცხოვნობა მსოფლიოში 200 მლნ-დან 1,2 მილიარდ ადამიანამდე გაიზარდა და ქრისტიანებთან თანაფარდი გახდა. ევროპაში, დიდ ბრიტანეთში 5 მილიონზე მეტი მუსლიმანი ცხოვრობს, გერმანაში მუსიმანური ერთობა

3,7 მლნ. კაცს ითვლის, მათ შორის ისლამმა იქ თავის წიაღში ასი ათასი გერმანელი მიიღო. საფრანგეთში 2,5 მლნ. მუსლიმანი ცხოვრობს, აქედან 500 ათასი მკვიდრი ფრანგია. რუსეთის მოქალაქეებს შორის 13 მლნ. მუსლიმანს ითვლიან, ხოლო ისლამური წყაროებით – 20 მლნ-ს. მოსახლეობის ყველაზე მაღალი ნამატი რუსეთის ფედერაციაში მუსლიმან ჩეჩნებში შეინიშნება, რომელთა რაოდენობა დეპორტაციიდან დაბრუნების შემდეგ 3-ჯერ გაიზარდა. დემოგრაფიული პროგნოზის თანახმად, 2020 წლისათვის ეთნიკური მუსლიმანები რუსეთის მოსახლეობის 1/3 იქნება, 40%-მდე გაიზრდება მათი წილი მოსკოვსა და სანკტპეტერბურგში. ახალგაზრდა მოლები რუსეთიდან მომზადებას გადიან საუდის არაბეთის სასულიერო ცენტრებში, ისინი ფუნდამენტალიზმს ჭეშმარიტ ისლამად მიიჩნევენ.

ისლამურ სამყაროს არ სურს დაქვემდებარებული მდგომარეობა ჰქონდეს მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში, მით უმეტეს, რომ დასავლეთი დამოკიდებულია ახლო აღმოსავლეთის ნავთობისა და გაზის მიწოდებაზე. მუსლიმანური სამყარო გამოდის არაეკვივალენტური სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული გაცვლის წინააღმდეგ, ასევე მასობრივი ამერიკული კულტურის წინააღმდეგ სამომხმარებლო მენტალობაში და დასავლური ცხოვრების წესის ქადაგებაში. შორეული აღმოსავლეთის ცივილიზაციისაგან განსხვავებით მუსლიმანებმა უარყვეს დამწევი განვითარების მოდელი და განზრახული აქვთ, დაამარცხონ დასავლეთი სხვა „ბრძოლის ველზე“.

დიდ რელიგიათა მიმდევრები, რომელთაც საკუთარი საკრალური პოსტულატები უნივერსალურად მიაჩნდათ, ისწრაფოდნენ და ისწრაფვიან მისიონერობისაკენ თავიანთი გეოგრაფიული საზღვრების ფარგლ-

ებს გარეთ. ეს გამოიარა ქრისტიანობამ, ამ გზით მიდის ისლამიც. მაგრამ ერთმანეთში რწმენა და ცალკეულ ადამიანთა ან ჯგუფთა ქცევის ექსტრემიზმი არ უნდა ავურიოთ. პოლიტიზირებული მებრძოლი ისლამი მუსლიმანური კულტურის მარგინალურ ორთოდოქსს წარმოადგენს.

დასავლეთსა და მუსლიმანურ აღმოსავლეთში გაჩნდა ღრმა განსხვავება სახელმწიფოსა და რელიგიის თანაფარდობის მიდგომებთან დაკავშირებით. დასავლურ ქრისტიანობაში რელიგია სახელმწიფოსგანაა გამოყოფილი. მუსლიმანებში ამ მხრივ მკვეთრი გამიჯვნა არ არის. ირანში რევოლუციის შედეგად წარმოიშვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ახალი მოდელი, როცა უმაღლეს ზედამხედველობას სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებზე სასულიერო პირები ახორციელებენ.

საუკუნეების განმავლობაში ისლამური სამყარო აგრძელებდა და აგრძელებს პასუხების ძიებას მარადიულ კითხვებზე: რატომ მიაღწია ევროპამ წარმატებას, ხოლო მუსლიმანებს არ შეუძლიათ იპოვონ მრავალი პოლიტიკური და სოციალური პრობლემის გადასაჭრელი რეცეპტი? XIX საუკუნეში მუსლიმანები უკვე ცდილობდნენ, ისლამის და კულტურული თვითმყოფადობის საფუძველზე შეექმნათ ევროპული ტიპის პარლამენტი, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოფხიზლდნენ და ხელი აიღეს მოუფიქრებელი სესხებისაგან. ქვეყნებიდან, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არ ფლობს ეკონმიკურ ღირსებასა და განათლებას, საპარლამენტო შედეგებით მანიპულირება იოლია. ელექტორატის უმრავლესობა ხმას აძლევს მსხვილი მიწათმფლობელების ბრძანებების შესაბამისად.

ისლამური ცივილიზაცია განსაკუთრებით მკვეთრად განიცდის დასავლეთცენტრული მოდელის გლობალიზაციის პროცესებს, რომელიც მის ტრადიციულ კულტურას ემუქრება. ჩინეთისა და ინდოეთისაგან განსხვავებით ისლამური სამყარო მზად არ აღმოჩნდა მაღალტექნოლოგიური პოსტინდუსტრიული განვითარების პროცესებისათვის. ჩინეთში ჭარბობს ეშელონირებული სახელმწიფო პოლიტიკა გლობალური პროცესების გავლენის შეზღუდვის გამო, ინდოეთში უმაღლესი კასტა აღმოჩნდა ჩაბმული გლობალიზაციის პროცესში, მაშინ, როცა დაბალი კასტები სულ სხვა სამვაროში ცხოვრობენ.

პანისლამიზმის იდეოლოგია - ისლამის წიაღში ჩაისახა რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია – პანისლამიზმი, რომელიც მუსლიმანთა პოლიტიკური გაერთიანებაა ხალიფას მეთაურობით. კერძოდ პანთურქიზმის იდეოლოგიამ ყველა თურქი მუსლიმანი გამო-

აცხადა ერთ ერად, რომელიც ისწრაფვის გაერთიანდეს თურქეთის ხელმძღვანელობით ერთ სახელმწიფოდ. ცივილიზაციათაშორისი კონტაქტების შედეგად ევროპული ნაციონალიზმის ვირუსმა თავის „ნაყოფი“ გამოიღო მუსლიმანურ სამყაროში და ერთ-ერთმა პირველმა ევროპელმა მიიქცია ყურადღება.

თომას ედვარდ ლოურენს არაბი (1888-1935) – ინგლისელი მწერალი, მეცნიერი – მედიევისტი და არქეოლოგი პირველი მსოფლიო ომის წლებში ბრიტანელი სამხედრო მრჩევლის სახით მონაწილეობდა არაბთა სამხედრო მოქმედებებში თურქების წინააღმდეგ. მას ადამიან ლეგენდას ეძახდნენ, ასევე „ახალ ნაპოლეონს“, „XX საუკუნის ბარონს“ და „მარტოსულს, რომელმაც სამყარო ნაწილობრივ შეცვალა“. მას მსოფლიო აღიარება მოუტანა 1926 წელს დაწერილმა წიგნმა „სიბრძნის შვიდი ბურჯი“. XX საუკუნის ეს ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო, ნატურალისტური და

ბრწყინვალე წიგნი თანამედროვეებმა კარგად შეაფასეს. ლიტერეტურის დარგში ნობელის ლაურიატმა უ. ჩერჩილმა ეს შრომა აღიარა ერთ-ერთ უდიდეს ნაწარმოებად, რაც კი შექმნილია ინგლისურ ენაზე. მოგონებათა წიგნი, რომელიც ძალზე შორს იყო სამხედრო მემუარების ჟანრისგან, იკითხებოდა როგორც მარტოხელა ინტელექტუალის აღიარება, ანუ იმ ადამიანისა ვინც არ იზიარებდა საზოგადოების დანაწესებს.

„ჩემმა მცდელობამ, მეცხოვრა ყველა ის წლები „არაბულ სამოსში“, რითაც არაბული აზროვნების იმიტირებას ვახდენდი, მომწყვიტა ჩემს ინგლისურ „მე“-ს და შემაძლებინა დამენახა დასავლეთი, მისი პირობითობები სულ სხვა თვალით: ის სამყარო ჩემთვის ფერფლად იქცა. ამასთან ერთად ჭეშმარიტად ვერ შევძელი არაბად გარდავსახულიყავი, ეს მხოლოდ თვალთმაქცობა იქნებოდა. იოლია ადამიანს წაა-

რთვა რწმენა და სხვა რწმენაზე მოაქციო – ძალზე ძნელი“.

წერილში „ცვლილებები აღმოსავლეთში“ ლოურენსი წერდა, რომ ევროპელი პოლიტიკოსები უუნარონი აღმოჩნდნენ დაენახათ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აზიაში მომხდარი გრანდიოზული ცვლილებები, როცა კონტინენტს აზანზარებდა უწესრიგობები, მღელვარებები და ამბოხებები.

„არცერთ მათგანს არ შეუძლია დასვას ავადმყოფობის დიაგნოზი ან შესთავაზოს წამალი. რაც შეეხება ავადმყოფს, დაუძახეთ მას რაც გნებავთ: ფიზიკური, მორალური ან გონებრივი მოშლილობა, ანდა მატერიალურ პირობათა ნაყოფი, მაგრამ ეს – ანტიაზიური ცივილიზაციის ავადმყოფობა, დასავლეთთან მისი მჭიდრო კავშირის გარდაუვალი შედეგია. იმავე ავადმყოფობით დასნეულდნენ ჩვენთან შეხვედრის შემდეგ ავსტრალიელი აბორიგენები – და ამ დაავა-

დებამ ისინი სამარეში ჩაიყვანა. მაშინ მიზეზები თითქმის ბიოლოგიური იყო: ავსტრალიელთა საზოგადოება ძალზე სუსტად განვითარებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაეძლო სოციუმთან კონტაქტისათვის, რომელიც მისგან ესოდენ განსხვავდებოდა. აზია უფრო გამძლეა, უფროსი, მოსახლეობა კი – მრავალრიცხოვანი, მას არ ემუქრება სიკვდილი, მაგრამ სწორედ ჩვენ ვართ მისი ავადმყოფობის მიზეზი. ევროპის გადახარშვა იოლი როდია“.

აზიამ რამდენიმე ათასწლეულში განვლო ის გზა, რაზეც ევროპამ ასწლეულები დახარჯა – ჯიშიანი ბედაურებიდან გადაჯდა „როლსროისებში“, იქ ყველაფერი კარგად როდია. როგორ შევაფასოთ მომხდარი ცვლილებები? მუსლიმანურ სამყაროში მატერიალურ გადმონაშთებთან ერთად შეაღწია ევროპაში გამოგონილმა ნაციონალიზმის იდეებმა. აი, რას წერს მათ დამანგრეველ შედეგებზე ლოურენსი:

ნაციონალიზმი – მშფოთვარე და სასტიკი სტიქიაა; შესაძლოა, მან არანაკლები სიცოცხლე წაიღო, ვიდრე რელიგიურმა ომებმა, არადა მის ხელში ხომ სულ ახლახან აღმოვჩნდით. რაც უფრო ძველია ეს სენი მით საშიშია იგი: ბალკანეთს და ირლანდიას, რომლებამდეც ამ სენმა გვიან მიაღწია, განსაკუთრებით მძიმედ გადააქვს იგი“.

იმ არაბული ქვეყნებისათვის, რომლებიც ევრაზიის გზაჯვარედინზე წარმოიშვა მმართველთა სისასტიკეა დამახასიათებელი. არაბული მენტალობისათვის ჩვეულია სიყვარული სასტიკი ბელადის მიმართ. მმართველი რომელსაც ძალუძს შეაკავოს ხალხი ევრაზიული ქალებისათვის ღია მრავალფეროვან ეთნიკურ საქვაბეებში, ეროვნული გმირი ხდება. გამათანაბრებელი სოციალიზმი აქ საეჭვოა შეიცვალოს დასავლური ფასეულობებით.

მუსლიმანურ სამყაროში ექსპერიმენტი გრძელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის მოდელთან დაკავშირებით. ერაყი არაბულ სოციალიზმს აშენებს, თურქეთი და ეგვიპტე ვესტერნიზაციის გზით მიდის, საუდის არაბეთი მონარქიულ სახელმწიფოდ რჩება, ირანი თეოკრატიის (ისლამური ფუნდამენტალიზმის) გზას დაადგა, მას სათავეში სულიერი ლიდერი ყავს. ამ მოდელის უკიდურეს გამოვლინებად იქცა ავღანეთი თალიბების მმართველობის პერიოდში.

ისლამური ფუნდამენტალიზმი – ისლამური ფუნდამენტალიზმი ნიშნავს „დაბრუნებას წმინდან წინაპრებთან“. სალაფიტური მოძრაობა ევროპული რეფორმაციის ანალოგიურია. დასავლეთევროპული რეფორმაცია ეფუძნებოდა სულიერ წინამძღოლობას და ხალხის ხელისუფლებას.

ისლამის რეფორმაცია რომელიც ნიშნავს დაბრუ-ნებას „მექის გზაზე“ ან „წმინდან წინაპრებთან“, ორი მიმართულებით წავიდა, ანუ ჩამოყალიბდა მოძ-ღვრების ორი ძირითადი მიმართულება. რეფორმატო-რი დასავლეთ არაბეთიდან მუჰამედ ალივაჰაბი (1703-1783) მუსლიმანებს მოუწოდებდა დასავლეთი-საგანს-რულ იზოლაციას. მეორე მიმართულების მომხრეებს სურდათ იმგვარი ისლამის აღორძინება, რომელიც მათ საშუალებას მისცემდათ შუა საუკუნეობრივი აღმოსავლეთ კულტურის თვალსაზრისით ჯვაროსნ-ული ლაშქრობების დროინდელ ევროპაზე წინ ყოფი-ლიყვნენ. ისინი მოუწოდებდნენ ისლამის გარდაქმნი-საკენ, რათა მიეღწიათ მუსლიმანური აღმოსავლეთის ანალოგიური წარმატებებისათვის სულიერ ძალაზე დაყრდნობით, როცა ინტუიცია სჭარბობს რაციონა-ლიზმს. ისლამში რეფორმატორული მოძრაობა ევრო-პისათვის მთავარ ფრონტზე გამოწვევა იყო, რომელ-

იც ადამიანთა სულების გავლით ხდებოდა. დასავლელი ადამიანისათვის დამახასიათებელ „რა მინდა მე?-ს“ აღმოსავლეთში დაუპირისპირდა „რა სურს ღმერთს“.

XX საუუნეში ისლამური აღმოსავლეთი რაციონალიზმმა დაიტაცა, როცა არაბული სახელმწიფოების უმრავლესობამ თავი გამოაცხადა მის მომხრეებად. ეს შესაძლებელი გახდა იმის წყალობითაც, რომ არაბულად სიტყვა „სოციალისტი“ და „საზოგადოებრივი სოლიდარობა“ ერთი და იგივეა. მაგრამ ეს გზაც ჩიხში მიმავალი აღმოჩნდა. ახალი სახელმწიფო ლიდერები, უპირატესად სამხედროები, იღებდნენ წინა ხელისუფლების პრივილეგიებს, აყვავება კი არ მოდიოდა.

„დამწევი განვითარების“ და ვესტერნიზაციის ჩაშლილმა ექსპერიმენტებმა მუსლიმანებს ბიძგი მისცა ისლამის სათავეებთან დაბრუნებისათვის, როცა

თითქოსდა კოლექტიური ბედნიერება სუფევდა. ფუნ-დამენტალიზმმა ძალების მოკრება დაიწყო, მისი მო-მხრეები ყოველთვის გამოდიოდნენ მუსლიმანურ სამ-ყაროში ევროპული და ამერიკული ნასესხობების წი-ნააღმდეგ, რადგან სჯეროდათ, რომ ისლამს თავად შეეძლო გადაეჭრა პოლიტიკური და სოციალური პრ-ობლემები.

ტერმინი „ფუნდამენტალიზმი“ თავდაპირველად ქრისტიანულ პროტესანტიზმში გამოიყენებიდა ორთ-ოდოქსული მიმდინარეობის აღსანიშნავად, რომელიც აშშ-ში XX საუკუნის დამდეგს ჩაიახა. ამერიკელი ფუნდამენტალისტები, რომლებიც თავს ევანგელისტ-ებს უწოდებენ, გამოდიან ქრისტიანობის საფუძვლებ-ის შესანარჩუნებლად – უბიწო ჩასახვის რწმენის და იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ. დროთა განმავლ-ობაში ფუნდამენტალიზმი რელიგიური მიმდინარეობ-ის ჩარჩოებიდან გამოვიდა და გადაიქცა საზოგადო-

ებრივ-პოლიტიკური აზრის ერთ-ერთ მიმართულებად. ქრსტიანული ფუნდამენტალიზმისაგან განსხვავებით ისლამური ფუნდამენტალიზმი წარმოიშვა როგორც დასავლური და ტრადიციული კულტურების შეჯახების შედეგი.

ისლამური ფუნდამენტაიზმი მსოფლიო რელიგიის მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც ისწრაფვის საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ნორმები ყურანის და შარიათის მითითებებს დაუქვემდებაროს. ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტალიზმი მიმართულია განვითარების განსაკუთრებული გზისკენ, რომელიც განპირობებულია საკუთრების ფლობით, შარიათის ნორმებით, ყურანის დანაწილებით ვაჭრობის, ფინანსების მართვა, ხოლო მევახშეობა ან სასესხო პროცენტი იკრძალება. ფუნდამენტალიზმი, რომელიც სოციალური სამართლიანობის სოციალისტურ მოდელს მოგვაგონებს, უპირისპირებს აღმოსავ-

ლეთის სულიერ ფასეულობებს დასავლეთ-ქრისტიანული ცივილიზაციის იმპერიალიზმს. როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, ისლამური ფუნდამენტალიზმი ეფუძნება ანტიკაპიტალისტურად განწყობილ სოციალურ საზოგადოებას და სხვა ფენებს, რომლებმაც ზარალი განიცადეს მოდერნიზაციის მცდელობებისაგან. ფუნდამენტალისტური პროექტი რეალიზებულია ირანში, სუდანსა და ავღანეთის უმეტეს ტერიტორიაზე, მას ძლიერი პოზიციები აქვს ეგვიპტეში, იემენსა და იორდანიაში. ჯერჯერობით ფუნდამენტალისტურმა იდეამ რიგი ქვეყნები გადააქცია მსოფლიო თანამეგობროის მარგინალებად.

ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამური ფუნდამენტალიზმი განპირობებულია მთიელთა მიერ მათთვის უცხო ცივილიზაციური დანაწესების მიუღებლობით, უმუშევრობით, ეროვნული, ეთნიკური და კლანური წინააღმდეგობების გამძაფრებით. ჩრდილოეთ კავკას-

იაში „წმინდა ისლამის“ მომხრეები თავს ვაჰაბისტებს უწოდებენ. ადგილობრივი ვაჰაბისტები არ ურიგდებიან „სახალხო ისლამის“ გამოვლინებას, რომელმაც კავკასიაში მუსლიმანთა ქცევები და ტრადიციები ჩამოაყალიბა.

თანამედროვე მსოფლიოში გაძლერდა მუსლიმანური ნავთობექსპორტიორი ქვეყნების ვესტერნიზაციის საფრთხე, განსაკუთრებით შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით მომხდარმა საზოგადოებრივმა ტრანსფორმაციამ წინააღმდეგობა გააძლიერა გადმოღებულ ტექნიკურ მიღწევათა და ისლამზე დაფუძნებულ სულიერ ტრადიციათა შორის. გაჩნდა ისლამის რეფორმატორთა ახალი თაობა.

ირანელ რეფორმატორთა შორის გამოირჩეოდა მეშხედ ალი შარიათი (1933-1977). ეს „მუსლიმანი ლუტერი“ მოუწოდებდა სათანადოდ წაეკითხათ ყურანი, სადაც, მისი აზრით, თავისუფლება ფრთებს

შლის წმინდა წერილის სტრიქონებს შორის: „შეუგნებელი ინდივიდის ლოცვა, რომელიც პირუტყვის მსგავსად ამბოხის უნარს მოკლებულია, ვერ აღწევს თავის მიზანს“. ადამიანის განთავისუფლება საკუთარი თავის ტყვეობისაგან სასულიერო წოდებას შეუძლია. ეს მოძღვრება ჩაისახა შიიზმში, რომელიც, როგორც ისლამის შტო, ყველაზე ახლოსაა ქრისტიანობასთან და გამსჭვალულია გრძნობადი გულისწადილით. სუნიტები ისლამის ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძირითადი შტო, უმეტესწილად რაციონალისტები არიან, რომლებიც გრძნობასთან შედარებით უპირატესობას გონებას ანიჭებენ.

ალი შარიათის შეხედულებების თანახმად, მართლმორწმუნეთა სასულიერო პირის (იმამის) არჩევა არ შეიძლება ვინმეს არჩევანზე იყოს დამოკიდებული. აქ დემოკრატიულ პროცედურებს, რომლებიც დაფუძნებულია სახალხო ნების გამოვლინების დასა-

ვლურ პრინციპებზე, შეზღუდულად იყენებენ. არ შეიძლება გენიოსის არჩევა ყველაზე დემოკრატიული გზით. ამას მოწმობს დასავლური ტრადიციაც, რომელიც მიიჩნევს, რომ „დემოკრატია არის უფერულობის ხელისუფლება“. სასულიერო ლიდერი შეიძლება გახეს მხოლოდ ის, ვისაც ამისთვის შესაბამისი თვისებები გააჩნია, ეს კი დამოკიდებულია არა ვიღაცის არჩევაზე, არამედ აღიარებაზე. აღმოსავლური სიბრძნე ამბობს, რომ ვეფხვის სიკვდილის შემდეგ რჩება ტყავი, ხოლო ადამიანის სიკვდილის შემდეგ – მისი სახელი.

კლასიკურ ევროპულ ფილოსოფიაში ანსხვავებენ (კანტის მიხედვით) ლოგიკურ და ინტუიციურ ცოდნას. ლოგიკური ცოდნა ცნებათა წარმოშობის დახმარებით მიიღება, ხოლო ინტუიციური (ესთეტიკური) – წარმოსახვის მეშვეობით. შემთხვევითი არაა, რომ დიდ ფილოსოფოს კანტს შეეძლო ეაზროვნა ისე,

რომ „დაენახა“ ობიექტთან უშუალო კონტაქტის გარეშე.

დასავლეთში შეუძლიათ განსაზღვრონ მმართველის ხარისხი რაციონალისტური პროცედურის მეშვეობით, მაგალითად ინტელექტუალური განვითარების ინდექსით. მუსლიმანურ აღმოსავლეთში ამაზე იტყვიან, რომ ეს შეუძლებელია. რაციონალისტური მიდგომა დამახასიათებელია დასავლეთისათვის, ხოლო ინტუიციური – მუსლიმანური აღმოსავლეთისათვის. თუკი დასავლეთში ფიქრობენ, რომ მმართველის არჩევა შეიძლება დემოკრატიული პროცედურის საფუძველზე, აღმოსავლეთში ეჭვი ეპარებათ ვესტერნიზაციის ან სოციალისტური გზის არჩევის მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტის შემდეგ.

ისლამის რეფორმაციას ხორცი შეესხა ირანის 1979 წლის რევოლუციაში, რომელმაც თავისი თავი გამოაცხადა როგორც მსოფლიო. მაგრამ, მიუხედა-

ვად ამისა, რევილუციამ ჩაიარა ქრისტიანული სამყაროსათვის შეუმჩნევლად. მსოფლიო ისტორიის შემსწავლელთათვის ევროცენტრიზმის პოზიციიდან ბევრად უფრო ახლოა ტერორიზმის წარმომშობი საფრანგეთის დიდი რევოლუცია ან დიდი ოქტომბრის, რომლებმაც გზა გაუხსნა წითელ და თეთრ ტერორს.

ირანის რევოლუციის ლიდერი აიათოლა ჰომეინი იქნა აღიარებული და მოწოდებული ეროვნული ინტელიგენციის და ხალხის უმრავლესობის მიერ. ირანმა გაუძლო ბევრ მძიმე განსაცდელს, მაგრამ იმ კაცის ავტორიტეტი, რომელმაც წარმოადგინა „სარწმუნო სიგელი ღმერთისაგან“, დარჩა ურყევი. ირანის რევოლუციამ გადალახა გარდაუვალი უკიდურესობანი, მათ შორის შუა საუკუნებრივი ექსტრემიზმი. მაგრამ თანდათანობით გაიმარჯვეს „განათლებლური ისლამის“ მომხრეებმა, თავისუფალი მეწარმეობის სფეროს ჩათვლით. ისლამური ფუნდამენტალიზმის

ქვეყანა ირანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია.

მუსლიმანურ სამყაროს არაფერი ესაქმება ამერიკის პრეზიდენტის დემოკრატიულად არჩევის პროცედურასთან, სხვა ხალხის ნებასთან, აირჩიოს თავისთვის ლიდერი. მაგრამ ეს სამყარო იმის წინააღმდეგია, რომ ამერიკის არჩეულმა პრეზიდენტმა სხვა ხალხებს ჭკუა ასწავლოს და აჩუქოს მათ დასავლური ფასეულობები.

მუსლიმანური ქვეყნები ცივილიზაციათაშორისი დიალოგის იდეით გამოდიან. ისლამი გვევლინება ერთიანი მუსლიმანური ერის და სახელმწიფოს შექმნის ეროვნულ-პატრიოტულ მამოძრავებელ ძალად. ისლამური ინტეგრაციისთვის დამახასიათებელია თვითშეზღუდვა და საზოგადოებრივი სოლიდარობა. ისლამური სახელმწიფოებრიობის საფარველქვეშ EBPA MAP-ის ეთნოპოლიტიკურ მიჯნებზე, შუა საუ-

კუნეებში შემუშავებულ იქნა პოლიკომფესიური და პოლიეთნიკური შემწყნარებლობის მოდელი, რამაც ხელი შეუწყო თავისუფალი ვაჭრობის და ცივილიზაციათა შორის დიალიგის საკომუნიკაციო ფუნქციების აყვავებას.

სიკვდილის შავი ანგელოზი - ისლამური ტერორიზმის ფესვები აუცილებელია ვეძიოთ სპარსეთის ყურის ზონაში, რომელიც აშშ-ის „სასიცოცხლო ინტერესების ზონაცაა“. 80-იანი წლების დამდეგს ერაყმა თავის თავზე აიღო კოლექტიური დამცველის როლი ირანის ისლამური რევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნებისათვის. მაგრამ სისხლისმღვრელ კონფლიქტში თეირანთა ბელადმა ვერ მიიღო არაბული ქვეყნების მხარდაჭერა. ქუვეითმა, რომელიც წარსულში ერაყის ისტორიული „მე-17 პროვინცია“ იყო, ომის შემდგომი ბაღდადისათვის ნა-

ვთობზე ფასების საშინელი ვარდნის პროვოცირება მოახდინა. შემდგომში ოპერაციის „უდაბნოს ქარიშხალი“ ჩატარებისას საუდის არაბეთი დასთანხმდა გამხდარიყო აშშ-ის მოკავშირე შემდგეგი პირობების შესრულებისას. ერაყელი ჯარისკაცებისაგან ქუვეითის განთავისუფლების შემდგომ ამერიკა უნდა შესდგომოდა ისრაელპალესტინის კონფლიქტის გადაჭრის საქმეს. თუმცა ამ საქმის გაჭიანურებამ გამოიწვია ვითარების გამძაფრება არადამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა 1948 წლის საზღვრებში. ოპერაციის „უდაბნოს ქარიშხალი“ დასრულებისთანავე ამერიკელ ჯარისკაცებს უნდა დაეტოვებინათ საუდის არაბეთი, მაგრამ ეს არ მოხდა.

აშშ არაბულ სამყაროში ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას აწარმოებს, ცდილობს რა, შეინარჩუნოს თავისი „სასიცოცხლო ინტერესების“ ზონა, ხან მხა-

რს უჭერს თალიბებს და ბენ ლადენს მათ ბრძოლა-
ში საბჭოთა ჯარებთან ავღანეთში, ხოლო ერაყს
ირანთან ომში, ხან უბოროტეს მტრებად აცხადებს
ირანს, ერაყს და თალიბანს, და იმავდროულად საუ-
დის არაბეთი, სადაც ვაჰაბიზმის პოზიციები ძლიერ-
ია, აშშ-ის მთავარი სტრატეგიული პარტნიორია სპა-
რსეთის ყურის ზონაში. ამერიკამ, ქრისტიანული ფუ-
ნდამენტალიზმის სამშობლომ, უეცრად თავი გამოა-
ცხადა ისლამურ ფუნდამენტალისმთან მტკიცე მებ-
რძოლად.

ჯიჰადი გამოყოფენ დიდ (დიად) და მცირე ჯიჰა-
დს. საღვთო ომმა „ურჯულოთა“ წინააღმდეგ, რომ-
ელსაც საზღვარი არა აქვს მიიღო დიდი ჯიჰადის
სახელწოდება. ბევრი არაბი ომს ავღანეთში სწორედ
ასეთ ჯიჰადად აღიქვამს. „ახალი ბარბაროსების“, ან
ისლამის „მწვანე ინტერნაციონალის“ ომი „ოქროს
მილიარდის“ ცივილიზაციის წინააღმდეგ ამ უკანასკ-

ნელის სრული განადგურებისათვის წარმოებს. ქრისტიანთა ჯვაროსნული ლაშქრობისაგან განსხვავებით მცირე ჯიჰადი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ისლამურ მიწათა დაცვას ურჯულოთაგან. ყურანი მორწმუნეებს მოუწოდებს, არ გადალახონ დასაშვები ზღვარი. ტრადიციულ ისლამში ჯიჰადი ნიშნავს „სიმართლის სიტყვას“ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება, ეს მოიცავს სიღარიბესაც და კორუფციასაც.

პოლიტიზირებულმა რადიკალურმა ისლამმა გაიმარჯვა ირანში, გამოდის მმართველი ელიტების წინააღმდეგ ალჟირში, ეგვიპტესა და იორდანიაში. სუდანი და ავღანეთი ვერ გამოვიდა სამოქალაქო ომის ფაზიდან. რევოლუციური არაბული რეჟიმები (სირია, იემენი, ლიბია) საორგანიზაციო და ფინანსურ დახმარებას უწევს ისლამისტებს. XX საუკუნის ბოლოს პოლიტიკური ისლამიზმი გააქტიურდა ისტორიულ

ცივილიზაციურ საზღვრებზე (ლიბანი, კოსოვო, ჩეჩნეთი, ისრაელი, პალესტინა, ირანი და ავღანეთი), სადაც გამომჟღავნდა ყოფილ იმპერიათა გეოპოლიტიკური საზღვრები.

თანამედროვე ტერორიზმმა გვიჩვენა კაცობრიობის თავგანწირვა. ისლამური ექსტრემიზმი აღმოსავლეთისთვის ტრადიციული ოჯახის ერთგულების და ადამიანის სიცოცხლის დამდაბლებელი შეფასების ექსპლუატირებას ახდენს. შაჰიდი – ისლამის რაინდია, რომელიც რწმენისთვის იღუპება. ტერორისტულ ორგანიზაციათა ლიდერები „რწმენისთვის დაღუპული“ ოჯახის მნიშვნელოვან ფინანსურ კომპენსაციას უხდიან. მაგრამ მცდარია მოსაზრება, რომ ტერორიზმი თავის მომხრეთა რეკრუტირებას მუსლიმანური მოსახლეობის დაბალი ფენებიდან ახდენს. ტერორისტი შეიძლება იყოს პრივილეგიური წარმოშობისაც, ამასთანავე – ბრწყინვალე ინტელექტუალიც.

ექსტრემისტულ რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია თალიბანს, რომელსაც მხარს უჭერდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და პაკისტანის სამხედრო დაზვერვა. ავღანეთში მოძრაობის ხელმძღვანელობას ავღანელ ლტოლვილთა ბანაკებიდან მედრესეთაყოფილი სტუდენტები შეადგენდნენ. თალიბთა მოძრაობა (ე.ი. სტუდენტების) წარმოიშვა 1994 წელს, ხოლო 1996 წელს დაიპყრეს ავღანეთში ხელისუფლება. თალიბები უპირატესად პუშტუნთა ტომების წარმომადგენლები არიან. პუშტუნები – ყველაზე მრავალრიცხოვანი ავღანელი ხალხია და მათი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში შეიქმნას მდგრადი ხელისუფლება. ნებისმიერი მცდელობა, გარედან დაინიშნოს ავღანელი ლიდერი, განწირულია მარცხისათვის. ავღანელი ხალხის მმართველი შეიძლება მხოლოდ იქნეს „მოწოდებული და აღიარე-

ბული“. თალიბანმა ჯიჰადი გამოუცხადა აშშ-ს.

როგორც წესი, აშშ-ის პროპაგანდა პრიმიტიული მასობრივი კულტურის ზეგავლენით გარეშე მტრის სახის პერსონიფიცირებას ახდენა და მას მითიურ ზომებამდე ბერავს. ასეთი მტრების სახით მოგვევლინენ ირანის სულიერი ლიდერი იმამი ჰომეინი, კუბის ლიდერი – ფიდელ კასტრო, ერაყის პრეზიდენტი – სადამ ჰუსეინი, იუგოსლავიის პრეზიდენტი – მილოშევიჩი, მორიგ მტრად კი იქცა ოსამა ბენ ლადენი.

ოსამა ბენ ლადენი – ოსამა ბენ ლადენი 1979 წელს ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ გაეშურა მოჯაჰედებთან ერთად. უწევდა მათ ფინანსურ დახმარებას და შექმნა ორგანიზაცია „ალ ქაიდა“, ამერიკელები დაეხმარნენ ოსამა ბენ ლადენს, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ცსს-ს აგენტს, ავღანეთში საბჭოთა მეომრებთან ბრძოლაში. ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოსვლის შემდეგ ბიზნესით იყო და-

კავებული საუდის არაბეთში და გამოდიოდა არაბეთ-
ის ნახევარკუნძულიდან ამერიკული ჯარების გამოყ-
ვანის წინააღმდეგ. 1991 წელს იძულებული გახდა
სუდანში წასულიყო, საიდანაც გააძევეს და 1996 წე-
ლს გადავიდა ავღანეთში თალიბანის სულიერი ლი-
დერის მიწვევით. მან ჯიჰადი გამოუცხადა აშშ-ს და
მუსლიმანებს მოუწოდა დაეხოცათ ამერიკელი მოქა-
ლაქეები. მან ავღანეთში ტერორისტთა მოსამზადებე-
ლი ბანაკების ქსელი მოაწყო. აშშ ბრალს სდებს
ბენ ლადენს იმ ტერაქტებში მონაწილეობაზე, რომე-
ლიც ნიუ იორკში (1993 წელს, 2001 წელს – საერთა-
შორისო სავაჭრო ცენტრში), ტანზანიასა და კენაში
(1998 წელს ამერიკის საელჩოში აფეთქება), იემენში
(2000 წელს ამერიკული საესკადრო ნაღმოსნის აფე-
თქება). ამერიკულმა ადმინისტრაციამ ბენ ლადენი
დამნაშავედ გამოაცხადა და ფაქტობრივად სიკვდი-
ლი მიუსაჯა სარწმუნო მტკიცებულებების გარეშე,

რომ იგი 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების თანამონაწილე იყო.

ჯერ კიდევ ავღანეთის მიწაზე „სამართლიანი“ ბომბები ცვიოდა, როცა დასავლეთს აფიქრებდა ავღანეთში მიმავალი „დემოკრატიული“ მოწყობა. თუმცა ავღანეთში ჩამოყრილი ვაკუუმური ბომბები შემდეგ მუსლიმანთა სიძულვილში ჩაიმალა და სახიფათოდ გროვდებოდა. საერთო განწყობა მუსლიმანურ სამყაროში ამერიკის სასარგებლოდ როდი იყო, იგი იბრძოდა ჯორჯ ბუშის „ჯვაროსნული ლაშქრობის“ წინააღმდეგ.

ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების პრევენციული დოქტრინის წყალობით ერაყი მიაკუთვნეს გეოპოლიტიკურ „ბოროტების ღერძს“. ახლო აღმოსავლეთში მდებარე ქვეყანა საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრში მოექცა. ამერიკული ტრადიციით, მტრად მოხდა სადამ ჰუსეინის (დაიბადა 1937 წელს) – ერა-

ყის რესპუბლიკის (1979-2003) პრეზიდენტის და პრე-მიერმინისტრის პიროვნების პერსონიფიცირება. ერა-ყი ფლობს მაღალხარისხიანი ნავთობის მსხვილ მა-რაგებს, რაც ამერიკის აგრესიის ერთ-ერთი მიზეზი გახდა 2003 წელს. ეთნოკონფესიური და ეთნონაციო-ნალური ნიშნების მიხედვით ერაყში გამოიყოფა სუნ-იტური ცენტრი, შიიტური სამხრეთი და ქურული ჩრ-დილოეთი. ამერიკულ აგრესიამდე ბაღდადის ხელის-უფლების სათავეში სუნიტური უმცირეობა იყო. შიი-ტები (პროირანულად განწყობილები) ცხოვრობენ ერაყის სამხრეთში. 1991 წლის ომის დროს მათი აჯ-ანყება სასტიკად ჩაახშო ერაყის ხე-ლისუფლებამ, 30 ათასი მეამბოხე დაიღუპა. ამერიკელები ერაყის წინა-აღმდეგ აგრესიის დროს იმედოვნებდნენ შიიტების მხარდაჭერას, მაგრამ ეს არ მოხდა. ერაყის ჩრდილ-ოეთში ცხოვრობენ ქურთები, რომელთაც აქვთ შედა-რებითი ავტონომია და ისინი გამდიან დამოუკიდებე-

ლი სახელმწიფოს შექმნისთვის. დიქტატორულ რეჟიმზე ამერიკის გამარჯვების შემდეგ ერაყი გადაიქცა ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმის უმსხვილეს ცენტრად.

ტერორისტული შეიარაღებული ძალები არაეფექტური აღმოჩნდა ტერორიზმთან ბრძოლაში. ეს ეხება ისეთ პოლიტიკურ ინსტრუმენტებსაც, როგორიცაა ეკონომკურ სანქციათა პრაქტიკა და ტერიტორიული ბლოკადა, რომლებიც იწვევს კრიმინალური ბიზნესის ახალი მსოფლიო და რეგიონალური ცენტრების შექმნას.

ისლამური ცივილიზაცია ეფუძნება ტრანსცენდენტულ ნებას, რომელიც ადამიანს იქვემდებარებს. იქ საზოგადოებრივი სოლიდარობა და ინდივიდუალური თვითშეზღუდვა ცალკეული პიროვნების ინტერესებსა და უფლებებზე მაღლა დგას. სამყაროს გრძნობადი აღქმა დომინირებს რაციონალურ მიდგომას, დასავ-

ლეთს რომ ახასიათებს.

ისლამური სახელმწიფოებრიობის საფარველქვეშ ეთნოპოლიტიკურ მიჯნებზე შუა საუკუნეებში შემუშავებულ იქნა პოლიკონფესიური და პოლიეთნიკური შემწყნარებლობის მოდელი, რამაც ხელი შეუწყო თავისუფალი ვაჭრობის და ცივილიზაციათა შორის დიალოგის საკომუნიკაციო ფუნქციების აყვავებას.

ისლამი გამოდის ერთიანი მუსლიმანური ერისა და სახელმწიფოს შექმნის მამოძრავებელ ეროვნულ-პატრიოტულ ძალად.

ისლამურ სამყაროში რელიგია სახელმწიფოს სტატუსს იძენს (თეიკრატია), იმ დროს, როცა დასავლეთი ისწრაფვის გამიჯნოს ეკლესია საერო სახელმწიფოსაგან. მუსლიმანურ აღმოსავლეთში სამყაროს ინტუიციური აღქმა დომინირებს რაციონალისტურ ევროპულ მიდგომაზე. თუკი დასავლეთში პრეზიდენტს ირჩევენ დემოკრატიული პროცედურის საფუძველზე,

მუსლიმანურ აღმოსავლეთში მიაჩნიათ, რომ მმართველად აირჩიონ ის, ვინც აღიარებულია და მოწოდებულია ხალხის ნებასურვილით.

ისლამური ფუნდამენტალიზმი ევროპული რეფორმაციის (დაფუძნება სასულიერო წინამძღოლობაზე და ხალხის ხელისუფლებაზე) აღმოსავლური ანალოგია. როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, ემყარება სოციალური მარგინალების და საზოგადოების სხვა ანტიკაპიტალისტურ განწყობას, რომლებმაც ზარალი განიცადეს მოდერნიზაციის მცდელობებისგან.

თავი III. ბალკანეთი ცივილიზაციათა შეჯახების ზღვარზე

ბალკანეთი – ევროპის „დენთის კასრია“, რომელიც აფეთქებს არა მარტო გეოპოლიტიკურ საზღვრებს, არამედ თიშავს ადამიანთა სულებს. აქაა პირველი მსოფლიო ომის და რუსეთის იმპერიის (როგორც მასში მონაწილის) ტრაგედიის სათავე. ბალკანეთი აღსავსეა მრავალრიცხოვანი რეგიონალური ომითა და კონფლიქტით. თ.ე. ლოურენსი წერს: „ბალკანეთი – იდეალური საკვები გარემოა ნაციონალიზმის მიკრობების გამოსაზრდელად“.

„ნატოს“ სამხედრო „ჰუმანიტარულმა“ აქციამ კოსოვოში კიდევ ერთხელ მიიზიდა ყველას ყურადღება ბალკანეთისაკენ, 90-იანი წლების დამდეგიდან. თუკი სსრკ-ს დაშლის შემდეგ ბალკანეთი გამოვიდა საბჭოთა გეოპოლიტიკური სივრციდან, 1999 წლის

სამხედრო აქციის შედეგად დაიწყო რეგიონის საკომუნიკაციო სივრცის მრავალმხრივი (გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, სოციოკულტურული, კონფესიური) რეალური და ფაქტობრივი გადანაწილება. ბალკანეთის ტრანსფორმაცია სამი ცივილიზაციის ზღვარზე შეუძლებელია გავიგოთ ისე, თუ არ მივმართავთ წარსულის ერთ-ერთ მსხვილ გეოპოლიტიკურ პრობლემას. პოსტბიპოლარულ სამყაროში კვლავ მძაფრდება აღმოსავლეთის საკითხი, რომელიც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოთა "ჩრდილში" რჩებოდა.

აღმოსავლეთის საკითხი – ცნობილი რუსი ისტორიკოსი ს.მ. სოლოვიევი (1820-1879) აღმოსავლეთის საკითხს განიხილავდა როგორც მრავალსაუკუნოვან ურთიერთქმედებას და მეტოქეობას დასავლეთსა და აღმოსავლეთს, „ევროპულ" და „აზიურ" სულს შორის. ეს აისახებოდა ევრაზიაში ინტეგრაციის და დეზ-

ინტეგრაციის პროცესების მონაცვლეობით ამ ისტორიული დროის განმავლობაში.

ალექსანდრე მაკედონელის (334-323წ.წ, ჩვ. ერამდე) ლაშქრობათა შედეგად ბერძნული და ადგილობრივი, უპირატესად აღმოსავლური, კულტურების მიჯნაზე იქმნება ვრცელი საკონტაქტო ზონა, ყვავის ელინიზმი აზიაში და ევროპული ელადა იღუპება. წარმართულმა რომის იმპერიამ დაიპყრო ახლო აღმოსავლეთში ჩანასახოვანი ქრისტიანობა და თავადაც განადგურდა ბარბაროსთა (გოთების, ჰუნების და ა.შ.) ზეწოლის, ახალი რელიგიის გავლენის შედეგად. ჯვაროსანთა ლაშქრობები ახლო აღმოსავლეთში, პალესტინაში, იცვლება რელიგიური ომებითა და დასავლეთ ევროპული შუასაუკუნეობრივი საზოგადოების და კულტურის დაშლით. მოხდა ახალი აფეთქება აღმოსავლეთში – ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეებმა, თურქ-ოსმალებმა ვენამდე მიაღწიეს. საფრანგეთის

დიდმა რევოლუციამ დასავლეთი უკვე ნაციონალიზმის დროშის ქვეშ გააერთიანა აღმოსავლეთზე ახალი ლაშქრობისათვის, რომელთაგან უკანასკნელი – „დრანგ ნახ ოსტენი“ მესამე რეიხის კრახით დასრულდა.

ეთნიკური ინტეგრაციისაკენ სწრაფვა გამოვლინდა პანსლავიზმის, პანთურქიზმის, პანარაბიზმის, პანისლამიზმის თეორიის შექმნით. რუსული პოლიტიკის – სლავიანური იდეის – რეალიზაცია მდგომარეობდა ტრიადაში: ერთმორწმუნეობა, ერთტომიანობა და ერთენოვნება. ლ. გუმილიოვის აზრით, გეოგრაფიულ პირობათა დიდი მრავალფეროვნების გამო ევრაზიის ხალხებისათვის გაერთიანება ყოველთვის ბევრად უფრო მომგებიანი იყო. დეზინტეგრაცია ძალებს ართმევდა მათ და წინააღმდეგობის უნარს აკარგვინებდა. ტრადიციული დაყოფა დასავლეთად და აღმოსავლეთად, ევროცენტრიზმის შედეგი იყო, რომლის

სათავეებთან იმყოფებოდა რომანო-გერმანული სამყარო, იდეოლოგიურად კათოლიკური ეკლესიის მიერ გაერთიანებული.

დასავლეთში დიდი ევრაზიული სტეპოკიანე ხვდება მსოფლიო ოკეანეში ყველაზე გამოცალკავებულ შავ და აზოვის ზღვებს, რაც აძლიერებს მათ საკომუნიკაციო ფუნქციებს. შავიზღვისპირეთზე გადის ევრაზიულ ცივილიზაციათა მსხვილი სავაჭრო კომუნიკაციები. ორი საუკუნის განმავლობაში იქ განსაკუთრებით დიდი იყო რუსეთის გეოსტრატეგიული როლი, რომელიც XX სა-უკუნის ბოლოს გაქრა.

რუსეთის იმპერიის პოზიციების გაძლიერება, რომელსაც არასოდეს ჰქონია „სამხრეთისკენ ნახტომის“ მცდელობა და სურვილი, შეექმნა გეოპოლიტიკური „ხიდი“ ბალკანეთსა და შავიზღვისპირეთში, ცარგრადის კარიბჭესთან, არაერთხელ ამწვავებდა მის დამოკიდებულებას ევროპულ სახელმწიფოებთან. გა-

ნსაკუთრებით ყურადღებას იპყრობდა ინგლისურ-რუ-სული მეტოქეობა და გერმანიის მძაფრი ეკონომიკუ-რი ექსპანსია, რომელიც ახორციელებდა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობას. აღმოსავლეთის საკითხის ერთ-ერთი ეპიცენტრი ყირიმის ომი (1853-1856წ.წ.) გა-ხდა. შავიზღვისპირეთის ყურეთა პრობლემას უკავში-რდებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკა კავკასიასა და შუა აზიაში, სადაც მან დაიკავა რა სტრატეგიუ-ლად მნიშვნელოვანი რეგიონი, საფრთხეს უქმნიდა არამარტო დიდი ბრიტანეთის კოლონიურ სამფლობე-ლოებს ინდოეთში, არამედ ზეწოლასაც ახდენდა მა-სზე შავიზღვისპირეთის ყურეებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

თურქეთის პირველ მსოლიო ომში გერმანიის მხა-რეზე ჩაბმის შემდეგ ხელმოწერილი ინგლისურ-ფრა-ნგულ-რუსული საიდუმლო შეთანხმება, რომელიც 1915 წელს დაიდო, გულისხმობდა სტამბოლისა და

შავიზღვისპირეთის ყურეების რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩართვას. ამასთან დაკავშირებით გამოსული კადეტთა პარტიის ლიდერის პ. მილიუკოვის გამო ხელშეკრულებას მილიუკოვ დარდანელის უწოდეს. რუსეთში განვითარებულმა შემდგომმა მოვლენებმა და 1918 წლის ოსმანთა იმპერიის რღვევამ ხელი შეუშალა ხელშეკრულების რეალიზაციას; დაიდო ახალი ხელშეკრულებები ყურეების შესახებ, მათ შორის შესაბამისი მუხლები იყო 1922 წლის უკრაინა-თურქულ ხელშეკრულებაში.

1936 წელს მონტრეში (შვეიცარია) შედგა კონფერენცია შავიზღვისპირეთის ყურეების რეჟიმზე სსრკ-ს, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ავსტრალიის და იაპონიის მონაწილეობით. კონვენციის გადასახედად ყურეთა რეჟიმზე თურქეთმა კონფერენცია მოიწვია, ეს კონვენცია მიიღეს ლოზანის კო-

ნფერენციაზე 1922-1923 წლებში. თურქეთს მისცეს უფლება მოეხდინა ყურეთა ზონების დემილიტარიზაცია. მიღებული კონვენციით, ყველა ქვეყნის სავაჭრო გემს ენიჭებოდა თავისუფლება, გაევლოთ ყურეები როგორც მშვიდობიან, ისე სამხედრო დროს.

1939-1941 წლებში საბჭოურ-გერმანულ ურთიერთობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გავლენის სფეროების გამიჯვნას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, მათ შორის განიხილებოდა ღონისძიებები თურქეთის განსაკუთრებული ძალაუფლების წინააღმდეგ ყურეებზე, ასევე მის ჰეგემონიაზე შავ ზღვაში. გამოითქვა უკმაყოფლება 1936 წლის კონვენციის გამო, რომელშიც საერთოდ არ იყო გერმანია ჩართული. მოსკოვმა მოამზადა საიდუმლო ოქმი (პროტოკოლი) შეთანხმების პროექტისათვის სახელმწიფო-სამეულთა პაქტზე – ერთი მხრივ – გერმანიას, იტალიასა და იაპონიას შორის და, მეორე მხრ-

ივ, საბჭოთა კავშირთან. მასში გათვალისწინებული იყო ახალი კონვენციის მიღება შავიზღვისპირეთის ყურეებთან დაკავშირებით. ამ კონვენციის თანახმად, საბჭოთა კავშირი შეუზღუდავ უფლებას იღებდა ყურეებში გავლისათვის ნებისმიერ დროს თავისი სავაჭრო და სამხედრო საზღვაო ფლოტისათვის, აგრეთვე ენიჭებოდა საბჭოთა სამხედროსაზღვაო ფლოტისათვის, ბაზის მშენებლობის უფლება ბოსფორის და დარდანელის რაიონში გრძელვადიანი იჯარის პირობებით. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პოსტსდამის კონფერენციამ აღიარა 1936 წლის კონვენციის გადახედვის აუცილებლობა შავიზღვისპირეთის ყურეებზე. თუმცა სსრკ-ს მოლაპარაკებები თურქეთთან 1946 წელს უშედეგოდ დამთავრდა, ხოლო 1953 წელს საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ადრე წამოყენებულ მოთხოვნებზე.

ბოსფორზე ყოველწლიურად 50 ათასი გემი გადის და დაახლოებით 35 მლნ. ტონა რუსული ნავთობის ექსპორტირება ხდება. 1994 წელს თურქეთმა ცალმხრივი წესით მოახდინა მცდელობა, შეეცვალა ნაოსნობის მოქმედი საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმი შავიზღვისპირეთის ყურეებზე, შემოიღო რა შეზღუდვები ტანკერებისათვის. გარდა ეკლოგიური მიზეზებისა, აქ იკვეთება თურქეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების შესაძლო მიმართულებებთან. გაჩაღებული საერთაშორისო „დუელი“ ნავთობის ტრანსპორტირების მიმართულებათა შერჩევაზე ახალი გეოპოლიტიკური სივრცის ფორმირებისას ბალკანეთიდან ცენტრალურ აზიამდე საკვანძო ხდება. აქ დასავლეთის „სასიცოცხლო ინტერესები“ მზადაა დაიცვას სამხედრო-საზღვაო ძალთა ყველაზე მსხვილმა ჩრდილოატლანტიკურმა

ბლოკმა, რომელიც თავმოყრილია ხმელთაშუაზღვის-პირეთში, „ნატო“-ს სამხრეთევროპულ თეატრში. თურქეთმა განახორციელა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოდერნიზაცია, რომელიც აქამდე ბატონობდა შავ ზღვაზე. რეგიონალური ბაზრებისათვის ბრძოლაში ლიდერობს სტამბოლი, რომლის ხელშიც გადავიდა ბეირუთის, ახლო აღმოსავლეთის ყოფილი სავაჭრო და ფინანსური ცენტრის საშუამავლო ფუნქციები.

XXI საუკუნეში ბალკანეთში გეოსტრატეგიული ვითარება სავარაუდოდ განისაზღვრება პოლიტიკურ-ეკო-ნომიკური მიზნებით, დასავლეთის გავლენის გაძლიერებით და თურქეთის აღორძინებით რეგიონალური სახელმწიფოს სახით. დასრულდა ათასწლიანი ეპოქა კიევის რუსეთიდან რუსეთამდე, როცა არაერთხელ ხდებოდა „ნახტომი“ სამხრეთისაკენ, ცარგრადის კარიბჭისკენ.

მე-20 საუკუნეში საბჭოთა იმპერია 2-ჯერ გამოვიდა ბალკანეთის ფედერაციის შესაქმნელად. საუკუნის დამდეგს არსებობდა ბალკანეთის ფედერაციის ჩამოყალიბების რუსული პროექტი თურქეთის მონაწილეობით. ეს პროექტი ხელახლა იქნა რეამინირებული სტალინის მიერ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, თუმცა რეალურ სინამდვილეში იგი განხორციელდა ფედერაციულ იუგოსლავიაში.

ბალკანეთის ფედერაციისათვის გამოდიოდნენ იოსიპ ბროზტიტო (ხორვატის და სლოვენელის ვაჟი) და იოსებ სტალინი (ქართველი, რომელიც თავს რუსად მიიჩნევდა). იოსიპ ბროზტიტოს (1892-1980წ.წ.) მიერ შექმნილმა ფედერაციულმა სახელმწიფომ არა მარტო მშვიდობიანად იარსება რეგიონისათვის სარეკორდო ვადაში (1945-1991წ.წ.), არამედ მასში უზრუნველყოფილი იყო სოციალისტური „ბანაკისათვის“ ყველაზე მაღალი ცხოვრების ხარისხი. იუგოსლავია

იყო ყველაზე კაპიტალისტური სოციალისტურ ქვეყნებს შორის. ტიტოს სახელი სამუდამოდ შევიდა კონტინენტის პოლიტიკურ ისტორიაში სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად.

სოციალურ-ეკონომკურ განვითარებაში მოხერხდა წარმატებების მიღწევა, მიუხედავად ეთნიკური პრობლემებისა, რომლებიც არსებობდა სერბებსა და ხორვატებს, ბოსნიელ სერბებსა და ბოსნიელ მუსლიმანებს შორის, ასევე კოსოველ სერბებსა და ალბანელებს შორის და ა.შ. იგრძნობოდა მნიშვნელოვანი ტერიტორიალური დიფერენციაცია ცხოვრების დონეში. სლოვენიაში სულზე საშუალო შემოსავალი ბევრად მაღალი იყო, ვიდრე მაკედონიასა და კოსოვოში. უპირატესად კათოლიკური სლოვენია და ხორვატია უფრო მეტ ერთობას განიცდიდნენ დასავლეთთან. ხორვატიის ადრიატიკულ კურორტებს მნიშვნელოვანი შემოსავალი მოჰქონდა.

არსებობს მრავალი პარალელი აღმოსავლეთ და დასავლეთ სლავებს შორის. რუსები და უკრაინელები, სერბები და ხორვატები შეადგენდნენ ორი იმპერიის ეთნიკურ საძირკველს. ხორვატები და დასავლელი უკრაინელები (გალიჩელები) დიდხანს იმყოფებოდნენ ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში და კონფესიურად ახლოს იყვნენ დასავლეთის ქრისტიანობასთან, მაშინ, როცა სერბები, რუსები და უკრაინელთა უმეტესობა მართლმადიდებლები არიან. უკრაინელებთან და ხორვატებთან ჩამოყალიბდა საზღვრისპირა ადამიანთა სუბეთნოსი – კაზაკები და გრანიჩარები. რუსები და უკრაინელები ლაპარაკობენ მონათესავე ენებზე, ამასთან ამ უკანასკნელთა შორის ბევრია რუსულენოვანი ადამიანი. სერბები და ხორვატები ერთ ენაზე მეტყველებენ – ლათინიცა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა ვანდალიზმის აქტების გამოსავლენად, რაც ტიტოს მმართველობისას აღკვეთ-

ილ იქნა. ძნელი იქნებოდა წარმოგვედგინა ბალკანური ეთნოსთაშორისო ხანძრის მასშტაბების შედეგები, თუ ხორვატები იქნებოდნენ სერბულენოვანები, ხოლო სერბები – ხორვატულენოვანები.

სერბებმა და ხორვატებმა ეროვნული ჩაგვრა განიცადეს. სერბეთული და ხორვატული მიწების ნაწილი ოსმალთა მფლობელობაში იყო, ხორვატიის ძირითადი ნაწილი შედიოდა უნგრეთის სამეფოში, ხოლო მოგვიანებით – ავსტრია-უნგრეთის. მრავალრიცხოვანი მიგრაციის შედეგად ჩამოყალიბდა ამ ხალხთა შერეული განსახლება.

სამხრეთ და აღმოსავლეთ სლავიანთა ხორვატები, ისევე როგორც დასავლელი უკრაინელები, არიან დასავლური ტრადიციის მატარებლები. მაგრამ არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ეს ტრადიცია სხვებზე უკეთესია, ის სხვაა და შეიძლება დიდი უბედურების საწინდარი გახდეს, თუკი გადაიქ-

ცევა „ველიკდერჟავულად“. მსოფლიოში მრავალი სხვადასხვა ხალხია, მაგრამ ცუდი ხალხი არ არსებობს. ხორვატებმა იუგოსლავიას მისცეს ბროზტიტო, რომელმაც ათწლეულები გააერთიანა და შეარიგა ბალკანეთის ხალხები, თუმცა იმავე ხორვატებმა თავიანთი ქმედებებით მსოფლიო შეაძრწუნეს.

გერმანული და იტალიური ოკუპაციის შემდეგ, 1941 წელს, იუგოსლავია გაყოფილი იქნა ეროვნული ნიშნის მიხედვით მართლმადიდებლურ სერბეთად და კათოლიკურ დამოუკიდებელ ხორვატიის სახელმწიფოდ. შედეგები ძალზე ტრაგიკული აღმოჩნა როგორც ბალკანელი ხალხისათვის, ასევე კუპანტებისათვის. ხორვატმა ფაშისტებმა (უსტაშებმა) „თავი გამოიჩინეს“ ურიცხვ მასობრივ მხეცობებში, სერბების და მუსლიმანების სიკვდილის ბანაკებში განადგურებით, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტით. „ველიკოხორვატულ“ ნაციონალიზმთან შედარებთ გერმა-

ნიამ მიიღო მასშტაბების მიხედვით არნახული განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ვერმახტის მნიშვნელოვან ძალებს აკავებდა. კომინტერნის ყოფილი აგენტი, რომელიც ხელმძღვანელობდა პარტიზანულ მოძრაობას, იოსიპ ბროზტიტო შესანიშნავდ აცნობიერებდა, რომ გზა ერთიანი იუგოსლავიისაკენ იყო არა მარტო უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში, არამედ შიდა ეთნოსთაშორის და ეთნოკონფესიათა შორის წინააღმდეგობის დაძლევაში.

საბჭოთა ისტორიაში ჩამოყალიბდა იუგოსლაველ პარტიზანთა სტერეოტიპული სახე, რომელიც ებრძოდა გერმანელ დამპყრობლებს. რეალობა კი ბევრად რთული იყო. როცა 1943 წელს პარტიზანები მსხვილი ძალა გახდნენ, ჰიტლერმა ვინიცასთან ბანაკში ხორვატიის სახელმწიფოს მეთაურთან მლაპარაების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება მსხვილმასშტაბიანი ოპერაციის შესახებ. გერმანულმა, იტალიურმა, ხორ-

ვატიულმა დივიზიებმა და სერბი ფაშისტების შენაერთებმა ბრძოლა დაიწყეს მეამბოხეების წინააღმდეგ, მაგრამ ერთიანი ანტიპარტიზანული კოალიცია ვერ შედგა. მისი ყველა მონაწილე თავის საკუთარ პოლიტიკურ მიზანს ისახავდა. რჩება ბევრი საიდუმლო იმაზე, თუ ვინ ვისთან და ვის წინააღმდეგ იბრძოდა. უდავო ერთი რამაა, განმათავისუფლებელმა ომმა ადრე ნაკლებადცნობილი ინტერნაციონალისტი ლეგენდარულ მარშალ ტიტოდ აქცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა მეფის რუსეთის მთავრობას იდეა ბალკანეთის ფედერაციის შექმნის შესახებ კვლავ წამოჭრა, რომელიც იუგოსლავიის გარდა, მოიცავდა ბულგარეთსა და ალბანეთს. იუგოსლავია აგრალურ ალბანეთს სპეციალისტებით და სურსათით ეხმარებოდა, მაგრამ დამოკიდებულება ორ სახელმწიფოს შორის ვერ ვიტყვით, რომ უღრუბლო ყოფილა.

1948 წელს მეგობრული დამოკიდებულება იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის დაირღვა, რადგან იუგოსლავია ისწრაფოდა გაეტარებინა ბალკანეთის ფედერალიზაციის საკუთარი პოლიტიკა. ბუქარესტში, კომუნისტურ პარტიათა თათბირზე გამოაცხადეს თავიანთი რიგებიდან იუგოსლავიის გარიცხვის შესახებ „ველიკოდერჟავობისა“ და კაპიტალიზმის რესტავრაციის მცდელობისათვის.

როგორც ისტორიაში ხშირად ხდება, ამ გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო სერბებისა და ხორვატების კონსოლიდაციას საგარეო პოტენციური საფრთხის წინაშე, რაც შესაძლებელი იყო მოსკოვის მხრიდან „ძმური დახმარების“ სახით. ყოველივე ამან ეს ხალხები უფრო გახსნილი გახადა დასავლეთისათვის. დღის წესრიგიდან დროებით მოიხსნა შიდა ნაციონალური პრობლემები, რომლებიც ათწლეულობით ღვიოდა.

ბალკანეთში ავსტრია-უნგრეთის, სერბის და ოსმალთა იმპერიის სამგვარ კონფესიურ საზღვარზე (კათოლოკური, მართლმადიდებლური და მუსლიმანური), გაიხსნა სერბო-ხორვატიული, ბისნიური, ბერძნულ-ალბანური, სერბო-ალბანური, უნგრულ-რუმინული და სხვა ისტორიული „ნაკერები“.

მუსლიმანური აღმოსავლეთის ბოლო აფეთქება ქრისტიანული დასავლეთისათვის 1683 წელს შეწყდა, თურქების მიერ ვენის წარუმატებელი ალის შემდეგ. XX საუკუნის დასასრულს ბალკანეთი კვლავ აღმოჩნდა დაპირისპირებათა ეპიცენტრში. ბალკანეთის ომები 1912-1913 წელს პირველი მსოფლიო ომის წინამორბედი აღმოჩნდა. თუკი პირველი ბალკანური ომის წყალგამყოფი გადიოდა მართლმადიდებელ სლავიანთა და ოსმალთა იმპერიას შორის, მეორე ბალკანური ომი გამოწვეული იყო წინააღმდეგობებით ბულგ-

არეთსა და სერბეთს, აგრეთვე საბერძნეთს, რუმინეთს, ჩერნოგორიასა და თურქეთს შორის.

1914 წელს სარაევოში სერბი ნაციონალისტების მიერ მოკლული იქნა ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი, რომელიც მონაწილეობდა სამხედრო მანევრებში სერბიის, თურქეთის მიერ კოსოვოს ველზე დამარცხების 525-ე წლისთავის ნიშნად. საეჭვოა, ვინმეს წარმოედგინა, რომ ის ზაფხულის დღე პირველი მსოფლიო ომის დაწყების დღე გახდებოდა, რომელიც 9,5 მლნ სოცოცხლეს შეიწირავდა.

1918 წელს იუგოსავიამ ორი სხვადასხვა იმპერიისაგან – ჰაბსბურგებისაგან და ოსმანებისგან – მემკვიდრეობად მიიღო ტერიტორიები და კულტურა, რომლებიც სრულიად სხვადასხვა ცივილიზაციას ეკუთვნოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბალკანეთი საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური გავლენის ზონ-

აში მოექცა, მაგრამ მისმა დაშლამ კვლავ წარსულიდან გამოიხმო აღმოსავლეთის საკითხი, ასევე გერმანულ-საბჭოური მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის „ჩრდილი“. მოხდა იუგოსლავიის დეზინტეგრაცია და გაშიშვლდა სამასწლიანი ისტორიული რელიქტიკონფლიქტი მართლმადიდებლებსა და მუსლიმან სერბებს შორის ბოსნიაში და სერბებსა და ალბანელებს შორის კოსოვოში. პირველად ბოლო ასწლეულის განმავლობაში გამოდის დასავლეთი მუსლიმანთა მხარეზე მართლმადიდებლების წინააღმდეგ. „ნატო“-ს აქციას იუგოსლავიის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა, მაგალითად, მუსლიმანურმა თურქეთმა, აზერბაიჯანმა და ალბანეთმა, ხოლო წინააღმდეგ გამოვიდა მართლმადიდებლური საბერძნეთი.

სამხედრო აქციამ ბალკანეთში გამოიწვია იუგოსლავიის იძულებითი დაყოფა, სერბიიდან არა მარტო კოსოვოს, არამედ ჩერნოგორიის და ვოევოდინის

მოცილება. მან გაამძაფრა ეთნონაციონალური დაძაბულობა უნგრელებსა და სერბებს, რუმინელებსა და უნგრელებს, უნგრელებსა და სლოვანებს შორის. საბჭოთა კავშირის და მცირე იუგოსლავური „იმპერიის“ დაშლის შემდეგ ბალ-კანეთში კვლავ გაჩდნენ დიადი სერბიის მომხრეები, ასევე დიადი უნგრეთის, დიადი ალბანეთის და დიადი რუმინეთის რესტავრაციის მოსურნენი, რომ აღარაფერი ვთქვათ დიადი თურქეთის შექმნის შესახებ.

1920 წლის ტრიანონის მშვიდობიანი შეთანხმების თანახმად, უნგრეთმა დაკარგა თავისი ტერიტორიის ორი მესამედი. ისტორიული ოლქი – ტრანსილვანია – შერეული მოსახლეობით რუმინეთის ხელში გადავიდა. იქ 2 მლნ-ზე მეტი უნგრელი ცხოვრობს. ვოევოდინაში, რომელიც სერბიაში ავტონომიის უფლებებით შედის, 450 ათასი უნგრელი ცხოვრობს, სლოვაკეთში – 600 ათასი, ხოლო უკრაინის კარპატისპირე-

თში – 200 ათასი. უნგრელებსა და სლოვაკებს შორის კონფლიქტის შედეგად, რაც გაჩაღდა კამარნოში დუნაის ჰიდროკვანძის ერთობლივ მშენებლობასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ნაოსნობა ზარალდება. უნგრეთის ხელისუფლებამ უარი განაცხადა, განეხორციელებინა პროექტის საკუთარი ნაწილი იმ მიწების შესაძლო დატბორვის გამო, რომლებზეც სახლობენ სლოვაკი უნგრელები. ტრანსილვანიაში, უნგრელებით დასახლებული ტიმიშოარიდან დაიწყო რუმინეთში ანტიჩაუშესკური რევოლუცია. რუმინული ხელსუფლება ტრანსილვანიელი უნგრელების კულტურულ და ტერიტორიულ მოთხოვნებში ხედავს ქვეყნის გახლეჩვის საფრთხეს იუგოსლავური ვარიანტის მიხედვით.

1912 წლის პირველი ბალკანური ომის შედეგად აღიარეს ბალკანეთის დამოუკიდებლობა. საუკუნის ბოლოსათვის დემოგრაფიული ფაქტორის წყალობით

ალბანელებმა მაკედონიის მოსახლეობის მესამედი შეადგინეს. იუგოსლავიის დაშლის დაწყებამდე კოსოვოს ავტონომიურ მხარეში 1,3 მლნ ალბანელი ცხოვრობდა, რომლებიც გამოირჩეოდნენ შედარებით მაღალი ცხოვრების დონით. თანამედროვე „ალბანური საკითხი“ დაკავშირებულია მეორეხარისხოვანი „ბალკანური ერის“ კომპლექსის დაძლევასთან სერბული და მაკედონიური სახელმწიფოებრიობის შეულახავად.

პრობლემები არის რუმინულ-ბულგალურ ურთიერთობებშიც. ისტორიული ოლქი დობურჯა, რომელიც მდებარეობს დუნაის ქვედა დინებასა და შავი ზღვის სანაპიროს შორის, ხშირად ხდებოდა საერთაშორისო დავის ასპარეზი. რუსეთ საბჭოური იმპერია საუკუნეთა განმავლობაში არ იშლიდა მცდელობას „სამხრეთისაკენ ნახტომისა“, კონსტანტინეპოლის კარიბჭესთან და ამასთან დაკავშირებით გეოპოლიტიკ-

ური ხიდის შექმნას ბალკანეთში, იგი არაერთხელ გამოსულა დობრუჯის ბულგარეთისათვის გადაცემაზე, რომელსაც, გარდა ამისა, გასავლელი უნდა მიეღო ეგეოსის ზღვაზე. კერძოდ, ამას მოწმობს გერმანულ-საბჭოური ურთიერთობები 1939-1941 წლებში. რუმინეთში არიან ჩრდილოეთ ბუკოვინის და ბესარაბიის მიერთების მომხრეები.

ბალკანეთში „იუგოსლავიური იმპერიის“ დაშლის შემდეგ გაჩნდა ბულგარულ-სერბული კონფლიქტის პოტენციური საფრთხე. 1878 წლის ბერლინის კონგრესმა, რომელმაც სერბიის დამოუკიდებლობა აღიარა, მის საზღვრებში ის მიწებიც შეიყვანა, რომლებზეც პრეტენზიას ბულგარეთი აცხადებდა. ბულგარეთში გააქტიურდა პრომუსლიმანური მოძრაობა. თურქულენოვანი ბულგარელი მუსლიმანები ანუ პომაკები, რომელთაც არ გაუწყვეტიათ კავშირი ბულგარეთის მართლმადიდებლურ ერთობასთან, რუსული ჯარების

ბალკანური ლაშქრობის და ბულგარეთის თურქეთის უღლისგან განთავისუფლების შემდეგ გადასახლებულ იქნენ აღმოსავლეთ რუმელიის სამხრეთ რაიონებში. ამჟამად პომაკები უპირატესად ცხოვრობენ სამხრეთში, სოფლის ტერიტორიაზე და კირჯალაში – ბულგარეთის სარაევოში.

მართალია, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე დიდი ხანია ოსმალთა იმპერია აღარ არის, ბალკანელები თურქულ საზოგადოებაში აღიქმებიან როგორც დაკარგული სამშობლოს ნაწილი, რაც განაპირობებს ინტერესს ბალკანელი მუსლიმანების – პომაკების და ბოსნიაკების მიმართ. თურქეთში პოპულარულია იდეა ბალკანეთში დაბრუნებაზე ეკონომიკური ექსპანსიის გაფართოების გზით. ადგილობრივი ბაზრების უმეტესობაზე თურქული საქონელი დომინირებს, სადაც ადრე ძირითადად წარმოდგენლი იყო СЭВ–ის წევრი ქვეყნების პროდუქცია. სიმბოლურია, რომ პლ-

ოვდივში საერთაშორისო გამოფენაბაზრობაზე ყოფილი საბჭოთა პავილიონი თურქულმა ფირმებმა დაიკავეს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გაიხსნა ძველი პოლიტიკური, ეკონომიკური და ეთნიკური „ნაკრები“. ბალკანეთში საბჭოთა გეოპოლიტიკური გავლენის დაკარგვის შემდეგ გადმოინაცვლა ეთნონაციონალურმა და ეთნოკონფესიურმა კონფლიქტებმა ახლო აღმოსავლეთიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბესარაბიის გავლით გაიარა უკრაინის და მოლდოვის სახელმწიფო საზღვრებმა. მლდოვაში ისტორიული სოციოკულტურული საზღვრების იგნორირებამ ეთნიკურად ახლო მდგომ რუმინეთთან გაერთიანების მოსურნენი ქვეყნის განხეთქილებამდე და არაღირებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკის გამოცხადებამდე მიიყვანა. მოლდავური სახელმწიფოების ჩამოყალიბება რთულდება სლავიანური, თურქული და რო-

მანული ხალხების შიდა ეთნონაციონალური საზღვრებით, სადაც მოლდაველები მიიწევენ რუმინელებისაკენ, თურქი-გაუზები – ელიტური თურქეთისკენ, ხოლო რუსები და უკრაინელები – სამხრეთსლავიანური სამყაროსკენ.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დნესტრისპირეთის რესპუბლიკა განიხილება როგორც რუსეთის გეოპოლიტიკური ფორპოსტი ბალკანებზე. მეორე მხრივ, მოლდოვა აინტერესებს ზოგიერთ დასავლელ პოლიტიკოსს როგორც ნატოს შესაძლო პლაცდარმი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. გაგაუზთა პრობლემა, გამწვავებული სოციალურ-ეკონომიკური, სოციოკულტურული და ეკოლოგიური პრობლემებით, ავტონომიისათვის ბრძოლაში გამოვლინდა. 1989 წელს მოლდოვის პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა თვითაღიარებული გაგაუზის რესპუბლიკა. 1994 წლის დეკემბერში გაგაუზიაერლიმ მოლდოვის პარლამენტისგან

მიიღო ავტონომიის განსაკუთრებული სტატუსი და თვითგამორკვევის უფლება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კიშინოვის გაერთიანება რუმინეთთან. პერსპექტივაში სავარაუდოა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნას მუსლიმანური მინისახელმწიფოები – ფორპოსტები მოლდოვის გაგაუზებთან და ყირიმელ თათრებთან გასავლელად. ამას ხელს უწყობს სამხრეთ და აღმოსავლეთ სლავიანთა დეზინტეგრაცია და მათი შეთანხმებული სტრატეგიის არქონა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთის პოზიციები შესუსტდა, შეინარჩუნა რა მხოლოდ გეოეკონომიკური არსებობა (საერთაშორისო გაზსადენი), ამასთან ერთად იზრდება რუმინეთის პრეტენზია ხელსაყრელი გარემოებების პირობებში რეგიონალური სახელმწიფოს როლზე. უპირველეს ყოვლისა, ამით დაინტერესებულია ცენტრალური და დასავლეთ ევროპა, რომელიც რუმინეთს

განიხილავს შავიზღვისპირეთში საკომუნიკაციო რგოლის სახით. მეორე, ბოლო ასწლეულის განმავლობაში პირველად განთავისუფლებული შავიზღვისპირეთის დობრუჯისგან მოწყვეტის საფრთხისაგან, რომელზეც გადიოდა რუსეთ საბჭოური იმპერიის სტრატეგიული სახმელეთო დერეფანი სტამბოლზე, რუმინეთი დაიწყებს სწრაფვას თავისი პოზიციების გასაძლიერებლად სახიფათო გეოპოლიტიკური მიმართულებით. ამიტომ დიადი რუმინეთის შექმნა მოლდოვასთან შეერთების საფუძველზე ყოველთვის იპოვის მომხრეებს ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში.

გეოპოლიტიკური სივრცის ტრანსფორმაცია გარდაუვლად იწვევს ბალკანეთის ქვეყნების ეკონომიკური ორიენტაციის შეცვლას. შემთხვევითი როდია, რომ ბალკანეთის მსხვილი ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სატრანსპორტო კომუნიკაციებს. საუკუნე-

თა განმავლობაში დასავლეთ ევროპა ოსმალთა იმპერიასთან დაპირისპირებაში ეჭვით უყურებდა რუსეთის გაძლიერებას შავიზღვისპირეთის რეგიონსა და ბალკანეთში. დასავლეთი ისწრაფიდა გადაეჭრა არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ამოცანები, მათ შორის სატრანსპორტო დერეფნის შექმნა აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ პოლიტიკის მწვერვალად იქცა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობა. თუმცა გერმანიამ მოქმედების თავისუფლება მიიღო რუსეთის იმპერიის თამხმობით. კომპრომისი მიღწეულ იქნა ევროპიდან უკრაინის, ხოლო კავკასიიდან სპარსეთისა და ბრიტნეთის ინდოეთში გავლით სხვა ტრანსკონტინენტური მარშრუტის შესაძლო რეალიზაციის ხარჯზე. 1910 წლის პოტსდამის შეთანხმებაში გამოიხატა რუსეთის თანხმობა, ხელი არ შეეშალა გერმანიისათვის ბაღდადში რკინიგზის მშენებლობაზე და მომავალში რუსულ-სპარსული (ტრანსპარსუ-

ლი) მაგისტრალი შეერთებინა გერმანულთან. არსებობდა გზის მშენებლობის 1908 წლის რუსეთის (სლავიანური) პროექტი, რომელიც დუნაის აერთებდა ადრიატიკის ზღვასთან ჩერნოგორიის ან დალმაციის გავლით და რკინიგზის მშენებლობის ავსტრიული პროექტი თურქული სანჯაკის ნოვიბაზარზე გავლით, რომელიც სამეფოს სერბებს გამოყოფდა ჩერნოგორიის, ჰერცოგოვინის და ბოსნიის სერბებისაგან, მაგრამ აერთებდა ვენას სარაევოს გავლით სალონიკისკენ მიმავალ გზასთან.

მორიგი კონფლიქტის მეწამული დაფიონი ბალკანეთს თავს დაადგა XX საუკუნის ბოლოს, რამაც გამოიწვია გამოუცხადებელი მრავალწლიანი გეოეკონომიკური ომი. იუგოსლავიის წინააღმდეგ მარტო ემბარგოს შედეგად დუნაისპირა ქვეყნების დანაკარგებმა ასობით მილიარდი დოლარი შეადგინა, სამჯერ შემცირდა გადაზიდვათა და დუნაის პორტების ტვი-

რთბრუნვათა მოცულობა. ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ რეგიონის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები ამის თაობაზე არა მარტო იცავენ „სამარისებურ სიჩუმეს“, არამედ ჩამწკრივდნენ კიდეც რიგში ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ბლოკის ზღურბლთან და ხელგაწვდილები ელიან დასავლური ფინანსური ინსტიტუტების მოწყალებას, ბალკანები, ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან ნატოს და ეკის „რკინის ფარდით“ მომწყდეულები, სულ უფრო და უფრო სდება ღრმა ევროპული პერიფერია. შესუსტებული საგარეო ეკონომიკური კავშირების და ცხოვრების ხარისხის და დონის შემდგომი ვარდნის შედეგად შეიქმნა ნარკოტიკების (ჰეროინის) და მოპარული ავტომობილების ტრანსპორტირების ბალკანური მარშრუტი. გაიზარდა დანაშაულებრივ ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებიც დაკავებული არიან უკანონო ბიზნესით.

ნატოს ბომბდამშენებმა გაანადგურეს იუგოსლავიის ტერიტორია, მოსპეს სატრანსპორტო კომუნიკაციები, რომელთა მთავარი მიმართულება ორიენტირებული იყო აღმოსავლეთზე. უეჭველია, მდიდარი აშშ და დასავლეთ ევროპა აშენებს ახალ ხიდებს და გზებს, მაგრამ ეს უკვე იქნება ახალი საკომუნიკაციო კარკასი, გახსნილი უპირატესად დასავლეთისათვის, რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მაგრამ არჩეულ იქნა ეკონომიკურად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, როცა ახალი სატრანსპორტო დერეფნების ქსელის შექმნის მიზნით დაანგრიეს არსებული. თუმცა ტექნიკური პარამეტრებით მოძველებული საკომუნიკაციო ქსელი. ამ კონტექსტში განადგურებული ხიდებიდან ერთი ქალაქ ნოვისადში, მეორე მსოფლიო ომის ბოლოს საბჭოთა მესანგრეთა მიერ აღდგენილი, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ლიმიტირებდა ნაოსნობას დუნაიზე. მდინარეში წყლის მაღალი დონისას

ნაოსნობა იზღუდებოდა. სამგზავრო გემები დუნაიზე განლაგდება ხოლმე დაშლილი კაპიტნის ჯიხურებით დაბალი ხიდების გასასვლელის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ვოევოდინის სერბიასთან საიმედო კავშირის უქონლობამ შეიძლება გააძლიეროს ავტონომიურ მხარეში ცენტრიდანული ტენდენციები, სადაც უმეტეს წილად უნგრელები ცხოვრობენ.

ბალკანეთი რჩება ყველაზე სუსტ რგოლად დასავლეთის ზრახვებში ე.წ. „критских“ სატრანსპორტო დერეფნების შესაქმნელად, ისინი იკავებენ ახალ საკომუნიკაციო მიმართულებებს შავიზღვისპირეთისაკენ, ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთისაკენ. ნატოს ინტეგრაციის შემდეგ კოსოვოში ბლოკირებულია განუსაზღვრელი დროით დასავლეთ ევროპიდან ახლო აღმოსავლეთისაკენ ძირითადი დერეფანი. დასავლეთიდან, შუადუნაის დაბლობიდან ყველაზე მოსახერხებელი სატრანსპორტო გასასვლელი აღმ-

ოსავლეთისაკენ მიდის მორავის ხეობისკენ და შემდგომ სოფიისკენ სტარაპლანინის და როდოპის ქედებს შორის მარიცის ველზე. გეოპოლიტიკური ვიტარებისდამიხედვით, პერსპექტივაში ბალკანეთში შეიძლება განხორციელდეს დიდი აბრეშუმის გზის სამხრეთ მარშრუტის რეალიზაცია.

გამოუცხადებელი გეოეკონომიკური ომის შედეგად ბალკანეთში წარმოიშვა ე.წ. „რუხი ზონა“, ანუ ღრმა ეკონომიკური პერიფერია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც აგრეთვე შედის ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდავა და უკრაინა. აქ, ერთი მხრივ, შესუსტდა რუსეთის ეკონომკური პოზიცია, ხოლო მეორე მხრივ – იუგოსლავიის წინააღმდეგ დაწესებული შემოღებული ემბარგოს შედეგად შეწყდა საგარეო სავაჭრო კავშირი ყველაზე მსხვილ რეგიონალურ სახელმწიფოსთან ბალკანეთში.

კრიზისის დაძლევა?! მე-20 საუკუნის ბოლოს დასავლეთმა სამხედრო აქციათა მეშვეობით გააძლიერა ბალკანეთში თავისი ყოფნა იმ იმედით, რომ „გაჭრიდა“ დერეფანს შავი ზღვისპირეთის, ამიერკავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ენერგეტიკული და სხვა რესურსებისკენ, აშშ-ის და მისი ნატოს მხრიდან მოკავშირეების კონტროლით: ეს ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და თურქეთია. ბალკანეთის კრიზისმა რეგიონის ეკონომიკაზე უზარმაზარი უარყოფითი გავლენა მოახდინა.

სამწუხაროდ „სლავი ძმები“ თავიანთ ძალებზე კი არ ამყარებენ იმედს, არამედ დასავლეთიდან ელიან მატერიალურ დახმარებას. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ როცა იუგოსლავიას ბომბავდნენ ამერიკული რაკეტებით, სხვა ბალკანელი ქვეყნები რიგში ჩადგნენ აყვავებული დასავლეთის ზღურბლთან იმ იმედით, რომ კაპიტალს მიიღებდნენ ლოიალობის სანაცვ-

ლოდ. ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტათა სურვილმა, ეცხოვრათ დასავლეთის მაგვარად, გონება დაუბნელა მათ. მათ მიერ რეალურად აღიქმება მითოლოგიური გეოგრაფია, სადაც მიმდინარეობს ძირითადი პოლიტიკური მოვლენები, ირჩევენ ახალ „სტრატეგიულ“ პარტნიორებს და გაჰყავთ სატრანსპორტო დერეფნები.

დასავლეთ ევროპის კეთილდღეობა ემყარება აშშ-ს, კერძოდ მის სამხედრო დამოკიდებულებას. „ნატო“– ეს ევროპული კი არა, ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ბლოკია, სადაც დასავლეთი ევროპა – „ვასალის“ უფლებებით, იმალება ამერიკული ბირთვული ქოლგის ქვეშ. არ არსებობს დასავლეთი ევროპა, როგორც დამოუკიდებელი სამხედრო პოლიტიკური ძალა. ბულგარეთის, რუმინეთის, მოლდოვის, უკრაინის და მაკედონიის ხელმძღვანელები ისწრავიან გახდნენ ვასალთა ვასალები – აშშ-ის „სტრატეგიუ-

ლი“ პარტნიორები ქაღალდზე. მაგრამ ეს დამოკიდებულების უფრო მაღალი დონეა, ვიდრე საბჭოთა გეოპოლიტიკურ სივრცეში იყო. ისე არის კი მზად ამერიკა, ჩადოს თავისი ჯარისკაცების სიცოცხლე რეგიონში კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის? სადაა „დიდი სივრცის“ საზღვრები, რომლის მიღმაც შეუძლებელია ეფექტიანი დახმარება.

საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ავსტრიის იმპერია თავის კიდეებზე ისწრაფვოდა შეექმნა პოლიეთნიკური პროვინციები, მაგალითად პოლონურ-უკრაინული გალიცია, უკრაინულ-მოლდოვურ-რუმინული ბუკოვინა. ამგვარად, სამ ისტორიულ ოლქს – გალიციას, ბუკოვინას და ბესარაბიას აქვს სხადასხვა გეოპოლიტიკური კოდი. გალიცია ჩამოყალიბდა კიევის რუსეთის გეოპოლიტიკური სივრცის დასავლეთის საზღვრებზე. თავის მხრივ, რუსეთის იმპერიამ შექმნა თავის გეოპოლიტიკურ სივრცეში ისტორიუ-

ლი ოლქები – ბესარაბია და ნოვოროსია, ხოლო მონღოლეთის, ოსმალთა და რუსეთის იმპერიებმა – თავიანთი ისტორიული „სტრატები“ ყირიმში. პოლიეთნიკური პროვინციების შექმნა იმპერიის კიდეებზე საშუალებას იძლეოდა, წარმატებით ებრძოლათ სეპარატიზმთან და განეხილათ სასაზღვრო ზოლი, როგორც პლაცდარმი გეოეკონომიკური მიზნების გადასაჭრელად.

რატომ დარჩა ბალკანეთი მე-20 საუკუნის განმავლობაში ევროპისთვის „დენთის კასრად“? ეს ადგილობრივი ხალხების ბრალი იყო თუ დასავლეთის მოუქნელი მცდელობა, ეჩუქებინათ ბალკანეთისათვის ეროვნული (ნაციონალური) სახელმწიფოს მიუღებელი მოდელი? შეიძლება კი ვიპოვოთ პასუხი ოკეანის გაღმა – მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ქვეყანაში, რომელმაც ლოიალობისთვის მათ შესთავაზა ეროვნული ნიშნის მიხედვით გაყოფის ვარიანტი ცივილიზ-

აციათა მიჯნაზე მრავალჯერადმა მცდელობამ შეექმნათ სახელმწიფოები ევრაზიულ ცივილიზაციათა მიჯნაზე ეროვნული ნიშნის მიხედვით (ტიტულიანი ეთნოსის გამოყოფით), სახელი გაიტეხა ბალკანელი ხალხისათვის ურიცხვი უბედურებით. ევროპული ნაციონალიზმის კონცეფცია აღმოჩნდა უსუსური სოციოკულტურულ და კონფესიურ მიჯნებზე, რომლის ჩაკვდომა დაკავშირებულია „დიდ სივრცეთა ავტარკიასთან“.

აშკარაა, რომ პოლიკონფესიურმა და პოლიეთნიკურმა ოსმალეთმა და ავსტრიის იმპერიამ შეძლო უზრუნველეყო ბალკანელი ხალხების სტაბილურობა, კეთილდღეობა და მშვიდობიანი თანაარსებობა, ხოლო მე-20 საუკუნე ბალკანეთში აღინიშნა გენოციდეის მრავალრიცხოვანი გამოვლინებით. თურქეთში თითქმის არ დარჩნენ ბერძნები, სლავები და სომხები, ბულგარეთში – თურქები, საბერძნეთში – ბულგარე-

ლები და თურქები. უკვე საუკუნის ბოლოს მოხდა მართლმადიდებელი სერბების ხორვატიიდან, კოსოვოდან, ბოსნიიდან და ჰერცოგოვინიდან გამოსვლა, ხოლო კათოლიკე ხორვატების – სერბიიდან, ბოსნიიდან, ჰერცოგოვინიიდან და ა.შ.

ბალკანეთში პატარა „იმპერიის“ - ფედერაციული იუგოსლავიის – დაშლამდე ეს იყო ყველაზე აყვავებული ქვეყანა რეგიონში და საბჭოთა ხალხისათვის შურის საგანი. მე-20 საუკუნის ბოლოს გრიალით ჩავლილმა ბალკანურმა კონფლიქტებმა არა მარტო გადაჭრა ადგილობრივი პრობლემები, არამედ რეგიონი მრავალი წლის განმავლობაში გადააქცია საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზონად. 90-იანი წლების მე-4 ბალკანური ომის დროს მოკლული იქნა 250 ათასი კაცი, ხოლო 3 მლნ-ზე მეტი მოქალაქე ლტოლვილად იქცა. ომებმა მოიტანა უზარმაზარი მატერიალური ზარალი, მათ

ნაწილობრივ და სრულად გაანადგურა იუგოსლავიის, ბოსნიის და ჰერცოგოვინიის, ხორვატიის და კოსოვოს ეკონომიკა, მილიარდობით დოლარით შეამცირა მათი შიდა მთლიანი პროდუქტი. რეგიონში განადგურდა საკომუნიკაციო ქსელი, რამაც უზარმაზარი ზარალი მიაყენა ბალკანეთის ქვეყნების საგარეო ეკონომიკურ კავშირებს. დუნაის ნაოსნობის დაკეტვის და შეზღუდვის გამო დროებითი დანაკარგი განიცადა ბულგარეთის, რუმინეთის და უკრაინის, ავსტრიის, უნგრეთის, სლოვაკიის და გერმანიის ფოლადსადნობმა და ნავთობგადამამუშავებელმა ქარხნებმა, მაგრამ დასავლეთის ჩარევის შედეგად ყველაფერი რიგში ჩადგა.

ბალკანეთის გახლეჩილ გეოპოლიტიკურ სივრცეში გამოიკვეთა რამდენიმე ვექტორი. ბალკანეთის ქვეყნებს მიეცათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ევროპის ინტეგრაციულ პროცესებში, მათ შორის შესვლ-

აზე ეკ-სა და „ნატო“-ში. ამისათვის არსებობდა არა მარტო ეკონომიკური წინამძღვრები, არამედ დასავლეთის ქრისტიანობასთან კუთვნილება და რეალური გეოგრაფიული სიახლოვე დასავლეთ ევროპასთან. სხვა ყოფილი რესპუბლიკები მართლმადიდებლების და მუსლიმანების სიჭარბით გადაიქცა არასასიკეთო მდგომარეობით, დეპრესიული განვითარების ზონებად. ბალკანეთში გავლენიან ძალად გამოდიოდა თურქეთი, რომელიც მხარს უჭერს ადგილობრივ მუსლიმანურ სეპარატიზმს, მაგრამ დასავლეთის ქმედითი ღონისძიებებით იგი აღკვეთილ იქნა.

ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, მაკედონია, ბულგარეთი და რუმინეთი ეკ-ის და „ნატო“-ს ზღურბლთან მოლოდინში მყოფნი გახდნენ აღნიშნულ ორგანიზაციათა წევრები.

მდიდარი სახელმწიფოები იშვიათად სწირავენ უანგაროდ თავიანთი ჯარისკაცების სიცოცხლეს სხვა

ხალხების კეთილდღეობისათვის. აშშ-მა მიიღო უფლება, განუსაზღვრელი ვადით გააგრძელოს ყოფნა ბალკანეთში რაიმე მორალური ვალდებულებების გარეშე. ევრაზიის ისტორიაში პირველად აქ მთავარ ძალად გამოდის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ხანგრძლივი ისტორიული მეხსიერება და არ აქვს კეთილმეზობლური თანაარსებობის გამოცდილება.

აი რას წერს ცივილიზაციურ მიჯნათა დაძლევის გზებზე ს.ს. ავერინცევი: „თუკი ჩვენ ადრეულ ბიზანტიას „სასაზღვრო“ მოვლენას ვუწოდებთ, ეს იქნება სწორი, როგორც სივრცითი საზღვრის თვალსაზრისით, რომელიც ყოფს ბალკანო-იტალიურ დასავლეთსა და ანატოლია-ლევანტიურ აღმოსავლეთს, ასევე დროებითი საზღვრის თვალსაზრისით, ანტიკურობას და შუა საუკუნეებს რომ ყოფს; ბიზანტიამ განახორციელა თავი როგორც ამ და იმ საზღვრის ნაწილობრივი მოხსნა. ეს იყო საბერძნეთის და აზიის

ურთიერთგადასვლა, რომელიც გართულებული იყო კლასობრივი მემკვიდრეობის და სიახლის ურთიერთ-შეღწევით“.

თუმცა რეალურ სიამდვილეში საზღვრების „ნაწილობრივი მოხსნა“ იწვევს არამდგრად მსოფლიო წესრიგს, თუკი მას თან ახლავს რეალურობის იმიტ-აცია.

<u>თავი IV. გეოპოლიტიკაში არსებული საიდუმლოდ მოცული მოვლენები. კონსპიროლოგია</u>

გეოპოლიტიკაში არსებობს საიდუმლოებით მოცული მოვლენები. კომუნიკაციების აღდგენა ან სუსტი სახელმწიფოს მიერ „უფროსი ძმის“ ძებნა. გეოგრაფიულ სივრცეში მეტად თუ ნაკლებად ახსნადია, მაგრამ როგორც კი გადიხარ შესაძლო გამოცდილების მიღმა, ხვდები ტრანსცენდენტურ სამყაროში. დიქტატორები და მათი თანამეინახენი, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ხალხზე ძალადობას, საიდუმლოდ მიმართავენ რელიგიას, ოკულტიზმს ან პარაფსიქოლოგიას. რწმენის იმიტაცია დამახასიათებელია არამძლავრი ძალაუფლებისთვისაც, რაც შემჩნეულია ხაზინის ქურდობაში ანუ „ბიზნესი“ სახელმწიფოს რესურსებზე. შესაძლოა ადამიანში მისი კომუნიკაციის

მაღალი სტატუსის დამოუკიდებლად არის რაღაც, რაც ინახავს მის ბუნებრივ არსს. ძნელია მოატყუო საკუთარი თავი. დიქტატორების ეშინიათ ქვეშევრდომებს, მაგრამ ის, იმყოფება რა ძალაუფლების მწვერვალზე გრძნობს სიცარიელეს შიგნით და თავის გარშემო. თითქოს უბრალო ლოგიკაა. არ არის ადამიანი – არ არის პრობლემები, არაა სინდისი – მოვალეობა ბუნების წინაშე. მაგრამ არ შეიძლება ბუნების სამყარო დატოვო ბედით გადაწყვეტილ ვადაზე ადრე და მოვალეობა იცვლება იმიტაციით, რაც ამართლებს უღირს საქციელს და პოლიტიკურ ტერორს. მაგრამ ვინაა უმაღლესი მოსამართლე, თუ იმყოფები ძალაუფლების მწვერვალზე? ანდა არ არის ის რაღაც, რაც ამართლებს მბრძანებლობის ტექნოლოგიას? კონსპიროლოგია – მეცნიერება შეთქმულების, საიდუმლო საზოგადოებების და ოკულტური ფაქტორების შესახებ ისტორიაში.

საიდუმლო საზოგადოებები – პოლიტიკური, საქმიანი (ეკონომიკური), რელიგიურ-მისტიური, ინტელექტუალური და სხვა ორგანიზაციებია, მაგალითად მასონური ლოჟები, სტუდენტური საქმეები. დასავლეთ-ქრისტიანულ ცივილიზაციაში, რომლის საფუძველში დევს გონების და კაპიტალის შეხამება, განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა ოლიგარქების და ინტელექტუალების მსოფლიო კლუბებმა (მასონური ლოჟები და ორდენები). მათი მოღვაწეობის საფუძველში მსოფლიო შეთქმულების თეორიაა: ქვეყანას მართავს კაპიტალი ან ინტელექტი. პოლიტიკოსები წარმოადგენენ დაქირავებულ მენეჯერებს, დაქირავებულ შრომის სახეებს, და მათ სჭირდებათ რეკლამა, რომ დროებით ავიდნენ პოლიტიკური ძალაუფლების მწვერვალზე. კაპიტალის და ინტელექტის წარმომადგენლები ასეთ რეკლამას ხშირად არ საჭიროებენ. ესაა მათი საიდუმლო კავშირი, ვისაც შეუძლია სწორად და

ლოგიკურად ფიქრი (ანალიტიკოსების) და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები (პოლიტიკური და საქმოსანი მენეჯერების).

მასონურობა, ფრანკმასონურობა (ფრანგული Francmacon - თავისუფალი კალატოზი). რელიგიურ-ეთიკური მოძრაობაა, რომელიც აცხადებს „ადამიანთა გაერთიანებას ძმობის, სიყვარულის თანასწორობის და ურთიერთდახმარების საწყისებზე.“ ამ ეთიკურ მოძღვრებაში არის რელიგიური მისტიციზმის ელემენტები. წარმოიშვა ინგლისში XVIII ს.-ის დასაწყისში და შემდგომ გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, რუსეთში, აშშ-ში, ინდოეთში და სხვა უპირატესად ქრისტიანულ ქვეყნებში. 1717 წელს შექმნილ, ინგლისის უმაღლესი ლოჟის წესდებაში, მასონს მიეწერება არ იყოს „არც სულელი ათეისტი, არც ურელიგიო თავისუფლად მოაზროვნე,“ შეინარჩუნოს სამოქალაქო ძალაუფლება, ისე რომ არ მიიღ-

ოს მონაწილეობა პოლიტიკურ მოძრაობაში. მასონები, უარყოფენ რა ეკლესიის დოგმატიკას, ღმერთს თვლიან როგორც „სამყაროს უდიდეს არქიტექტორად," უშვებენ ნებისმიერი რელიგიის აღმსარებელს და ამიტომაც რიტუალებში იყენებენ არა მხოლოდ ქრისტიანულ ელემენტებს. მასონები გაერთიანებულნი ადგილობრივ ორგანიზაციებში (ლოჟებში), ქმნიან ნაციონალური მასშტაბით უმაღლეს ლოჟას სათავეში უმაღლესი ოსტატით, მაგისტრით. ბევრი ტრადიცია აღებულია შუასაუკუნოვანი საამქრო გაერთიანებების (საძმოების) მშენებელ-კალატოზების პრაქტიკიდან, რომელიც აერთიანებდა არქიტექტორებს, სკულპტორებს და მხატვრებს.

თავიდან მასონურობა ატარებდა ბურჟუაზიულ ხასიათს, მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა ბევრი ევროპელი განმანათლებელი, უპირისპირებდა რა საკუთარ თავს ფეოდალურ სახელმწიფოებრიობას და

ოფიციალურ ეკლესიას, მასონები მიისწრაფოდნენ კაცობრიობის საიდუმლო მსოფლიო საძმოს შექმნისაკენ. შემდგომში დასავლეთ ევროპაში მასონურობამ მიიღო არისტოკრატიული ხასიათი მისტიციზმის ელემენტების და შუასაუკუნოვან რაინდთა ორდენების ტრადიციების ტამპლერები და სხვა გაძლიერებით.

მასონურობა მიისწრაფის შეიცნოს სულებზე, ბუნებაზე და ადამიანებზე ძალაუფლების საიდუმლო, რამაც განსაზღვრა სწრაფვა ოკულტიზმისაკენ. მასონურობა ჩადებულია აზრის და კაპიტალის კავშირზე დაფუძნებულ დასავლეთ-ქრისტიანული ცივილიზაციის ბუნებაში. პიროვნების თავისუფლების, თანასწორობის და უფლებების პრინციპებზე დაფუძნებული საძმოების კოსმოპოლიტიკურობა დასავლეთ ცივილიზაციის მიზნების თანაჟღერადია. შემთხვევითი არაა რომ დასავლეთ საძმოები მსახურობენ არა სახელმწიფო საფუძვლების დამრღვევებად, არამედ საი-

დუმლო პარტიებად, რომლებიც უანგაროდ უჭერენ მხარს სახელმწიფოს შიდა პოლიტიკას, ანუ დასავლეთის თავისებური „კომუნისტური“ ინტერნაციონალი. მასონურობაში შერწყმულია პოლიტიკური ოპოზიციის სული და განათლებული ადამიანების მაღალი სულიერი ძიებანი, სუფთად მატერიალური ცივილიზაციური პროგრესის ფონზე, რასაც თან ახლავს ომები და მეტისმეტი უსამართლობა.

მასონურ ლოჟებში შედიოდნენ ბევრი ინგლისელი, პრუსიელი და შვედი მეფეები, მაგალითად პრუსიის მეფე, მხედართმთავარი და განმანათლებელი ფრიდრიხ II. მასონი იყო ბევრი ამერიკელი პრეზიდენტი ჯ. ვაშინგტონიდან ჰ. ტრუმენამდე, ბუშ – უფროსი და უმცროსი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი უ. ჩერჩილი. მასონობის მიმდევრები იყვნენ ევროპელი მოაზროვნეები მწერლები და კომპოზიტორები, მაგალითად ვოლტერი, ფიხტე, გეტე, ჰერდერი, მოცა-

რტი, ჰაიდნი. მესამე რაიხში მასონობა იდევნებოდა ინტერნაციონალიზმის მიმდევრობის გამო, ხოლო საბჭოთა კავშირში – საკუთარი გონებით ფიქრისაკენ და ცხოვრებისაკენ მისწრაფების გამო. XXს-ის ბოლოს მსოფლიოში ირიცხებოდა 8 მილიონი მასონი, უპირატესად ანგლოსაქსონურ ქვეყნებში. უმაღლესი ლოჟები, რომლებიც წარსულში აერთიანებდა არისტოკრატიას, ახლა შესდგება მერიტოკრატიის წარმომადგენლებისაგან.

ილუმინატების ორდენი (ლათინური iluminare – განათლება) შექმნილია ბავარიაში 1776 წელს უფლებების ახალგაზრდა პროფესორის ადამ ვეისჰაუპტის მიერ მასონობის საიდუმლო საგანმანათლებლო ორგანიზაციად გადაქცევის მიზნით. ილუმინიზმი გახდა მრავალი საიდუმლო საზოგადოების პირველსახე, რომელთა მიზანს წარმოადგენდა სამყაროს რადიკალური გადაკეთება, რუს ბოლშევიკებამდე. ორდენის

წევრობას მიაწერდნენ ბავარიის არისტოკრატიიდან ბევრ გამოსულს, აგრეთვე გეტეს, მოცარტს და ჰერ-დერს.

ორდენი „თავის ქალა და ძვლები“ – ელიტარული იელის უნივერსიტეტის (აშშ) საიდუმლო სტუდენტუ-რი საძმოა, არსებობს 1776 წლიდან. საძმო არ უარყ-ოფს ვერსიას ბავარიულ ფესვებზე ილუმინატების ორდენიდან წარმოშობის შესახებ. საძმოს ერთ-ერთი ჰიმნი შექმნილია მოცარტის პროტექციით მასონად გამხდარ კომპოზიტორ ჰაიდნის მიერ დაწერილი მე-ლოდიის Deutschland uber Alles მიხედვით. აერთიანებს დასავლეთ სანაპიროს არისტოკრატიის მთელ თაობე-ბს, რომლებიც შეადგენენ ამერიკის მმართველ კლა-სს. „საძმო“ აღიარებს მორალური უპირატესობის გრძნობას. ორდენის წევრები იყვნენ ამერიკის პრეზი-დენტები უ. მაკკინლიდან (1897-1901) ჯ. ბუშ უფროსა-მდე და უმცროსამდე, სხვა პოლიტიკოსები, რომლებ-

იც მონაწილეობას იღებდნენ შიგა პოლიტიკის და დაცვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

მასონობა რუსეთში ჩაისახა XVIII ს-ში, როგორც აზნაურობის ოპოზიციური მოძრაობა, რომელიც კიცხავდა არსებულ სინამდვილეს. მასონები გამოდიოდნენ უსამართლო მსოფლიოს მშვიდობიანი ტრანსფორმაციისათვის შემდგომი მსოფლიო ძმობის მეფობით. ორდენის საიდუმლო ხელმძღვანელების ხელმძღვანელობით ხალხის საყოველთაო განათლების გზით მასონურ ლოჟებში, მაგალითად შედიოდნენ განმანათლებელი ნ. ი. ნოვიკოვი, სახელმწიფო მოღვაწე მ.მ. სპერანსკი და ისტორიკოსი ნ.მ. კარამზინი. მასონები იყვნენ პ.ი. პესტელი, მ.ფ. ორლოვი, ნ.მ. მურავიოვი, ს.პ. ტრუბეცკი და სხვა დეკაბრისტები. მასონურ ლოჟებს შეადგენდა ბევრი რუსი ოფიცერი გენერალ სი-

მუს ა.ვ. სუვოროვამდე და ფელდმარშალ მ.ი. კუტუზ-ოვამდე, პოეტები ა.ს. პუშკინი და მ.ა. ვოლოშინი.

მასონობა იდევნებოდა ეკატერინე II–ის დროს, აღორძინდებოდა პავლე I და ალექსანდრე I-ის დროს, რომელმაც შემდგომ აკრძალა მასონობა (1822). მასონურობამ ახლიდან აკრიფა ძალები XXს-ის დასაწყისში საფრანგეთის უდიდესი დასავლეთის ლოჟის ეგიდით. დროებითი მმართველობის წევრების უმეტესობა ა.ფ. კერენსკის თაოსნობით იყვნენ მასონები. საბჭოთა ხელისუფლების მიერ რუსეთში მასონური ლოჟები აიკრძალა. ზოგიერთი ბოლშევიკი, მომავალი სახალხო კომისრების ჩათვლით არაგანგრძობად მონაწილეობას იღებდნენ მასონური ლოჟის საქმიანობაში, მაგრამ წევრობა შეწყვიტეს 1917 წელს. საბჭოთა ძალაუფლებისას შეთავაზებული იყო კომინტერისაგან დიდი მასონური ლოჟის შექმნა. 1922 წელს მოსკოვის კონგრესზე III ინტერნაციონალმა განაცხა-

და კომუნისტურ პარტიასთან და თავისუფალ კალა-ტოზებთან ერთდროული მიკუთვნების შეუთავსებლ-ობის შესახებ. თუმცა წითელ არმიაში და НКВД გვხ-ვდება მასონების შესახებ პუბლიკაციები. მაგალით-ად, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, ВЧК, ОГПУ, НКВД კოლეგიის წევრი. გლებ ბოკმა, რომელიც იმყოფებოდა მასონურ ლოჟაში „გაერთია-ნებული მშრომელთა საძმო“, შექმნა სპირიტული წრე და „სააგარაკო ეროტიული კოოპერატივი“, რომ-ელიც ქადაგებდა ბუნებასთან დაახლოებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაირკვა, რომ ცენტრალური, სახელმწიფო განსაკუთრებული არქი-ვი შეიცავს რიგი ევროპული მასონური ლოჟების ფონდებს, რომლებიც გერმანიიდან იქნა გამოტანილი საბჭოთა ჯარების მიერ, სადაც ისინი თავის დროზე საფრანგეთის და სხვა ევროპული ქვეყნების გერმან-ული ოკუპაციის პროცესში მოხვდნენ. 30-იან წლებში

ევროპაში მოქმედებდა საერთაშორისო მასონური ასოციაცია შტაბბინით ჟენევაში. არქივში აღმოჩენილი იქნა მიმართვა უკრაინის უმაღლესი ლოჟის MMA-სთან, დათარიღებული 1933 წლის სექტემბრით, რომელიც მოუწოდებდა რუსული ოკუპაციური პოლიტიკისგან ტანჯული უკრაინელი ერის დახმარებისაკენ. თუმცა რუსი ისტორიკოსი ანდრეი სერკოვი ამ დოკუმენტს ნაყალბევად მიიჩნევს. უკარინული (პროავსტრიული) ლოჟა შეიძლება არსებობდა 1900-1912 წწ-ში.

ისეთი ცნებები, როგორიცაა „კონსტიტუცია“, „ინტელიგენცია“, „ამხანაგი“ რუსულ პოლიტიკურ ლექსიკონში მასონების მიერ იქნა შეტანილი. მეწამული დროშა და წითელი ვარსკვლავი მასონური სიმბოლიკიდან გახდნენ კომუნისტური, ხოლო „ინტერნაციონალი“ გადაღებულია მასონური ჰიმნებიდან.

90-იანი წწ.-ის დასაწყისში დაიწყო მასონურობის აღორძინება რუსეთში, რომელიც შედიოდა უმაღლე-

სი აღმოსავლეთის საფრანგეთის უმაღლეს ლოჟაში და სხვა. თუმცა ძალაუფლების და კაპიტალის მიზიდვამ მასონებში სინდისის, ნამუსისა და მოვალეობის დეფიციტისას შეიძლება შექმნას შემდეგი ჩხრიალა ნარევი, რომელიც საშიში იქნება სამშობლოსათვის. მასონის ფიცი ოჯახურ და სამშობლოს მოვალეობებზე მაღლა იდგა. რასაც შედეგად სახელმწიფო ტრაგიკულ შედეგებამდე მიჰყავს.

თანამედროვე მსოფლიოში განვითარება ჰპოვა ეზოთერმულმა გლობალიზმმა (საიდუმლოებები განკუთვნილი განდგომილებისათვის) – ელიტის ინტერნაციონალიზაცია, მსოფლიო კლუბის ფორმირება უპირატესად „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებიდან. ამით დასავლეთმა მოიხმო პოსტკომუნისტური ელიტა, რომლებმაც თავისი ქვეყნის გაყიდვით მიიღეს თავისი ქონების გარანტია პრივატიზებული განსაკუთრებით მსხვილ ფორმებში. ამ ფუნქციების შესრულების შე-

მდეგ ნაციონალური ელიტა გადაქცეული „ელიტა კანონში“, დასავლეთის მიერ უარყოფილი იქნა, როგორც დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების იდეალებისათვის საშიშროების წარმომადგენელი.

გლობალიზმის მაგალითი შეიძლება იყოს ბილდერბერგის კლუბი საერთაშორისო არასამთავრობო მონდიალისტური ორგანიზაცია. აერთიანებს მსოფლიო ოლიგარქებს მსოფლიო პოლიტიკის, ეკონომიკის და მასიური საინფორმაციო საშუალებების საერთო კოორდინაციისათვის „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების მიზნით. კლუბი შეიქმნა 1954 წლის მაისში ჰოლანდიის ქალაქ ოსტერბეკში, სასტუმრო „ბილდერბერგში“. საიდუმლო სხდომებში მონაწილეობას ღებულობს ბევრი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკოსი, რომლებიც გამოდიან მსოფლიო წესრიგის პროექტის მხარდასაჭერად. იდეურ დამოკიდებულებაში ანხორციელებენ ოლიგარქიული „ინტერნაციო-

ნალის“ დონეზე შიგა ურთიერთობის საბჭოს (აშშ) ანალოგიურ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირისათვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როდესაც ვერმახტის ჯარისკაცები მოსკოვთან იყვნენ, სტალინმა მიმართა ღმერთს. ბევრი მღვდელი დაბრუნებული იქნა თავის მრევლთან. ერთ-ერთ უდიდეს ქრისტიანულ რელიქვიას წარმოადგენს ყაზანის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც რუსეთიდან გაიტანეს XXს-ის დასაწყისში. ითვლება, რომ ხატის ორიგინალი ინახება ვატიკანში. ხატის სასწაულმოქმედება აიხსნება იმით, რომ ის მრავალჯერ დაეხმარა გამარჯვებაში რუსულ ჯარებს მსხვილ ბრძოლებში. 1941 წლის შემოდგომაზე სტალინის ბრძანებით ხატის ნაკურთხი ზუსტი ასლით, რომელზეც ლოცულობდა ათასობით მორწმუნე, თვითმფრინავმა შემოუფრინა მოსკოვს. დედაქალაქის მისადგომებთან განლაგებული გერმანელების შეტევა, როგორც ცნობი-

ლია ჩაიშალა. დიდი სამამულო ომის დროს მთავარ-
მა კომუნისტურმა გაზეთმა „პრავდამ“ სიტყვა „ღმერ-
თის“ წერა დაიწყო დიდი ასოთი.

საბჭოელ ბელადებს არ ჩამორჩებოდნენ ნაცისტუ-
რი ლიდერები. 1942 წლის ზაფხულში ქ. ჟიტომირში,
სადაც განლაგებული იყო სს-ეს ხელმძღვანელობის
შტაბბინა, სს-ეს რაიხსფიურერი ჰიტლერი გაერთია-
ნებულ მაგიდასთან პოლიტიკური დაზვერვის შეფთ-
ან შელენბერგთან საუბრობს ტიბეტური ექსპედიცი-
ის და ბუდიზმის შესახებ.

სტალინის მთავარი მრჩეველი საომარი ხელოვნე-
ბის დარგში იყო ღრმად მორწმუნე ადამიანი, თავისი
დროის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერ-თეორეტიკოსი
მარშალი შაპოშნიკოვი, ფუნდამენტური ნაშრომის
„ჯარის ტვინი“ ავტორი, სოფლის მეურნეობაში –
უპარტიო აკადემიკოსი ლისენკო. 1951 წელს ბელად-
თან შეთანხმებით მოსკოვის უნივერსიტეტის მთავა-

რი „მეცნიერების და განათლების ტაძარი“, რექტორად დაინიშნა უპარტიო აკადემიკოსი პეტროვსკი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როცა ხდება პიროვნების გაორება და გარე გარსი წინააღმდეგობაში შედის შიგა შემცველობაში, დასახმარებლად მოიხმობა ღმერთები ან სხვადასხვა სულები. როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, ეს ხდება არა მხოლოდ დიქტატორებთან, არამედ „დამსახურებულ“ ჩეკისტებთან და გესტაპოელებთანაც.

პოსტსაბჭოური ხელისუფლების დამახასიათებელ მოპყრობას ღმერთთან აქვს იგივე ბუნება. დემოკრატიის „უკანასკნელი საზღაური“. კომუნისტური იდეალების გამყიდველი და საერთო სახალხო საკუთრების მიმთვისებლები, ბრბოებად მიემართებიან ეკლესიაში, იმედით, რომ მიიღებენ ცოდვების მიტევებას. ეს ცრუ წინასწარმეტყველები, რომლებსაც ეზიზღებათ ქრისტიანული მცნებები, მზად არიან ფიცი დადონ ბიბლ-

იაზე ყოველი მიზეზით, თუ ეს შეუნარჩუნებთ ძალაუფლებას.

რა არის ეს – სულიერი აღორძინება თუ სულიერი ოპტიმიზმის მომდევნო შეტევა? შეიძლება საკრარულისა და ოკულტიზმისკენ მისწრაფება აიხსნება ადამიანის ორბუნებიანობით. ყველაზე სისხლიანი დიქტატორიც კი ვერ ატყუებს თავის თავს და ეძებს გადარჩენას თავისი სულისათვის. ჯერ კიდევ ლოგიკის კანტოვურ კლასიფიკაციაში იმალება პოლიტიკის, ისტორიის და მისტიური, ზეჭეშმარიტი და პარანორმალური გეოპოლიტიკის და ოკულტიზმის მჭიდრო კავშირი.

მესამე რეიხში და საბჭოთა კავშირში თითქმის პარალელურად ექცეოდნენ ექსტასენსორულ და პარაფსიქოლოგიურ მოვლენებს. „ჭეშმარიტი“ ფაშისტარიელები და „რკინის“ სახკომები, რომლებმაც ხალხების მიმართ ჩაიდინეს მასიური ბოროტმოქმედება, ეძ-

ებდნენ თავშესაფარს თუ ალკოგოლიზმში არა, მაშინ მისტიურობაში – ოკულტიზმში და ანტროპოსოფიაში. ეს მათ ეხმარებოდა დროებით დაევიწყებინათ ყავისფერი და წითელი ტერორის მრავალრიცხოვანი მსხვერპლის სახეები.

ოკულტიზმი (ლათინური occuitus – საიდუმლო, იდუმალი) – მეცნიერება, მოვლენების საერთო დაფარული კავშირების და ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსის შესახებ. ოკულტიზმმა უმთავრესი როლი შეასრულა განათლების იტალიური ნატურფილოსოფიის ეპოსში (XIV–XVI).

ანტროფოსოფია (ბერძნული antropos u sophia – ადამიანი და სიბრძნე) – თეოსოფიის სახესხვაობაა. მეცნიერების დამაარსებული იყო გერმანელი ფილოსოფ-მისტიკოსი და მწერალი რუდოლფ შტეინერი, რომელმაც იწინასწარმეტყველა მსოფლიო ომი. ანტროფოსოფიის მიმდევრებში შედიოდნენ მესამე რაიხ-

ის ბელადები, კულტურის და გეოპოლიტიკის მოღვაწეები.

პარაფსიქოლოგია (ბერძნული para, psyche, და logos – ახლოს, წინააღმდეგ) ფსიქოლოგია – მეცნიერება სულიერი ძალების გამოვლინების შესახებ, რომლებიც ჭეშმარიტ სამეცნიერო აზრით არ წარმოადგენენ ახსნადს. ერთ-ერთ პარაფსიქოლოგიურ ფენომენს წარმოადგენს ობიექტზე სულიერი ზემოქმედება მანძილიდან.

ვერცხლის საუკუნის რუსი ფილოსოფოსები აღნიშნავდნენ მარქსიზმ–ლენინიზმის, ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებასთან შეუთავსებლობას. ადამიანის მოქცევის ბუნებრივი, ზნეობრივი და სულიერი ნორმების მიზანმიმართულმა რღვევამ მიიყვანა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების დემონიზაციასთან.

საბჭოთა სპეცსამსახურების არქივებთან განსაზღვრული დაშვების გახსნის შემდეგ გაჩნდა, შესაძლ-

ებლობა გამოიკვლიოს უღმერთო ძალაუფლების ინ-
ტერესი საკრალური გეოგრაფიისა და ოკულტიზმის-
კენ. დადიოდა ჭორები საბჭოთა კავშირში ყველაზე
საიდუმლო სამსახურის არსებობის შესახებ. რუსი
ისტორიკოსის ევგენი შიშკოვის გამოკვლევების და-
მარებით შევეცდებით მოვახდინოთ შესაძლო გამოკვ-
ლევების რეკონსტრუქცია. 1921 წ-ს სამოქალაქო ომ-
ის დასრულებისას ВЧК-ში მსოფლიო პროლეტარია-
ტის ბელადის ვლადიმერ ლენინის განკარგულებით
შეიქმნა ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო ქვეგანყოფი-
ლება, ხოლო 1924 წ-ს უკვე ОГПУ-ში ორგანიზდება
სპეციალური პარაფსიქოლოგიური ლაბორატორია
სათავეში „დამსახურებული“ ჩეკისტით გლებ ბოკიე-
მით, რომელმაც თავი გამოიჩინა წითელი ტერორის
უდრეკ ჯარისკაცად. საიდუმლო ლაბორატორიაში
კითხულობდნენ ლექციებს ოკულტიზმის შესახებ
ზემდგომი ჩეკისტებისა და პარტიული ფუნქციონირე-

ბისათვის. ლაბორატორიის გამოყენებითი მნიშვნელობა მდგომარეობდა მანძილებზე მოწინააღმდეგის ფიქრების წაკითხვის ტელეპატიური ჩვევების გამომუშავებაში.

მსოფლიოს გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ტრანსფორმაციას თან ახლავს აზიის სიმძლავრის ზრდა. გაღვიძებული აღმოსავლეთის დრაკონი დასავლეთის ანტროპოცენტრიზმს აიძულებს დაყაროს ზედმეტი თავდაჯერებულობა და დაჟინებით იყურება კონტინენტის სიღრმეში, რომელიც გამდიდრებულია ისტორიული მოვლენებით. მივმართოთ აზიის კომუნიკაციურ ბუნებას, რომელიც XX ს-ის განმავლობაში იზიდავს ევროპელებს, რომლებიც არაერთხელ შეეცადნენ ეპოვათ ის, რასაც შეიძლება საერთოდ ვერ მიაღწიო, ისევე როგორც უარი თქვა სამუდამო ძებნაზე.

შუასაუკუნეების აღმოსავლეთში გეოგრაფიას თვლიდნენ, როგორც ღვთისშესაფერ მეცნიერებას, რომ-

ელიც აფართოებს შეცნობის საზღვრებს რეალურ სივრცეში. მაგრამ გეოგრაფიას, როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, აქვს საზღვრები, როცა რაციონალურ აღქმას არ შეუძლია მოვლენის არსის შეცნობა.

მრავალგანზომილებიანი კომუნიკაციური სივრცის ენერგოინფორმაციული პროცესების კვლევისას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოლტერგეისტს – ბოლომდე შეუსწავლელი მოვლენა. ენერგეტიკულად წარმოქმნილი არამატერიალური სამყაროდან თანამედროვეობაში შემოღწეული თავისებური კონტაქტური ზონების გავლით – „უდიდესი ხელსაყრელობის დერეფნები“. ამ ფანტომების ენერგეტიკა დამოკიდებულია მათი გაჩენის ადგილის განლაგებაზე და სხვა ფაქტორებზე. ხელსაყრელია დახურული სივრცე წვრილი გრძელი გადასასვლელებით, აქტიური ბიოველის ადამიანების მოღვაწეობის ინტენსიური ნაკვალ-

ევით (ძველებური სასახლეები, ძველი სახლები). სასახლე გაჯერებული ისტორიული დროით (სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) ანუ ისტორიული წარსულის დროით. საეკლესიო ტაძარი წარმოადგენს ფოკუსირებული სულიერი ენერგიის ადგილის, ადამიანის ინტენსიურ კონტაქტს ტრანსტენდენციურ ღმერთ – აბსოლუტთან.

თუ ამ მოვლენის გეოგრაფიას მივუდგებით გლობალური მასშტაბით, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ღრმა აზია ტიბეტის და ჰობის ჩათვლით წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ ადგილს დედამიწაზე, გაჯერებულს ისტორიული წარსულით. ამ გიგანტურ ბუნებრივ სასხლეში მოგზაურმა შეიძლება განიცადოს იდუმალი ჩვენებები. როგორც აღწერს ნიკოლაი რერიხი, 1926 წ-ს მისი ექსპედიციის წევრებმა აღმოსავლეთ ჩინეთში ყარაყორუმის მთებთან მიახლოებისას კრისტალურად სუფთა მოწმენდილ ცაზე დაინახეს

მბრწყინავი დისკო, რომელიც ჰგავდა მფრინავ აპარატს, რომელიც თანმხლებმა ლამებმა მონათლეს შამბალის ნიშნად.

როგორი ენერგეტიკული იმპულსები მოდის კონტინენტის მძინარე სიღრმიდან? როგორც მბჟუტავ კერაში შეიძლება უცებ გაჩნდეს ალი, ისე ისტორიაში აზია არა ერთხელ აღმოჩნდა მსოფლიოს გარდაქმნის ეპიცენტრი. თუ მივყვებით ცნობილ გეოპოლიტიკურ კონცეფციას, ისტორიის გეოგრაფიული ღერძი დაკარგულია ევრაზიის გაშლილ სივრცეებთან. შესაძლოა აქაა განთავსებული დედამიწის მრაავალგანზომილებიანი სივრცის კომუნიკაციური პოლუსი. მაგრამ ყველასათვის ცნობილი გეოგრაფიული ცენტრის აზიისაგან განსხვავებით შეიძლება ვილაპარაკოთ გეოგრაფიულ სივრცეზე ამ პოლუსის პირობით პროექციაზე და მისი აღქმის მგრძნობიარობაზე. ის არსებობს სადღაც აქვე, ჩვენს ფიქრებში, მაგრამ ძნელია

ან შეუძლებელია მისი ერთხელ და სამუდამოდ ლოკალიზება გეოგრაფიულ სივრცეში. ასე ვთქვათ: ჩვენ შევიგრძნობთ გეოპოლიტიკურ იმპულსებს მონღოლეთის ტრამალებიდან, ჰობის უდაბნოს „ნაპირებიდან“ და ცისქვეშეთის იმპერიის ან ჩინეთის ცივილიზაციის სიღრმეებიდან.

აზიის მუდმივი ძახილი განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა თეოსოფიაში. მოძღვრება, რომელსაც XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში დასავლეთის ქვეყნებში, ინდოეთსა და რუსეთში მიმდევრების უზარმაზარი რიცხვი ჰყავდა. თეოსოფიის მიმდევრები იყვნენ ნაცისტი ბელადები. 1941 წლის 12 მაისს, საღამოს ფაშისტური გერმანიის ზემდგომი ხელძღვანელობა შეაშფოთა საშინელმა ცნობამ. ნაცისტურ პარტიაში ფიურერის შემდეგ მეორე კაცმა რუდოლფ ჰესმა მოახდინა არასანქცირებული გადაფრენა ინგლისში. ვ. შელენბერგმა ეს ნაბიჯი შეაფასა

როგორც მცდელობა რუსეთთან ომის წამოწყებისა გარდაქმნას „ჰიტლერის სიცოცხლეში სანუკვარი იმედი ინგლისთან დამოკიდებულებაში“. პოლიტიკური დაზვერვის შეფი ამ ნაბიჯს ხსნის ასტროლოგების განსაკუთრებით ფილოსოფოს-მისტიკოსის და ანტროფოსოფიის დამაარსებლის რ. შტეინერის და ახლო მეგობრების, როგორიცაა სწავლული გეოპოლიტიკოსი კ. ჰაუსხოფერი, გავლენით. ჰებელსი ინგლისის ციხეში დატუსაღებული ჰესის წერილებს ცოლისადმი გერმანიაში კომენტარს უკეთებს, როგორც ამოუწურავი დილეტანტიზმის ნიმუშს, თვლის რა, რომ ამას ხელი შეუწყო პროფესორმა ჰაუსხოფერმაც.

ტროცკის მემორანდუმის თანახმად აქტივირდება „მსოფლიო რევოლუციის“ ექსპორტი აზიაში. მონღოლი მებრძოლები სიცოცხლეს წირავენ რევოლუციურ ბრძოლაში ნათელი მომავლისათვის არა მარქსის და

ლენინის დროშის ქვეშ, არამედ ლეგენდარული შამბალის გამოხატულების ქვეშ.

ევროპაში მსოფლიო რევოლუციის ექსპორტის ჩავარდნის შემდეგ, ბოლშევიკებმა მზერა მიაპყრეს აღმოსავლეთს – პალესტინიდან ჩინეთამდე. ახლო აღმოსავლეთი გასასვლელს იძლეოდა სუეცის არხზე და ინდოეთის ოკეანეში. ცნობილი ჩეკისტი იაკობ ბლიუშკინი, 1918 წლის 6 მაისს მოსკოვში გერმანიის ელჩის ვილჰელმ მირბახის მკვლელი, ОГ-ПУ დავალებით 20-იან წლებში წარუმატებლად ცდილობს მოახდინოს კონფლიქტის პროვოცირება არაბებსა და ებრაელებს შორის. კომუნისტურ პარტიას ქმნის ირანში. იმყოფება რა ტიბეტში ბერის სახით, იღებს მონაწილეობას ცენტრალური აზიის ნიკოლაი რერიხის ექსპედიციაში და ხდება მეცნიერის და მხატვრის ცნობილი პირველი ანდერძის ინიციატორი, რომელმაც თავის მემკვიდრეებად გამოაცხადა საბჭოთა ხე-

ლისუფლების ხელმძღვანელები. შესაძლოა აქაა დაფარული 1929 წ-ს რერიხის მიერ რუსულ ენაზე გამოშვებული წიგნის „თემის“ შინაარსის შესახებ კითხვის პასუხს, რომელიც წარმოადგენს მახათბების საუბრის ჩანაწერს, ისინი ითვლებოდნენ შამბალის წარმომადგენლებად. მასში საუბარია ლენინზე, რგორც „ახალი მადანის ძლიერ კალატოზზე“ ახალი გზების ღირებულებების მცოდნეზე. ლენინი და მარქსი მოქმედებდნენ შამბალის იმპულსების ქვეშ – თეთრი საძმოს მიერ მიუღწეველი ციტადელი, სადაც საერთო თემში ცხოვრობენ მახათბები და წმინდანები. შემდეგ ბლიუშკინი კომინტერნის დავალებით მიემართება მონღოლეთში, სადაც ხდება არა მარტო საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი, არამედ მოსკოვის ფაქტიური მოადგილე.

რუს თეთრემიგრანტებს შორის – „ევროპის მომთაბარეები“, ჩაისახა გეოპოლიტიკური კონცეფცია ევ-

რაზიულობა, ხოლო პირველმა კოლექტიურმა ნაშრომმა, გამოცემულმა სოფიაში, მიიღო მრავალმნიშვნელოვანი დასახელება „გამოსვლა აღმოსავლეთთან“.

ევრაზიელებს, გერმანელებს და საბჭოთა გეოპოლიტიკურ კონცეფციებს აერთიანებს აღმოსავლეთის თემა. ამასთან აღმოსავლეთის თემა კონცეტრირდება სამყაროს იდუმალი ცენტრის – ქვეყანა შამბალას ლეგენდის ირგვლივ, რომელიც გაიგივებულია მისტიკურ მიწისქვეშა სახელმწიფო აგარტასთან. იყო კი ეს მცდელობა აზიური სახელმწიფოების ინტეგრაციისა ერთიან სტრატეგიულ ბლოკში თუ ესაა ბოლომდე შეუსწავლელი გაურკვეველი ბუნების „ნიადაგის“ ძახილი?

ნაცისტური გერმანიის და საბჭოთა კავშირის ბელადები ამზადებენ ექსპედიციებს ტიბეტზე ან აგზავნიან მზვერავებს. ერების განადგურებაში დამნაშავე

დიქტატორები ისტორიის კრიტიკულ მომენტში მიმართავენ ღმერთს.

აღმოსავლეთის თემა პოპულარული იყო ევროპული არისტოკრატიის სალონებში XXს-ის დასაწყისში. ბავარიაში იქმნება ტულის თაყვანისმცემელთა საზოგადოება – ძველგერმანული მითიური ქვეყანა. საიდუმლო ორდენის ამ პირველსახეში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო კ. ჰაუსხოფერი. დასახული იყო მიზანი აედორძინებინათ გერმანული რეიხი. რასის და რომანტიზებულ ოკულტიზმის პრინციპებზე. „ტულის საზოგადოების“ წევრებთან შედგა ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი ადოლფ ჰიტლერის შეხვედრა.

კარლ ჰაუსხოფერს მიეკუთვნება კონცეფცია ათასწლეულების სიღრმეში ჰობიური ცივილიზაციის არიელების არსებობის შესახებ. სავარაუდო გზავნილად მისთვის აღმოჩნდა ტიბეტური ლეგენდა მიწისქვე-

შა საუფლო აგარტას შესახებ, აღწერილი ე. ბლავა-
ტსკის ნაშრომებში. შესაძლოა ესაა ერთ-ერთი ვარი-
ანტი ბუდისტური ლეგენდისა შაბალას შესახებ –
მიწიური სამოთხე მითიური ქვეყანა, მსოფლიო შექმ-
ნის სულიერი საფუძვლების სადარაჯოზე მდგომი.
ახლანდელი ჰობის უდაბნოს ადგილზე განთავსებუ-
ლი ქვეყნის ძლევამოსილი მაგები; გეოლოგიური კა-
ტაკლიზმების შემდეგ წავიდნენ მიწის ზედაპირში და
დასახლდნენ ჰიმალაის ქვეშ გამოქვაბულებში, საი-
დანაც მსოფლიო ისტორიის სვლას აკონტროლებდნ-
ენ მათი რჩეული ერის წინამძღვრობით. აზიის სიღრ-
მიდან ნაცისტური იდოლოგიის აღჭურვისათვის აღე-
ბული იქნა მითი ლეგენდარული ტულის (მონღოლე-
თი ტიბეტით), როგორც გერმანელების პირველ სამშ-
ობლოს და მისტიური „მსოფლიოს გულის“ შესახებ,
რისი მფლობელიც მოიპოვებს პლანეტარულ ძალაუ-
ფლებას. აქედანაა ნაცისტური სვასტიკის სახეც –

ბუდისტებისათვის წმინდა სიმბოლო სიცოცხლის მუდმივი წრებრუნვაა.

ნიკოლაი კონსტანტინეს ძე რერიხი (1874-1947) დაიბადა ცნობილი ნოტარიუსის ოჯახში, რომლის მოდგმაც წამოვიდა დანიიდან. მომავალი რუსი მხატვარი, არქეოლოგი, მოგზაური და საზოგადო მოღვაწე სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში, დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მოისმინა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის კურსები.

რერიხის მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელია ბუდისტურ ფილოსოფიასთან სიახლოვე და იმედი გლობალურ-მასონურ როლზე ხელოვნებაში. შეიძლება ითქვას, რომ რერიხის შემოქმედებითმა ცხოვრებამ ჩაიარა სანუკვარი, საოცნებო ქვეყნის ძიებაში, რომელიც ლოკალიზებულია მის ტილოებზე, სადაც მსოფლიოს ბრძენნი აღადგენენ ძველ იდეებს

და აღსდგება სული. თუმცა ამ ქვეყნის მოძებნა რეალურ გეოგრაფიულ სივრცეში აღმოჩნდა გადაუწყვეტელი უტოპიური ამოცანა. ლეგენდარული შამბალა ან პლანეტის სულიერი პოლუსი საიდუმლო მსოფლიო ქვეყნის მფარველი, აღმოჩნდა მიუღწეველი მოგზაურობისათვის რომელთა მოგზაურობის მიმართულება განლაგებულია დედამიწის განედებზე და მერიდიანებზე. რერიხი დარწმუნებული იყო, რომ შამბალა უნდა აერთიანებდეს აღმოსავლეთს და დასავლეთს, რომლებიც „ერთმანეთს უყურებენ გამჭოლად“. აზიის სიღრმის ბევრ ადგილებში რერიხს ესმოდა ლეგენდა აგარტას – მიწისქვეშა ერის შესახებ. ეს ოდესღაც საუკეთესო ერი ტოვებს ცოდვილ მიწას და ხსნას პოულობს მიწისქვეშა საუფლოში, სადაც ის ახლიდან მოიპოვებს ძალას და დაიქვემდებარებს მძლავრ ენერგიას. უდიდესმა რწმენამ შამბალასა ან მიწისქვეშა ერის საუფლოსი, დაიპყრო ევროპული გონე-

ბა. 1929 წ-ს ნიკოლაი და ელენა რერიხი რუსულ ენაზე გამოსცემენ წიგნს „თემი“, რომელშიც ცდილობენ საფუძველი ჩაუყარონ სოციალიზმს ძველი ბუდიზმის პრინციპებზე. წიგნში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი გაიგივებულია მახათმასთან (მასწავლებელთან) შამბალიდან.

ლენინი – ეს მოქმედებაა. ის გრძნობდა ახალი წყობილების გარდაუვლობას. ლენინის მონოლითური აზროვნება მას ხდიდა უშიშარს და არ იქნებოდა სხვა, ვინც საერთო კეთილდღეობისთვის საკუთარ თავზე აიღებდა უმძიმეს ტვირთს.

ნიკოლაი და ელენა რერიხებმა გულუბრყვილობით გააიგივეს შამბალა საბჭოთა კავშირთან. გავიდა სულ ცოტა დრო, როცა „ძლიერი მისწრაფება“ მოგვრილი აზიის მუდმივი ძახილით მიიღო სხვა ბელადმა – ადოლფ ჰიტლერმა.

მაგრამ სად არის ეს აღთქმული ქვეყანა, რომლისკენაც XX ს-ში მიისწრაფოდნენ არა მხოლოდ ინტელექტუალები, არამედ დიქტატორებიც, ქვეშევრდომებიც, ჩეკისტებიც და ფაშისტებიც? ამ ქვეყნის კონტურები უხსოვარი დროიდან გაიელვებდა რჩეულთა ფიქრებში – ეგვიპტელ ფარაონებში, ძველბერძენ ფილოსოფოსებში და აღმოსავლელ ბერძნებში. ცნობილ დიდ ისტერიებში ეწყობოდა განდგომილი ბერების მსოფლიო საძმოს მონახაზები. საძმოს მთავარი მიზანი იყო კაცობრიობის განთავისუფლება ცრურწმენებისაგან, დედაბუნებასთან ჰარმონიული ერთიანობისკენ, სულიერი აღორძინებისაკენ მიმავალ გზაზე. ინდოელი და ტიბეტელი ხალხებისათვის აღთქმული ქვეყნის ადგილმდებარეობა ასოცირდებოდა ჰიმალაის ძნელმისადგომ ჩრდილოეთ ფერდობებთან და არა მხოლოდ ადგილობრივ ხალხში. ამ მთიანი ქვეყნისაკენ მიისწრაფოდნენ ევროპელი მოგზაურებიც, ნაცი-

სტური გერმანიის ექსპედიციების და საბჭოთა რეზიდენტების ჩათვლით, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ გაეჩაღებინათ „მსოფლიო რევოლუციის“ ცეცხლი.

ლეგენდამ შამბალაზე, როგორც ძალაუფლებისა და ძალმომრეობის ცენტრმა, გამოყენება ჰპოვა ნაცისტურ იდეოლოგიაში. ჰიტლერის „სულიერი მასწავლებლები“ კარლ ჰაუსხოფერი, დიტრიხ ეკარდი და ალფრედ როზენბერგი შამბალაში ხედავდნენ „ბნელეთის ძალას“, რომელიც მართავს სტიქიებს და ერებს. მილიონი ებრაელის და ბოშების მკვლელობაში ნაციზმის ბელადები ხედავდნენ ღრმა მაგიურ აზრს. თავის ბოროტმოქმედებებს ისინი ასაბუთებდნენ „ბნელეთის ძალის“ რწმენით, რომელიც ითხოვს ხალხის მასიურ მსხვერპლშეწირვას.

ამგვარად, კონსპიროლოგია ყურადღებას აქცენტირებს გადაწყვეტილებების მიღებისას რაციონალურ და გრძნობით ურთიერთდამოკიდებულებაზე. ყველა-

ზე პრაგამატული გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენას ახდენს ადამიანის ბუნება. გაგრძელდება დედამიწის სულიერი პოლუსის ძებნაც. შესაძლო პოლუსი არსებობს დედამიწის მრავალგანზომილებიან სივრცეში, მაშინ როდესაც ცდილობენ მის ლოკალიზებას რეალურ გეოგრაფიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა თბ. 2003
2. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, თბ. 1999
3. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი – ცნობარი, თბ. 2004
4. კ. კაციტაძე, სტრატეგიის საფუძვლები, თბ. 2007
5. კ. კაციტაძე, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში,
6. თბ. 2007
7. В.А. Дергачев. Балканское зарево : Трансформаця геополитическое пространства, М. 2000
8. В.А. Дергачев. Геополитика, М. 2004
9. Малая энциклопедия стран, М: АСТ. 2000
10. З. Бжезинскй, Великая шахматная доска. Господство Америки и ее Геостратегические императивы. М. 1999.
11. Ф. Бродель**.** Время мира материальная цивилизация М. 1992
12. А. Дугин. **Л.** конспирология М. 1993.

13. Л. Н. гумилев Ритми Евраз: Епохи и цивилизаций М. 1992
14. М.М. Лебедева, Мировая политика М. 2003.
15. В.П. Максаковский, Географическая картино мира кн. II М. 2004
16. С. Лангдово, Политическая конфликтология**,** М. 2008.
17. В.М. Кулагин, международная безапаснасть М. 2003.
18. R. Robertson, Globalization L 92.
19. S. Hantigton, The Clash Civilization 1993 V
20. R. Harvey, Global Disorder London 2002
21. D. Held. et al Global transformation _ Stanford, 1999.

შინაარსი

შესავალი ——————————————————— 3

თავი I – მსოფლიო ცივილიზაციათა გეოპოლიტი-
კური ასპექტები ——————————————— 6

თავი II – ისლამური ცივილიზაცია ————————— 57

თავი III – ბალკანეთი ცივილიზაციათა შეჯახების
ზღვარზე ——————————————————— 97

თავი IV – გეოპოლიტიკაში არსებული საიდუმლოდ
მოცული მოვლენები (კონსპიროლოგია) ———— 144

გამოყენებული ლიტერატურა ——————————183

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 01.05.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.05.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,5. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent